



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ამირან ტაბიძე**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების  
შორშირება, ბანაწილება და ბამოწენება

სპეციალობა 08.00.11. მიკროეკონომიკა, შრომის ეკონომიკა  
(შრომის ეკონომიკა)

დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი მირიან ტუხაშვილი

თბილისი  
2005 წელი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი . . . . .	3
თავი I. აჭარის ეკონომიკა საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში და შრომითი რესურსების შესწავლის მეთოდოლო- გიური საკითხები . . . . .	8
თავი II შრომითი რესურსების ფორმირება	
§ 2.1. აჭარის შრომითი რესურსების ფორმირების დემოგრაფიული ფაქტორები	25
§ 2.2 მიგრაციის გავლენა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორმირებაზე . . . . .	45
თავი III. შრომითი რესურსების განაწილება და დასაქმება	
§ 3.1. შრომითი რესურსების დასაქმება . . . . .	69
§ 3.2. უმუშევრობა. . . . .	102
თავი IV. შრომითი რესურსების გამოყენების სრულყოფის გზები	
§ 4.1. მატერიალური წარმოების სფეროს დარგების განვითარება და ობტიმალური დასაქმების მიღწევის გზები . . . . .	125
§ 4.2. ტურიზმის განვითარება, როგორც დასაქმების სრულყოფის გზა . . . . .	132
დასკვნა . . . . .	140
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	148

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პროცესში სულ უფრო იზრდება შრომითი რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების მნიშვნელობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მისი ცალკეული რეგიონების შრომითი პოტენციალის სწორად შეფასებას, ფორმირების კანონ-ზომიერებებისა და რეგიონული თავისებურებების გამოვლენას, რაციონალური დასაქმებისა და ოპტიმალური ტერიტორიული პროპორციების ჩამოყალიბებისათვის სწორი გზების ძიებას

თავისი ისტორიული განვითარებისა და ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდა დემოგრაფიული განვითარებისა და შრომითი რესურსების ფორ-მირებისა და გამოყენების თავისებურებით. ისტორიულ-კონფესიური სპეციფიკა განსაზღვრავდა საქართველოს ქართველი მოსახლეობით დასახლებულ სხვა რეგიონებთან შედარებით შობადობის, ბუნებრივი მატებისა და, ამდენად, შრომითი რესურსების ბუნებრივი ზრდის მაღალ დონეს, განსაკუთრებით აჭარის სოფლის მოსახლეობაში, აგრეთვე, მთიან რაიონებში, სადაც დემოგრაფიული ტევადობის შედარებით სიმცირის გამო ყოველთვის იქმნებოდა ჭარბი შრომითი რესურსები. იგი პერმანენტულად გადანაწილდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებში, უპირატესად ორგანიზებული ჩასახლების ფორმით, რასაც, თავის მხრივ, დიდი ეკონომიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა

პოსტსაბჭოთა პერიოდში განვითარებულმა ყოვლისმომცველმა კრიზისმა კატასტროფულად შეამცირა აჭარის დემოგრაფიული ზრდისათვის აუცილებელი რესურსები. მკვეთრად დაეცა შობადობის მაჩვენებელი, საფრთხე დაემუქრა შრომითი რესურსების ბუნებრივ ზრდას ამას თან დაერთო ინტენსიური ემიგრაციული პროცესების განვითარება, რამაც არსებითად გააუარესა აჭარის შრომითი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლები. სტაციონარ-რულთან ერთად განვითარდა

ინტენსიური შრომითი ემიგრაცია, აღმოცენდა უმუშევრობა, დასაქმება გახდა არაფექტიანი, დაცვა ცხოვრების დონე, განვითარდა სიღარიბე, მკვეთრად გაუარესდა სამუშაო ძალის აღწარმოება. კრიტიკული ვითარება შეექმნა ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას

ასეთ ვითარებაში, აუცილებელი გახდა იმ გზების ძიება, რომელიც აჭარას გამოიყვანს ღრმად განვითარებული კრიზისული ვითარებიდან, მოახდენს ეკონომიკის რეაბილიტაციას და მის შემდგომ განვითარებას, შრომითი რესურსების ნორმალურ კვლავწარმოებას, რაციონალურ დასაქმებასა და უმუშევრობის ლიკვიდაციას. აუცილებელი გახდა სპეციალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომელიც უნდა დაეყრდნოს მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციებსა და წინადადებებს, სხვადასხვა პროგნოზულ გაანგარიშებებს

პოსტსაბჭოთა პერიოდში აჭარის შრომითი რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების საკითხის სიმწვავემ განაპირობა ავტორის მიერ საკვლევად შერჩეული თემის აქტუალობა.

პრობლემის მეცნიერულად დამუშავების მდგომარეობა, საქართველოს შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ საერთოდ, და, მათ შორის, პოსტსაბჭოთა პერიოდში საკმაო რაოდენობის შრომები არსებობს, სადაც ჯეროვნადაა გაანალიზებული ის კანონზომიერებანი და თავისებურებანი, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია ბევრ მათგანში განხილულია შრომითი რესურსების კვლავწარმოების რეგიონალური თავისებურებანიც თუმცა კონკრეტულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების თაობაზე კომპლექსურად შესწავლილი ნაშრომი არ არსებობს წინამდებარე დისერტაცია ამის პირველი ცდაა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ძირითადი კანონზომიერებების და თავისებურებების დადგენა და დასაქმების რაციონალური გზების დასახვა,

დასაქმების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და დასაბუთება ამ მიზნის მისაღწევად დისერტაციაში დასახულია შემდეგი ამოცანები:

- პოსტსაბჭოთა პერიოდში აჭარის შრომითი რესურსების ფორმირების დემოგრაფიული ბაზის გამოკვლევა; შობადობისა და ბუნებრივი მატების კატასტროფული ვარდნის მიზეზების დადგენა და შრომითი რესურსების ბუნებრივი შევსების პერსპექტივების განსაზღვრა;
- აჭარის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი მიგრაციული კვლების შეფასება შრომითი ემიგრაციის კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის გზით მიზეზების, ძირითადი ტენდენციების და პერსპექტივის დადგენა;
- ატროფირებული დასაქმების სტრუქტურის გამოკვლევა და შეფასება. კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის მეშვეობით დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების შეფასება,
- უმუშევრობის მიზეზების, უმუშევართა სტრუქტურის გამოვლენა, უმუშევრობის უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება რეგისტრირებულ უმუშევართა კონტინგენტის სოციოლოგიური გამოკვლევა, მათი დასაქმების პერსპექტივების განსაზღვრა.
- მატერიალური წარმოების და მომსახურების სფეროს დარგების რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების გზით დასაქმების სრულყოფის ძირითად მიმართულებათა დასახვა ტურიზმში, როგორც აჭარის სპეცია-ლიზაციის დარგში, დასაქმების უწყვეტიანობის ზრდის გზების დასაბუთება.

დისერტაციის კვლევის ობიექტია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა და შრომითი რესურსები

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია შრომითი რესურსების ფორმირების და გამოყენების პრობლემებზე ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები, შრომისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები, საქართველოს საკანონმდებლო აქტები.

სადისერტაციო ნაშრომის საინფორმაციო ბაზა ემყარება 1959, 1970, 1979, 1989 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერების მასალებს, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციის მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებს აჭარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ ინფორმაციას ავტორის მიერ ორგანიზებულ კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევებით მიღებულ ინფორმაციას.

დისერტაციაში დასმული კონკრეტული საკითხების გადაწყვეტისას ავტორი იყენებს სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისა და კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს.

#### სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეა.

- დასაბუთებულია შრომითი რესურსების ფორმირებაზე დემოგრაფიული კრიზისის გაელენა შეფასებულია შობადობისა და ბუნებრივი მატების კრიტიკულ დონემდე ვარდნის გამო შრომითი რესურსების კვლავწარმოების პარამეტრების ცვლილებები;
- დადგენილია მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მუდმივი და შრომითი ემიგრაციის მიზეზები, ნაკადთა სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა; გამოვლენილია მიგრაციული პროცესების შიგარეგონული თავისებურებანი განსაზღვრულია შრომით ემიგრანტთა ფულადი გზავნილების სიდიდე და მნიშვნელობა აჭარის მოსახლეობის აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში და მცირე ბიზნესის განვითარებაში;
- გამოვლენილი და შეფასებულია აჭარის შრომითი რესურსების დასაქმების ძირითადი პროპორციები. დასაბუთებულია დასაქმების სტრუქტურის ცვლილებათა რეგრესულობა. დადგენილია დასაქმებული მოსახლეობის შრომის პირობები, შრომისადმი დამოკიდებულება. დასაბუთებულია დასაქმების ეფექტიანობის ამაღლების კონკრეტული წინადადებანი;
- კრიტიკულადაა შესწავლილი უმუშევრობის კონკრეტული მიზეზები, დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ უმუშევართა სოციალურ-დემოგრაფიული და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა. დასაბუთებულია მათი მაღალი კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.

კრიტიკულადაა შეფასებული დასაქმების სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირება და დასაბუთებულია წინადადებანი მათი მუშაობის გარდასაქმნელად,

- დასაბუთებულია აჭარის ეკონომიკის რეაბილიტაციის გავლენა დასაქმების ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და უმუშევრობის ლიკვიდაციაზე, ცხოვრების დონის ზრდასა და შრომითი რესურსების კელაფწარმოების ნორმალიზაციაზე.

მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის გამოყენება შეიძლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური აღდგენისა და პერსპექტიული განვითარების პროგრამების შემუშავების დროს საქართველოს რეგიონული და დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრისათვის. იგი შეიძლება გამოიყენოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს, ეკონომიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესაბამისმა განყოფილებებმა. აგრეთვე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმინისტრაციულ-სამეურნეო სტრუქტურებმა, დასაქმების სააგენტომ და ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა.

გამოკვლევის შედეგების აპრობაცია სადისერტაციო ნაშრომის შედეგებით ავტორი მოხსენებით გამოვიდა ორ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე. დისერტაციის შედეგი ასახულია 4 სამეცნიერო ნაშრომში 2,0 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით.

დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი. დისერტაცია მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 1147 გვერდს შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან შრომას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია

აჭარის ეპონომიკა საბაზრო ურთიმართობის ფორმირების პროცესში და შრომითი რესურსების შესწავლის მეთოდოლოგიური საკითხები

საქართველოს შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა მისი რეგიონული კანონზომიერებებისა და თავისებურებების შესწავლა. ამ მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ რეგიონს შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ მეცნიერული ნაშრომები უმთავრესად სამეცნიერო სტატიების სახითაა გამოქვეყნებული, ხოლო კომპლექსური, მონოგრაფიული გამოკვლევები ცოტაა ეს მაშინ, როცა აჭარას, როგორც დემოგრაფიული განვითარების, ისე დასაქმების თვალსაზრისით მეტად გამოკვეთილი თავისებურებანი აქვს იგი ჩამოყალიბდა ისტორიულ-გეოგრაფიული სპეციფიკის გავლენით, აგრეთვე, შრომის რეგიონულ დანაწილებაში აჭარის ადგილით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა 1921 წლის 16 ივლისს. იგი ისტორიულ-გეოგრაფიულად მესხეთის ნაწილი იყო და დასახლებული იყო ქართული ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობით – აჭარლებით. ისევე როგორც საქართველოს მთელმა რიგმა პროვინციებმა, აჭარამაც საუკუნეების განმავლობაში განიცადა ოსმალთა ბატონობა. XVI საუკუნის ბოლოს დამპყრობლებმა ზემო და ქვემო აჭარის სინჯაყები დაარსეს და იგი ახალციხის ვილაეთში მოაქციეს. აჭარელი ხალხი განუწყვეტლად იბრძოდა ოსმალეთის ასიმილაციურ პოლიტიკის წინააღმდეგ და რწმენის შეცვლის მიუხედავად, სრულად შეინარჩუნა და განავითარა ქართული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი, ყოფითი გარემო, ტრადიციები; დედა სამშობლოსთან დაბრუნებისთანავე სრულად შეუერთდა საქართველოს ცხოვრებას. მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენისა და შემდგომ საბჭოთა რუსეთის ჯარების საქართველოში შემოსვლის პერიოდში საკმაოდ გართულდა პოლიტიკური ვითარება, რისი საბოლოო შედეგი იყო ყარსის 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ამ ორი ქვეყნის მშვიდობიან თანამშრომლობას; ოსმალეთმა აჭარა აღიარა საქართველოს ნაწილად და უკვე 1921 წლის 16 ივლისს აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად.

ამ ყველაფერსა და ცნობილი ფაქტის გამეორება დაგვჭირდა იმიტომ, რომ იმთავითვე, აჭარას მიეცა ეკონომიკური რეგიონალიზაციის თვალსაზრისითაც ცალკე რეგიონის ფორმა. შემდგომ პერიოდებში შემცენებითი მნიშვნელობით და მეცნიერული ანალიზისათვის საქართველოში არაერთი სახის ეკონომიკური დარაიონება მოხდა<sup>1</sup>, აჭარა, როგორც სახელმწიფო წარმონაქმნი, ყველგან განიხილება ცალკე ადმინისტრაციულ თუ ეკონომიკურ ერთეულად. იგი ამ თვალსაზრისით მყარადაა ჩამოყალიბებული და რაიმე საჭოჭმანო საქართველოს რეგიონალიზაციის დროს აჭარასთან მიმართებაში არ არსებობს

მეორე მხრივ, აჭარა განიხილება, როგორც სპეციფიკური დემორეგიონი. როგორც ჩვენ შემდგომ ვნახავთ, იგი დემოგრაფიული განვითარების პარამეტრებით განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებისაგან ეს ფაქტორი შრომითი რესურსების კვლავწარმოებაში მეტად მნიშვნელოვანია და აჭარის შრომითი რესურსების ფორმირების განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენს. ეს გარემოება მეტ მნიშვნელობას სძენს აჭარაში შრომითი რესურსების შესწავლას

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურმა ავტონომიამ თავისებური ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალკე რეგიონად აჭარის ფორმირებაში ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, საქართველოს სხვა რეგიონებთან სამეურნეო კავშირები შესუსტებული იყო,

<sup>1</sup> რეგიონული ეკონომიკა თსუ გამომცემლობა თბილისი, 2004, გვ 32-33 საქართველოს გეოგრაფია თბილისი, 2000 საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1975

მაგრამ თვით გეგმური მეურნეობის პირობებში მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები გამოყოფით იგეგმებოდა და მათი შესრულების ამოცანაც ავტონომიური რესპუბლიკის მყარ რეგიონულ ერთეულად ფორმირებას უწყობდა ხელს.

როგორც ცნობილია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, 1990-იანი წლების დასაწყისიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაძლიერდა სეპარატისტული ძალების მოქმედება. დასუსტებულ და გაპარტახებულ ქვეყანას ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის ვითარებაში გაუჭირდა მათთან ბრძოლა სეპარატისტულმა ელემენტებმა „აჭარის გადარჩენის“ მოტივით აჭარის იზოლაციონისტური პოლიტიკის გატარება დაიწვეს იყო ცალმხრივი მტკიცება იმისა, თითქოს აჭარაში სოციალური და ეკონომიკური კრიზისი ნაკლებად განვითარებულიყო, თითქოს აჭარის დემოგრაფიული განვითარება არ შეფერ-ხებულყო და შრომითი რესურსების კვლავწარმოებაში არსებითი ცვლილებანი არ მომხდარიყო ამ შრომაში წარმოდგენილი ჩვენი გამოკვლევები, რომელიც, შეძლებისდაგვარად, სათანადო ციფრობრივი მასალითაა არგუმენტირებული, აბათილებს სეპარატისტთა მტკიცებას აჭარის სოციალურ განვითარებაში უპირატესობის დამადასტურებელი „არგუმენტების“ შესახებ სამწუხაროდ, როგორც შემდგომ ვნახავთ, აჭარაც, ისევე როგორც მთელი საქართველო, მოიცვა უმძიმესმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც კატასტროფულად დააქვეითა აქაური მოსახლეობის ცხოვრების დონე ისევე როგორც მთელი საქართველო – აჭარაც დიდი ხნით ჩამორჩა დროის მოთხოვნებს. თუმცა საქართველოს ცალკეული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენის ხარისხიც მეტად დიფერენცირებულად წარმოგვიდგება.

როგორც ცნობილია, საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული განვითარების გამოთანაბრების პრობლემა

ყოველთვის იყო დღის წესრიგში და არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ ხერხდებოდა არსებითი პოზიტიური ძვრები გამოთანაბრების პროცესში. მაგალითად ავიღოთ, თუნდაც, მთიანი რაიონების პრობლემა ისინი თავიანთი სოციალური თუ ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებით განვითარების განსხვავებულ სპექტრს ქმნიდნენ. ყოვლისმომცველმა კრიზისმა, რომელიც სსრკ დაშლის შემდგომ საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) განვითარდა, კიდევ უფრო გააღრმავა მთელი რიგი განსხვავება განვითარების დონეებს შორის, რაც მთლიანად ქვეყნის განვითარების მეტად ხელშემშლელი ფაქტორია. სახელმწიფოს ეკონომიკურმა დასუსტებამ საფუძველი გამოაცალა რეგიონული პოლიტიკის განხორციელებას, რაც ხშირად პროტექციონისტულ პოლიტიკაში გამოიხატებოდა.

კრიზისის ვითარებაში რეგიონები აღარ ვითარდებოდა ერთიანი გეგმით, როგორც მთელის ორგანული ნაწილები, მითუმეტეს, ზოგ რეგიონში სეპარატისტული განწყობის გაძლიერების ფონზე ასეთი სახელმწიფოებრივი მიდგომა ფაქტობრივად მოიშალა, რამაც განაპირობა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმიზნო „ავტონომიზაცია“. აჭარაში სწორედ ეს ვითარება შეიქმნა. განუვითარებელი საბაზრო ურთიერთობების პირობებში შიგა სახელმწიფოებრივი კონფლიქტების ფონზე არ იყო საფუძველი ამ რეგიონის წარმატებისათვის, რასაც ხშირად სტატისტიკის შეღამაზებით „აღწევდნენ“ ადგილობრივი ხელმძღვანელები

ჩვენ არაერთხელ მოგვიწვევს მითითება სტატისტიკური აღრიცხვის ბევრ ნაკლზე, მაგრამ განზოგადებულად რომ ვიმსჯელოთ, მივაღწეოთ დასკვნამდე: ისევე როგორც ყველა სფერო, გარდამავალი კრიზისული პერიოდის სტატისტიკა ვერ ახერხებდა აუცილებელ სტატისტიკურ მონაცემთა შეკრება – დამუშავებას თვით სახელმწიფო სტატისტიკის სისტემას დასჭირდა არსებითი ხასიათის გარდაქმნები, რათა იგი მეტ-ნაკლებად მორგებულიყო საერთაშორისოდ მიღებულ სტატადრიცხვის სისტემებს. მოშლილი სახელისუფლო სისტემის პირობებში გაჭირვებით და მიახლოებით ხდებოდა

მთელი რიგი აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება—დადგენა, დიდად ცვალებადი ეკონომიკის პირობებში სტატისტიკური აღრიცხვისათვის გამოყოფილი მიზეზული სახსრები ვერ სწვდებოდა მინიმალურ საჭიროებასაც უცხოური გრანტებიც ამ მხრივ არასაკმარისი იყო და არცთუ მთლად ეფექტიანად იხარჯებოდა ბოლო ხანებამდე მეტად სუსტი იყო სტატისტიკურ მაჩვენებელთა დამუშავება რეგიონების მიხედვით. სტატისტიკურ კრებულებში ხშირად მოცემულია შედარებით მეორეხარისხოვანი ინფორმაცია და არაა გაანგარიშებული ის ინდიკატორები, რომელიც არსებითად ასახავს ეკონომიკური, თუ სოციალური განვითარების სიტუაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც ანალოგიურ ვითარებაში იმყოფებოდა და აისახა იგი მის მიერ აჭარის ირგვლივ გამოცემულ სტატისტიკურ კრებულებში გამოქვეყნებული მწირი ინფორმაციული მასალის სახით<sup>1</sup>.

სავსებით ბუნებრივია, რომ არამდგრადი განვითარების შესწავლა და მეცნიერულად სწორ დასკვნებამდე მისვლა აღნიშნულ სტატალიტიკის პირობებში გართულებულია და ყოველთვის ვერ ხერხდება იგი დამაჯერებლად, სრულყოფილი არგუმენტაციით, რასაც, ალბათ, ვერც ჩვენი შრომა ასცდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სტატალიტიკის მანძი შეიმჩნევა სერიოზული წინსვლა. მოხდა მთელ რიგ ინდიკატორთა გაანგარიშების წესის სრულყოფა და სიზუსტის ამაღლება. თუმცა ეს საკმარისი არაა.

კრიზისამდელი აჭარა წარმოადგენდა ინდუსტრიულ-აგარულ რეგიონს კარგად განვითარებული მრეწველობის დარგებით, როგორცაა მანქანათ-მშენებლობა, სათბობი და ქიმიური მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა, მსუბუქი და კვების მრეწველობა, სამშენებლო მასალების მრეწველობა და ა.შ. 1988 წელს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფმა 67 სამრეწველო საწარმომ 644 მლნ მანეთის სასაქონლო პროდუქცია

<sup>1</sup> იბ მაგ. აჭარა ციფრებში მსოფლიო ციფრებში სტატისტიკური კრებული, ნათუმი, 2002 წ

გამოუშვა. სამრეწველო პერსონალის საშუალო სიობრივი რიცხვი 19,2 ათასს შეადგენდა

ამ დარგში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 200 მანეთს გადააჭარბა. განსაკუთრებით მაღალი იყო ბათუმის სამრეწველო პოტენციალი, რომელიც საქართველოს ქალაქებს შორის მეოთხე ადგილზე იმყოფებოდა თბილისის, ქუთაისისა და რუსთავეის შემდეგ და სასაქონლო პროდუქციის წარმოების მხრივ მთელი აჭარის 78%-ს წარმოადგენდა, ხოლო სამრეწველო პერსონალის საშუალო სიობრივი რიცხოვნობის მხრივ – 83,4%-ს<sup>1</sup> მიუხედავად საკურორტო ფუნქციისა, გარკვეული სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონდა ქობულეთის რაიონს, სადაც აჭარის მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის 14%-ს აწარმოებდა 13 დამოუკიდებელ ბაღანსზე მყოფი საწარმო და მათში დასაქმებული 1929 კაცი (აჭარის მრეწველობაში დასაქმებულთა 10%)<sup>2</sup>.

1995 წლისათვის კი მთელ აჭარაში მხოლოდ 17,3 მლნ ლარის სამრეწველო პროდუქცია იწარმოებოდა, მომუშავეთა რაოდენობა კი განახევრდა და 10 ათას კაცამდე შემცირდა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ სიითლა ირიცხებოდა პერსონალში, თორემ სინამდვილეში ეწ. ფარულ უმუშევრებს წარმოადგენდნენ შემდგომ წლებში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 2001 წ. – 21,8 მლნ; 2002 წ. – 29,2 მლნ. ლარამდე<sup>3</sup>, თუმცა მრეწველობაში კრიზისის დაძლევაზე ჯერჯერობით ლაპარაკიც არ შეიძლება, მითუმეტეს, რომ 4 ათასამდე (5-ჯერ) შემცირდა ამ მნიშვნელოვან დარგში დასაქმებულთა რიცხოვნობა<sup>4</sup>, მათ შორის მარტო მანქანათმშენებლობაში 1995–2001 წწ სამრეწველო პერსონალის რაოდენობა 2026 კაციდან 427 კაცამდე შემცირდა, გაჩერდა

<sup>1</sup> საქართველოს სსრ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სტატისტიკური კრებული, თბილისი, საქ. სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, 1989, გვ. 83.

<sup>2</sup> საქართველოს სსრ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სტატისტიკური კრებული, თბილისი, საქ. სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, 1989, გვ. 84.

<sup>3</sup> მრეწველობა საქართველოში 2003. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2003 წ., გვ. 49

<sup>4</sup> იქვე, 2003 წ., გვ. 35

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, საიდანაც უმუშევარი ღარჩა 2 ათასამდე კაცი. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ სათბობი მრეწველობის წილი მრეწველობის პროდუქციის მთელ მოცულობაში 1998 წლისათვის 69,5% იყო, 1999 წლისათვის – ნული<sup>5</sup>

ამრიგად, აჭარის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილის კატასტროფული შემცირება რეგიონის მთლიანი პროდუქციის დარგობრივ სტრუქტურაში ძლიერი ეკონომიკური დარტყმა იყო ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დიდი დაქვეითება განიცადა სასოფლო-სამეურნეო წარმოებამაც. კრიზისამდე აჭარაში წლიურად იკრიფებოდა 70 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, 200 ათას ტონაზე მეტი ციტრუსები, იწარმოებოდა 4,8 ათასი ტონა ხორცი, 15,3 ათასი ტონა რძე და რძის პროდუქტები, 24,8 მლნ. ცალი კვერცხი, 2500 ტონა ფერმენტირებული თამბაქო და ა შ<sup>1</sup>

1995 წლისათვის ჩაის ფოთლის წარმოება თითქმის განადგურდა და 6 ათას ტონამდე შემცირდა, ხოლო 2001 წლისათვის მხოლოდ 1936 ტონა მოიკრიფა. 1995 წელს მხოლოდ 40 ათასი ტონა ციტრუსის წარმოება შესძლო რეგიონმა, ხოლო 2001 წელს – 46 ათასი ტონისა. ასევე თითქმის 5-ჯერაა შემცირებული თამბაქოს წარმოება შედარებით ნაკლებად შემცირდა მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა. 1989 წლის დასაწყისში ყველა კატეგორიის მურენობაში 134,2 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი იყო აღრიცხული, 2001 წელს – 122,7 ათასი; კვერცხის წარმოება – 1989 წ. – 24,8 მლნ, 2001 წ. – 18,6 მლნ<sup>2</sup>.

ეწერეთიანი საკავშირო ბაზრის მოშლამ და ახალ ბაზრებზე დამკვიდრების სიძნელეებმა უდიდესი დარტყმა მიაყენა როგორც მთლიანად

<sup>5</sup> აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში სტატისტიკური გრუბული ბათუმი 2002 წ.

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო მეურნეობა სტატისტიკური წელიწადიული 1988 თბილისი, გვ 274 აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში სტატისტიკური გრუბული, ბათუმი, 2002, გვ. 50-51 საქართველოს სსრ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. სტატისტიკური გრუბული, თბილისი, 1989 გვ 144-161

<sup>2</sup> აჭარა ციფრებში, მსოფლიო ციფრებში, სტატისტიკური გრუბული, ბათუმი, 2002, გვ. 52.

საქართველოს, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკაში მატერიალურ წარმოებას. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებს განადგურების საფრთხე დაემუქრა. როგორც ამ დარგების ექსპერტები აღნიშნავენ, მათ ადგილზე მოსახლეობამ თანდათან ერთწლიანი კულტურების – კარტოფილის, სიმინდის და ა.შ.

მოყვანას მიჰყო ხელი<sup>1</sup>. სასაქონლო წარმოება თანდათან შეიცვალა ნატურალური მეურნეობისათვის დამახასიათებელი ნიშნებით ქვეყნის გარეთ აგროსამრეწველო პროდუქციის გატანა მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს გადაეყარა

მატერიალური წარმოების მოშლამ დიდად იმოქმედა აჭარის მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონეზე. მკვეთრად დაეცა საქონელბრუნვის მაჩვენებლები. რადიკალურად შესუსტდა მოსახლეობის ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, განვითარდა სიღარიბე

საერთო ეკონომიკური დაცემის გამო არსებითი ცვლილებები მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების კვლავწარმოებაში. აჭარისათვის დამახასიათებელი შედარებით მაღალი შობადობის მაჩვენებელი მკვეთრად გაუარესდა, რაც, უმთავრესად, დაკავშირებულია მოსახლეობაში ცხოვრების დონის მკვეთრ დაქვეითებასთან. განვითარდა ემიგრაციული მოვლენები, აჭარის მოსახლეობამ და შრომითმა რესურსებმა რიცხობრივი კლება დაიწყო. შედარებით სტაბილური ვითარება რაც აქამდე ახასიათებდა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კვლავწარმოებას, მკვეთრად შეიცვალა. საბაზრო ურთიერთობების ფორმირებისა და დამკვიდრების პირობებში ჩამოყალიბება დაიწყო აჭარის შრომის ბაზარმაც, რომელსაც საქართველოს სხვა რეგიონის შრომის ბაზრებთან შედარებით აქვს მრავალმა თავისებურება, რაც ღრმა შესწავლას მოითხოვს

<sup>1</sup> ჭურჭვიძე შ მიქელაძე ზ., არმენაძე გ., გორჯილაძე რ – საქართველოს სუბტროპიკული ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის რაციონალური განვითარების მიმართულებები კრებულში საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში ბათუმი – თბილისი, 2001, გვ. 202

შრომითი რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების შესწავლის მეთოდოლოგია მეტ-ნაკლებად დამუშავებულია. როგორც შემდგომ ჩვენ ვნახავთ, შრომითი რესურსის ცნებაცა და მისი შინაარსი საეკონომიკურ მიხედვით განსაზღვრულია ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის და ეკონომიკური ურთიერთობის მქონე ქვეყნისათვის, განსაკუთრებით, კი სახელმწიფო რეგულირების თვალსაზრისით. შრომითი რესურსების შესახებ საქართველოში არაერთი მეცნიერული გამოკვლევა არსებობს როგორც გეგმიანი ეკონომიკის, ისე საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში შესრულებული კვლევის სქემის მიხედვით ისინი პრინციპულად არ განსხვავდებიან, თუმცა მეთოდოლოგიაში არის მრავალი თავისებურება და განსხვავებანი. ბოლო ხანებში აქცენტი გადატანილია ახალ სოციალურ-შრომით ურთიერთობათა პირობებში უმუშევრობასა და, საზოგადოდ, საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემებზე. ამ მხრივ, ბოლოდროინდელი გამოკვლევებიდან ცალკე უნდა გამოიყოს პროფ. მ. ცარციძის სადოქტორო დისერტაცია<sup>1</sup>, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი მეთოდოლოგიური სიახლეებით, რომელსაც ჩვენც ვიყენებთ აჭარის შრომის ბაზრის ფორმირების კვლევისას დასაქმების შესწავლისათვის, ჩვენი აზრით, საკმაოდ სრულყოფილ მეთოდოლოგიურ სისტემას იძლევა შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოცემული ორტომიანი ნაშრომი – „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა“ დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება“<sup>2</sup> – მასში განხილული კონცეფციები და მეთოდები. იგი ეყრდნობა შრომის საერთაშორისო სტატისტიკის მეთოდურ აპარატს და ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონცეფციებსა და სხვა საერთაშორისო ნორმატიულ აქტებს შრომის სფეროში, მოცემულია დაწვრილებით ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის

<sup>1</sup> ცარციძე მ შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის საქართველოში სადოქტორო დისერტაცია (08 00 12 – მიკროეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, თბილისი, 2003)

<sup>2</sup> Хусманис Р, Мехран Р, Верма В – Исследование экономически активного населения: занятость, безработица и неполная занятость. Перевод с английского и издание АО «Финстатинформ», 1994, в 2 книгах.

შესწავლის მეთოდთა კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების დახმარებით.

როგორც ცნობილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ რეგიონს, იგი იმავედროულად ცალკე დემორეგიონიცაა, მოსახლეობის კელავწარმოების რეჟიმით განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, კერძოდ, მეზობელი გურიის რეგიონისაგან. იგი ბოლო ხანებამდე აშკარად გამოსატყვევდა „დემოგრაფიულ გადასვლაში“ ჩამორჩენას მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც აქ თავისებურებებით ხასიათდება და აღწერს დემოგრაფიული განვითარების გზას.

ის საინფორმაციო წყაროები, რომლითაც ამჟამად აჭარის მოსახლეობაში მიმდინარე დინამიკური ძვრები შეისწავლება, უმთავრესად ორია. ესაა მოსახლეობის აღწერების შედეგები და მიმდინარე სახელმწიფო სტატისტიკური აღრიცხვა გამოიყენება, აგრეთვე, უწყებრივი სტატისტიკის მასალაც, როგორცაა, ვთქვათ, დაბადებათა რეგისტრაცია, აგრეთვე, გარდაცვალებათა რეგისტრაცია, რომელსაც ჯანდაცვის ადგილობრივი ორგანოები ახდენენ

უნდა ითქვას, რომ ყოველსომცველი კრიზისის პირობებში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს დემოგრაფიულ ხდომილებათა პირველად რეგისტრაციასა და მის დამუშავებაში, რასაც არაერთი ავტორი მიუთითებს<sup>1</sup>, რაც შეეხება მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს, ბოლო ორი აღწერა არ ჩატარებულა მაღალი დისციპლინარული რეჟიმით. ეს განსაკუთრებით ითქმის 2002 წლის მოსახლეობის აღწერაზე. ამ პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის იყო დიდი კამათი და დაპირისპირება ე.წ. საარჩევნო სიების ფალსიფიკაციისა და იქ ამომრჩეველთა რიცხვის გაყალბების თაობაზე. ცხადია, აღწერის ჩატარებისას არ იყო გამორიცხული,

<sup>1</sup> ტუხაშვილი მ საქართველოს შრომითი პოტენციალი (ფორმირება და განაწილება) თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ 99

დაწოლა მოეხდინათ აღწერის ორგანიზაციაზე იმ მიმართულებით, რაც ამა თუ იმ ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოს აწყობდა ასეთი დაწოლა ჩამოყალიბებული ძლიერი სახელმწიფო-ებრიობის პირობებში ვერ იმოქმედებდა აღწერის სიზუსტეზე, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში არ გამოვრიცხავთ სერიოზულ დარღვევებსაც აღწერის პროცედურაში. მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ აღწერის შემცველი რაიმე სხვა ინფორმაცია არ გაგვაჩნია და ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, აღწერის შედეგები შეუცვლელ ინფორმაციას შეიცავენ, მითუმეტეს, თუ ინფორმაცია გვინდა მოსახლეობის სტრუქტურული მახასიათებლების ანალიზისათვის.

რაც შეეხება მოსახლეობის და შრომითი რესურსების მიმდინარე აღრიცხვას, ძლიერ დიდი ხარვეზები იყო მოსახლეობის მოკვდაობის აღრიცხვაში, ყოველთვის არ რეგისტრირდებოდა გარდაცვალება, შესუსტებული იყო პასუხისმგებლობა რეალურად, მოკვდაობის დონე იზრდებოდა, მაგრამ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში სტატისტიკა აფიქსირებდა მის დაბალ დონეს. ეს იწვევდა ბუნებრივი მატების მაჩვენებლის ხელოვნურ ზრდას და, საერთოდ, აღწარმოების რეჟიმის ამსახველი ვითარების დამახინჯებას უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ვითარება გამოსწორდა და გარდაცვალების მაჩვენებელიც მეტად სანდო გახდა.

შრომითი რესურსების შესწავლის პრაქტიკა საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებამდე წარმატებით იყენებდა ე.წ. საბალანსო მეთოდს ადმინისტრაციული რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების მიხედვით დგებოდა შრომითი რესურსების კრებისთი ბალანსები უნდა ითქვას, რომ ისინი მორგებული იყო მაშინდელ სტატარციხვას და საკმარისად ნათელ სურათს იძლეოდა რეგიონში (ქალაქში, ადმინისტრაციულ რაიონში) შრომითი რესურსების რაოდენობის და მათი დარგობრივ-ტერიტორიული განაწილების შესახებ ამ საკითხზე იმიტომ შეგნერდით, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო წლებამდე შემორჩა შრომითი რესურსების ბალანსების შედგენის პრაქტიკა აქვე უნდა

აღვნიშნოთ, რომ შრომითი რესურსების ბალანსებს ჯერ კიდევ მეტ-ნაკლები წარმატებით იყენებდნენ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ან მის ცალკეულ რეგიონებში. ამდენად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ბალანსები ზოგიერთ საინტერესო მონაცემს იძლევა რეგიონის შრომითი რესურსების შესასწავლად და, საჭირო შემთხვევაში, ჩვენც გამოვიყენებთ, თუნდაც სხვა ინფორმაციის გადაკონტროლების მიზნით თუმცა ამ შრომაში მაინც გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭეთ შრომითი რესურსების ირგვლივ მოსახლეობის აღწერის მასალას და შინამეურნეობათა გამოკვლევებს

შინამეურნეობათა გამოკვლევებს საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში სტატატორიცხვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. გამოკვლევა მეტად საჭირო ინფორმაციას იძლევა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, დემოგრაფიული ინდიკატორების, მოსახლეობის შემოსაღების, ეკონომიკური სტატუსის, დასაქმების, აგრარული აქტიურობის, სიღარიბის, კვების პროდუქტების მოხმარებისა და ფულადი ხარჯების შესახებ, რომელიც ცალცალკე დეტალურ ჭრილებშია მოცემული. მასალა შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ანალიზისათვის ფასდაუდებელია, რასაც ჩვენს გამოკვლევაში ხშირად გამოვიყენებთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილებისა და დასაქმების განხილვის დროს

საქართველოში შინამეურნეობათა კვლევის სისტემა 1995-1997 წლებში შემუშავდა კანადის სტატისტიკური სამსახურის დახმარებით. იგი მოიცავს საქართველოს 10 რეგიონს ჯერჯერობით მათში არაა შესული აუხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები გასაგები მიზეზების გამო

შინამეურნეობათა გამოკვლევის არსი შერჩეული ოჯახების ყოველკვარ-ტალურ გამოკითხვაში მდგომარეობს. ამჟამად შერჩევა მოიცავს 3351 მისამართს, რომელიც ვრცელდება 1,2 მლნ შინამეურნეობასა და 4,4 მლნ მოსახლეობაზე (გენერალური ერთობ-ლიობა). ეს ყოველთვის კარგად ვერ

ასახავს რეალურ ვითარებას, რადგან საქართველოში რეგიონული და შიგარევიონული განსხვავებანი სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეებში დიდია. ცხადია, იგი მოითხოვს გაცილებით მეტი რაოდენობის შერჩევით ერთობლიობას, მაგრამ ამ სახითაც მეტად საჭირო ინფორმაცია მოიპოვება არ მიგვანია გამართლებულად, რომ ერთ რეგიონადაა ჩათვლილი იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი იმერეთში სრულიად განსხვავებული დემოგრაფიული და, ნაწილობრივ, ეკონომიკური ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმთან შედარებით. სავსებით შესაძლებელია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ცალკე საადრიცხვო რეგიონად გამოყოფა. ეს ცოტათი გაზრდის შესასწავლი შინამეურნეობების რიცხვს, მაგრამ, სამაგიეროდ, უფრო კარგად აისახება რეალური ვითარება.

ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პერიოდის, ერთი და იგივე ინდიკატორი მოსახლეობის აღწერის, მიმდინარე სახელმწიფო და უწყებრივი სტატორგანოების და შინამეურნეობათა მასალების მიხედვით მეტად განსხვავებულია. ეს, ცხადია, გამოწვეულია იმ ნაკლიდან, რომელიც ამა თუ იმ გზით ინფორმაციის მიღების დროს მოსახლეობის აღრიცხვას ახასიათებს. ზოგჯერ შეიძლება ჩვენ ნაშრომშიც შეგვხვდეს აღნიშნული განსხვავებანი, თუმცა, შევეცდებით, ანაღიზი მოვახდინოთ ისე, რომ დასკვნის გაკეთების დროს არ გამოიწვიოს რეალური მდგომარეობიდან არსებითი გადახრები

მეორე მხრივ, შრომითი რესურსების ფორმირების და დასაქმების შესასწავლად არ მიგვანია ყოველთვის საკმარისად ზემოთ აღნიშნული ოფიციალური გზებით მიღებული სტატისტიკური ინფორმაცია ხშირად ნაკლებადაა გამოსატყუი ეკონომიკური მოვლენის სოციალური მხარე, ზოგი მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ კი ინფორმაცია, საერთოდ, არ მოიპოვება, ან ნაკლებლოვანია იგი. ასეთ შემთხვევაში დიდი წარმატებით იყენებენ შერჩევით გამოკვლევებს, რომელიც ხშირად კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის სახითაც ხდება.

როგორც ჩვენ შემდგომში ვნახავთ, ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდგომ როგორც მთელ საქართველოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც აღმოცენდა მაღალი ინტენსიურობის შრომითი მიგრაციები როგორც ქვეყნისა და რეგიონის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იმის გამო, რომ შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობა და მისი წილი შრომით რესურსებში საგრძნობი იყო, მან ზეგაველენა მოახდინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომით პოტენციალზე ვერც მიმდინარე სტატადრიცხვა და ვერც მოსახლეობის აღწერები ნორმალურ მასალას ამ მოვლენის გამოსაკვლევად ვერ იძლევა ამიტომ საჭიროდ მივიჩინეთ ამ მოვლენის სხვა გზით შესწავლა, რასაც აღვწერთ დაწვრილებით მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციისადმი სპეციალურად მიძღვნილ პარაგრაფში. უნდა ითქვას, რომ გარკვეული გამოცდილება შრომითი მიგრაციის შესწავლაში საქართველოში უკვე არსებობდა<sup>1</sup>, დამუშავებული იყო სპეციალური კითხვარი, რომელიც ჩვენ მოვარგეთ აჭარის კონკრეტულ პირობებს.

რამდენადაც ძნელია შრომით ემიგრანტთა უშუალო გამოკითხვა მათი საზღვარგარეთ ყოფნის გამო, გამოკვლევებში ფართოდ გამოიყენება შრომით ემიგრანტთა შესახებ ინფორმაციის მიღება მათი ახლობლებისაგან, რაც მიგრაციის სტატისტიკაში ცნობილია „შეცვლილი რესპონდენტების“ მეთოდის სახელით<sup>2</sup> ცხადია, თუ მოხერხდება უშუალოდ მიგრანტის გამოკითხვა, ეს გაცილებით სჯობია მისი ახლობლებისგან მიღებულ ინფორმაციას, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ორგანიზაციულად მეტად ძნელი განსახორციელებელია, თუმცა შეუძლებელი არც ასეთი გზით შესწავლაა უშუალო გამოკითხვა შესაძლებელია სამშობლოში დაბრუნებული (დროებით ან სამუდამოდ) მიგრანტებისა ან უცხოეთში არსებული სათვისტო მოგების დახმარებით. ძირითადი, რაც საჭიროა

<sup>1</sup> ქელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია, თსუ „ცოდნის წყარო“, თბილისი, 2000 ტუბაშვილი მ მაკარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია შ „სოციალური ეკონომიკა“, 2000, № 4

<sup>2</sup> Бильсбороу Р., Хьюго Г., Оберан А., Злотник Ж., Статистика международной миграции МБТ, Женева - Москва, 1999

ემიგრანტის შესახებ დადგინდეს, ესაა მიზეზები, რისთვისაც საშოვარზე წავიდა სახლდარგარეთ, შრომისა და ყოფის პირობები სამშობლოსა და მიმღებ ქვეყანაში, შრომითი ემიგრაციის უშუალოდ განხორციელების ორგანიზაციული პირობები, იქაური დასაქმებისა და სოციალურ-შრომითი ადაპტაციის პირობები, აქ დარჩენილ ოჯახთან ურთიერთობა და, რაც მთავარია, იქაური შემოსავლებისა და სამშობლოში ფულადი გზავნილების ოდენობა, ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ემიგრანტის დემოგრაფიული მონაცემების ფონზე

შერჩევით გამოკვლევის მეთოდის გამოყენება აუცილებელი ხდება დასაქმებული მოსახლეობის შრომისა და სოციალური მდგომარეობის შესწავლის გასაღრმავებლად. როგორც მოსახლეობის აღწერები, ისე შინამეურნეობათა გამოკვლევებში, საესებით ბუნებრივია, ვერ აისახება დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების მთელი რიგი მხარეები. ვთქვათ, დასაქმებულთა დამოკიდებულება შესასრულებელი სამუშაოსადმი, კოლექტივისადმი, ორგანიზაციის მმართველობისადმი და ბევრი სხვა ინფორმაცია, რომელიც უფრო სრულ სახეს მისცემდა ოფიციალური სტატისტიკით მიღებულ მონაცემებს. ასეთი გამოკვლევები, ცხადია, მოითხოვს გამოკითხვის პროფესიონალურ დონეზე ჩატარებას, ინტერვიუერთა შერჩევას, ინსტრუქტაჟის სწორად ჩატარებას, და, რაც მთავარია, რესპონდენტთა სწორ შერჩევას, რომ მან ასახოს ადგილობრივი სპეციფიკა და ზოგადი კანონზომიერებები. მავალითად, აჭარის სინამდვილეში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რეკრეაციულ მეურნეობაში დასაქმებას, აქ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას, დასაქმების სეზონურობას და ა.შ

დასაქმების შესახებ კითხვარები, ძირითადად, დახურული ტიპისა სჯობია, თუმცა აუცილებელია რესპონდენტს მიეცეს დასაქმების ამა თუ იმ პრობლემაზე საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უმუშევრობის შესწავლას კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის გზით. ცხადია, იგი უნდა წარიმართოს უმუშევრობის შესახებ მოსახლეობის აღწერების, მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის, დასაქმების სახელმწიფო ორგანოებში მიმდინარე აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე წარმოებული ანალიზის შემდგომ მეტად მნიშვნელოვანია როგორც რეგისტრირებულ უმუშევართა, ისე დასაქმების სამსახურებში არარეგისტრირებულთა შერჩევითი გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევების მეთოდები არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზემოთ მიუთითეთ<sup>1</sup>.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

- თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური-პოლიტიკური განვითარების პარამეტრებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს საქართველოში მნიშვნელოვანი თავისებურებების მქონე რეგიონს, სადაც მკვეთრად გამოხატული როგორც დემოგრაფიული, ისე ეკონომიკური განვითარების სპეციფიკა

- ისევე როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც, 1990-იან წლებში განვითარდა ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რამაც მკვეთრად შეამცირა მატერიალური წარმოებისა და მომსახურების დონე, მნიშვნელოვნად დააქვეითა ცხოვრების დონე და ხარისხი

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების კვლავწარმოებასა და დასაქმებას ახასიათებს მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც მოითხოვს მის დამოუკიდებელ დემოეკონომიკურ რეგიონად განხილვას და კვლევას. აჭარა დღემდე წარმოადგენს საქართველოს სხვა რეგიონებისათვის შრომითი რესურსების მიმწოდებელ დონორ რეგიონს. საჭირო ხდება ამ თვალსაზრისით მომავალი ვითარების განსაზღვრა და დასაბუთება.

<sup>1</sup> Хусманис Р, Мехран Ф, Верма В. Обследование экономически активного населения занятость, безработица и неполная занятость. Перевод с английского АО «Финстатинформ», 1994, в двух книгах.

- შრომითი რესურსების ანალიზი უნდა დაეფუძნოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მასალებს, შინამეურნეობათა გამოკვლევებს, სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში მიმდინარე აღრიცხვას, დასაქმების სტრუქტურებსა და სხვა ორგანიზაციებში არსებულ უწყებრივ სტატისტიკას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი გამოკვლევის ჩატარებას საერთაშორისო, აპრობირებული მეთოდების დახმარებით, რა თქმა უნდა, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

## თავი II

## შრომითი რესურსების ფორმირება

## § 2.1. აჭარის შრომითი რესურსების ფორმირების

## დემოგრაფიული ფაქტორები

შრომითი რესურსების ცნება ფართოდაა დამკვიდრებული თანამედროვე, და. განსაკუთრებით, საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პოსტკომუნისტური ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში<sup>1</sup> მისი ფორმულირების არარსებითი სახესხვაობების გათვალისწინებით იგი შეიძლება ასე ჩამოვყავალიბოთ: შრომითი რესურსები მოსახლეობის ის ნაწილია, რომელსაც თავისი ფსიქოფიზიოლოგიური და ინტელექტუალური უნარის მეოხებით შეუძლია შრომითი საქმიანობა, სულიერი, მატერიალური და მომსახურებითი დოვლათის შექმნა. „სამუშაო ძალის“, „ადამიანური რესურსების“, „შრომითი პოტენციალის“, „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის“ ცნებებთან ერთად, შრომითი რესურსების ცნება განსაკუთრებით ხელსაყრელია, როცა შრომის ბაზრის სახელმწიფო რეგულირებაზე ვმსჯელობთ, ან ქვეყნის (რეგიონის) შრომით პოტენციალს ვახასიათებთ, ან კიდევ ტერიტორიულ ჭრილში მოსახლეობის შრომითი მახასიათებლების პროგნოზებს ვაკეთებთ.

მართალია, შრომითი რესურსების ცნება აეტორიტარული სახელმწიფოს პირობებში წარმოიშვა და ფართოდ გამოიყენებოდა, მაგრამ იგი არანაკლები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ საბაზრო მეურნეობის პირობებშიც. როგორც ცნობილი მეცნიერი ე. კოსტაკოვი აღნიშნავს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველივე ნაბიჯების გადადგმისას

<sup>1</sup> Экономика труда и социально-трудовые отношения. Москва, изд. МГУ, 1996, с.24 Рынок труда. Москва, Экзамен, 2000, с 8 Экономика и социология труда. 1999 Москва, «ЮНИТИ», с 15 Экономика труда. Москва, Юристъ 2002, с.75 Рофе А.И., Збншко Б Г, Ишни В В Рынок труда, занятость населения, экономика ресурсов для труда. Москва, «МИК», с 13-15

აღმოჩნდა, რომ ცნება „შრომითი რესურსები“ სავსებით ჩაეწერა საბაზრო კატეგორიათა მრავალმხრივ სისტემაში<sup>1</sup>.

შრომითი რესურსები ეკონომიკურ-სტატისტიკური კატეგორიაა. მოიცავს შრომისუნარიან ასაკში მყოფ შრომისუნარიან მოსახლეობის I და II ჯგუფს არამომუშავე ინვალიდების და შეღავათიან პენსიაზე ადრე გასული მოსახლეობის რიცხვის გამოკლებით და ფაქტობრივად მომუშავე საპენსიო ასაკის კონტინგენტისა და მომუშავე მოზარდების მომატებით

ქვეყნების მიხედვით შრომითი რესურსების სტატადრიცხვა და გაანგარიშებანი განსხვავდება შრომის ასაკის საზღვრების კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გამო ცნობილია, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოში შეიცვალა შრომის ასაკის საზღვრები (ზედა ზღვარი გაიზარდა 5 წლით). ამჟამად მამაკაცთათვის შრომის ასაკად ითვლება 16-64 წწ., ქალებისათვის 16-59 წწ. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ცვლილება მეცნიერულად არ იყო დასაბუთებული, რაზეც აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>2</sup>

შრომითი რესურსები მეტად დინამიურია როგორც რაოდენობრივი, ისე მისი ხარისხობრივი შემადგენლობის თვალსაზრისით მისი აღწარმოება მეტად მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის აღწარმოებასთან. ყველა დემოგრაფიული პარამეტრი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნისა და რეგიონის მოსახლეობას ახასიათებს, პირდაპირ დამოკიდებულებაშია შრომითი რესურსების ფორმირებასთან, ანუ ფორმირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებთან. ამიტომაც შრომითი რესურსების ფორმირება მოსახლეობის კელაეწარმოების ძირითადი კანონზომიერებებისა და თავისებურებების ზეგავლენა უმნიშვნელოვანესი მომენტია და არსებით შესწავლას მოითხოვს

<sup>1</sup> Костаков В.Г. Трудные ресурсы и трудовой потенциал. В кн. Экономика труда и социально-трудовые отношения. Москва, МГУ, 1996, с.28

<sup>2</sup> იხ. მაგ. შეგლია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში, თბილისი, იასუ, ცოდნის წყარო, 1999, გვ.

ამ თვალსაზრისით, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ზოგად და სპეციფიკურ ცვლილებებზე, მოსახლეობის მსხვილი ასაკობრივი ჯგუფების (შრომის ასაკამდელი, შრომის ასაკისა და შრომის ასაკზე უფროსი) სტრუქტურულ ცვლილებებზე აგრეთვე, იმ სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც ცვლის ამ ჯგუფებისა და მთლიანად მოსახლეობის რაოდენობრივ-ხარისხობრივ პარამეტრებს.

მკვლევართა დიდი ნაწილი (პ გუგუშვილი, გ. ჯაოშვილი, გ. ადვიშვილი, მ. ტუხაშვილი, რ. ქუტიძე, მ. ცარციძე, მ. შეღია, მ. ტულუში და სხვა) მიიჩნევენ, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლეობის კვლავწარმოებას, დემოგრაფიულ განვითარებას ახასიათებს საგრძნობლად გამოსატყუი თავისებურებანი, რაც მას გამოარჩევს როგორც საქართველოს სხვა მხარეებთან, ისე საქართველოს სხვა მხარეების ქართველ მოსახლეობასთანაც. ამჟამად აჭარაში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 8,2%, 376 ათასი კაცი, მაშინ როცა აჭარის შემოერთების წინ 1865 წელს მისი მოსახლეობა 48,5 ათასი კაცი იყო, შემოერთების დროს – 1878 წელს 8 ათასი კაცი გადასახლდა თურქეთში. მაგრამ უკვე 1897 წლის აღწერით აჭარის დღევანდელ საზღვრებში მოსახლეობის რიცხოვნობამ 80 ათასს გადააჭარბა, რაც მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 4,2% იყო. შემდგომ პერიოდში პირველ მსოფლიო ომამდე აჭარის მოსახლეობამ 38%–ით მოიმატა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში კი ემიგრაციული პროცესებისა და დაძაბული პოლიტიკური ვითარების პერიოდში მოსახლეობამ 35,5 ათასით მოიკლო<sup>1</sup>, რაც 1920–იან წლებში შეიცვალა 70–წლიანი განუხრელი მატების პერიოდით.

1926 წლისათვის აჭარის მოსახლეობამ 131,9 ათასი კაცი შეადგინა, რაც იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის 4,9% იყო, ხოლო მეორე მსოფლიო ომამდელ აჭარაში (1939 წ. აღწერა) მოსახლეობის რიცხოვნობამ

<sup>1</sup> ჯაოშვილი გ. საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, თბილისი, მეცნიერება, 1984, გვ. 88–95

200 ათასს (საქართველოს მოსახლეობის 5,7%) გადააჭარბა მსგავსი ზრდა (1926–1939 წწ 151,6%) საქართველოს არცერთ კუთხეს არ ჰქონია

პირველობა მოსახლეობის მატებაში აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ საქართველოს კუთხეებს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც შეინარჩუნა<sup>1</sup>. 1959 წლის მოსახლეობის აღწერით, აჭარის მოსახლეობამ საქართველოს მოსახლეობის 6,1%-ს გადააჭარბა (ცხრილი 1) და შემდგომი აღწერების მდგომარეობით მისი წილი განუხრელად იზრდებოდა თვით 1990-იანი წლების ყოველსმომცველი კრიზისის პერიოდშიც, როცა აჭარის მოსახლეობა აბსოლუტურად მცირდებოდა, საქართველოს მოსახლეობის უფრო სწრაფი კლების პირობებში ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობაში მაინც იზრდებოდა და 2002 წლის აღწერის მიხედვით 8,2% შეადგინა.

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ზოგადი სურათის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ აჭარის დემოგრაფიულ ზრდაზე ზეგავლენის მომხდენ ფაქტორთა მოქმედების ინტენსიურობა საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით მეტია და თავის ახსნას მოითხოვს. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, აჭარაში რთული რელიეფი განაპირობებს უთანაბრო განსახლებას. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობის წილი ამჟამად აჭარაში 44,3%-ს არ აღემატება და ბოლო აღწერათაშორის პერიოდში ოდნავ მოიკლო, ურბანიზაციის ზოგიერთი მაჩვენებლით აჭარა მნიშვნელოვნად უსწრებს საქართველოს სხვა რეგიონებს<sup>2</sup>. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე აჭარაში 130 კაცი კმ<sup>2</sup>-ზე, რაც საქართველოს მხარეებს შორის ერთ-ერთი მჭიდრო დასახლების მაჩვენებელია, მაგრამ მოსახლეობის უადრესად უთანაბრო ტერიტორიული განაწილების გამო მოსახლეობის სიმჭიდროვე ზღვისპირა აჭარაში ძლიერ მაღალია და ერთ კვადრატულ კილომეტრზე 350 კაცს აღწევს<sup>2</sup> ზღვისპირა ზოლი წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით

<sup>1</sup> გაიშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში, თბილისი, მეცნიერება, 1984, გვ. 8  
164

<sup>2</sup> საქართველოს გეოგრაფია, თბილისი თსუ 2000, გვ. 306

ცხრილი 1

საქართველოსა და აჭარის არ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის მაჩვენებლები  
1959-2002 წწ.<sup>1</sup>

აღწერის წელი	საქართველოს მოსახლეობა, ათასი კაცი	აჭარის არ მოსახლეობა, ათასი კაცი	აჭარის არ მოსახლეობის წილი საქართველოს მოსახლეობის ლერაში %	აჭარის ქალა- ქის მოსახ- ლეობის წილი აჭარის მთლიან რესურსებ- ში %	ქალთა წილი აჭარის არ მოსახლეო- ბაში %	საქართველოს მოსახლეობის ზრდა 1959 წელთან შედარებით %	აჭარის არ მოსახლეობის ზრდა 1959 წელთან შედარებით %
1959	4044,0	245,3	6,1	45,0	54	100	100
1970	4686,4	309,8	6,6	44,0	52	115,9	126,3
1979	5064,8	354,2	7,0	44,5	52	125,2	144,4
1989	5443,0	392,4	7,2	46,2	52	134,6	160,0
2002	4585,7 <sup>2</sup>	376,0	8,2	44,3	52	113,4	153,3

<sup>1</sup> შედგენილია მოსახლეობის აღწერების მასალების მიხედვით

<sup>2</sup> სტატისტიკური აღრიცხვის საბუღალტრო

აგლომერაციის ხარისხით მეორე რეგიონს (თბილისის აგლომერაციის შემდეგ) ე.წ. აგლომერაციულობის მაჩვენებლით (0,612)<sup>1</sup>, რითაც იგი აღემატება ქუთაისისა და სოხუმის საქალაქო აგლომერაციების მაჩვენებლებს. ასე რომ ზოგადი მაჩვენებელი ქალაქის მოსახლეობის წილისა, სრულებითაც არ ასახავს აჭარის არ ურბანიზებული დონეს

როგორც ცნობილია, 1990-იანი წლების კრიზისის პერიოდში ემიგრაციული პროცესები უფრო მეტად ქალაქებში, ბათუმში, განვითარდა, რის გამოც აჭარის დედაქალაქის მოსახლეობამ 15,1 ათასი კაცით (11,1%-ით) მოიკლო, ხოლო ქობულეთისამ 2,1 კაცით. ამის შედეგად ქალაქის მოსახლეობა აჭარაში 44,3% გახდა, ნაცვლად 46,2%-სა 1989 წელს

ისევე როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც თანდათან თანაბრდება ქალებისა და კაცების რიცხოვნობანი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბდა.

ცხრილის მონაცემები კარგად გამოხატავს აჭარის მოსახლეობის ზრდის მაღალ ტემპს XX საუკუნის მეორე ნახევარში, თვით ბოლოდროინდელი დემოგრაფიული კრიზისის მიუხედავად, 1959–2002 წწ. აჭარის მოსახლეობა 1,53-ჯერაა გაზრდილი, მაშინ როცა მთელი საქართველოსი – მხოლოდ 1,13-ჯერ.

აჭარის მოსახლეობის შიგარეგონული მიგრაციული პროცესების და ბუნებრივ მოძრაობათა თავისებურებების ანალიზი მოითხოვს, მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდაზე (კლებაზე) ორი მთავარი ფაქტორის – ბუნებრივი მატებისა და მიგრაციული მატების (კლების) ზეგავლენის დადგენას, რაც, საბოლოოდ, გამოიხატება მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებაში და ავტონომიური რესპუბლიკის რაიონების მოსახლეობის დინამიკაში ვლინდება (ცხრილი 2).

აჭარის ზღვისპირა რაიონები და ქ ბათუმი აშკარად გამოხატული მიგრაციის დადებითი საღდოთი და მაღალი ბუნებრივი მატებით ხასიათდებოდა, ხოლო მთიანი აჭარის რაიონები – ცალმხრივი მიგრაციით,

<sup>1</sup> Джаошвили В Ш Урбанизация Грузии. Тбилиси, "Мешинერება", 1978, с 185

ცხრილი 2

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება აჭარის არ ადმინისტრაციულ ერთეულებში

ადმინისტრაციული ერთეული	ათასი კაცი				ზრდის ტემპი, %				
	1959	1970	1979	1989	2002	1970 წ 1959-თან	1979 წ 1970-თან	1989 წ 1979-თან	2002 წ 1989 წლიდან
ქ. ბათუმი	82,3	100,6	122,8	136,9	121,8	22,2	22,1	12,0	-11,0
ქობულეთის	54,4	70,7	78,3	88,2	88,1	30,0	10,8	12,6	-0,1
ხელვაჩაურის	42,9	61,9	71,9	82,2	90,8	44,4	16,1	14,9	10,5
ჭყაბუკის	20,3	23,2	23,1	25,4	21,8	14,1	-0,5	7,4	-14,0
ქედის	17,2	19,0	19,2	20,0	20,0	10,8	0,8	2,3	-0,02
ხულოს	28,2	34,2	38,7	39,6	33,4	21,7	13,1	2,2	-15,6
აჭარის არ სული	245,3	309,8	354,2	392,4	376,0	26,3	14,3	10,8	-4,2

უარყოფითი სალდოთი და მაღალი ბუნებრივი მატებით გამოირჩეოდა შედეგად, კრიზისამდელ პერიოდში ზღვისპირა რაიონების მოსახლეობა უპირატესი ზრდის ტემპით ხასიათდება აჭარის მოსახლეობის საერთო მაღალი მატების ტემპის დროს. რაც შეეხება კრიზისის პერიოდს, აჭარაში დემოგრაფიული ვითარება რადიკალურად შეიცვალა. როგორც შემდგომ დაწვრილებით ვნახავთ, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორმირების ძირითად კომპონენტებში ერთადერთი ხელეწაურის რაიონია, სადაც მოსახლეობამ მოიმატა. ყველა დანარჩენ რაიონსა და ქ ბათუმში ემიგრაციული პროცესების გაველენით მოსახ-ლეობის რიცხოვნობა შემცირებულია.

აჭარის მთიანეთში 1959-2002 წწ. პერიოდში მოსახლეობის რიცხოვნობა 14%-ით, ხოლო ზღვისპირა აჭარაში 67%-ით გაიზარდა ეს საკვებით კანონზომიერი პროცესია და ასახევა აჭარის მთიანეთის უკიდურესად შეზღუდული ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალისა და ზღვისპირეთში ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კონცენტრაციის მეტი შესაძლებლობებისა, თანამედროვე ურბანიზაციული პროცესების განვითარებისა ამიტომ თანაფარდობა აჭარის ზღვისპირეთსა და მთიანეთის მოსახლეობის რიცხოვნებებს შორის თანდათან იცვლება თუ 1959 წელს ზღვისპირეთის მოსახლეობა რიცხოვნობით აღემატებოდა მთიანი აჭარის 2,7-ჯერ, 2002 წლისათვის - უკვე 4-ჯერ მთელი XX საუკუნის განმავლობაში აჭარის ზღვისპირეთში მოსახლეობის კონცენტრაცია ხდებოდა ისე, რომ არ იწვევდა აჭარის მთიანეთში ინტენსიური დეპოპულაციის პროცესს, როგორც ეს კავკასიონის მთიანეთში ხდებოდა ეს მნიშვნელოვანი თავისებურება და შემდგომ სხვადასხვა ასპექტში უფრო დეტალურად განვიხილავთ.

მთავარი დემოგრაფიული მაჩვენებელი, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განსაზღვრავდა მოსახლეობის მაღალი ტემპით ზრდას, იყო შობადობა. მაღალი შობადობა მოკვდაობის შემცირების პირობებში ქმნიდა შედარებით დიდ ბუნებრივ მატებას, განსაკუთრებით,

აჭარის სოფლის მოსახლეობაში. მიუხედავად იმისა, რომ 1990-იანი წლების ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისის დროს აჭარაში კატასტროფულად შემცირდა შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელი, ქორწინების დონე, მთელ საქართველოსთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით უპირატესობა მაინც შეინარჩუნა (ცხრილი 3)

### ცხრილი 3

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მთელ საქართველოში, პრომილე

		შობადობა	მოკვდაობა	ბუნებრივი მატება	ჩვილ ბავშვთა მოკვდაობა	ქორწინება	განქორწინება
1960	აჭარა	30,7	6,8	23,9	44,4	11,1	0,4
	საქართველო	24,7	6,5	18,2	36,8	10,6	0,4
1980	აჭარა	21,2	7,6	13,6	36,9	9,4	1,3
	საქართველო	17,7	8,6	9,1	25,4	10,0	1,3
1990	აჭარა	18,9	6,7	12,2	33,6	8,0	1,4
	საქართველო	17,0	8,4	8,6	20,7	6,7	1,4
2003	აჭარა	11,0	6,5	4,5	33,5	3,4	0,4
	საქართველო	10,7	10,6	0,1	94,8	2,9	0,4

როგორც ვხედავთ, ბოლო 45 წლის მანძილზე აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 4-5 პრომილეთი მეტია საქართველოს საშუალო მაჩვენებელზე. ეს განპირობებულია აჭარის მოსახლეობის მაღალი შობადობითა და მოკვდაობის დაბალი მაჩვენებლებით. თავის მხრივ, აჭარის მოსახლეობის შედარებით მაღალი შობადობა ნაწილობრივ, განპირობებული

იყო მეტწილადიანობის ტრადიციით, რაც თავის მხრივ კონფესიური განსხვავებითაც იყო ფორმირებული.

„ეთნიკურ ასპექტში დემოგრაფიული კვლევა არცთუ დიდი ხნის წინ არასასურველ და არახელსაყრელ თემად იყო ოფიციალური ხელისუფლების მიერ მიჩნეული და ყოველთვის ვერც ხერხდებოდა მის ირგვლივ ობიექტური აზრის გამოქვეყნება. ამჟამინდელ პოლიტიკურ სიტუაციაში იგი უკვე აუცილებლობას წარმოადგენს“<sup>1</sup>. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ასპექტს 1970-იან წლების დასაწყისში შეეხებ აკად. პ. გუგუშვილი და პროფ. გ. ადგიშვილი. მათ აჭარის მოსახლეობის მაღალ ბუნებრივ მატებაში კონფესიური განსხვავების როლიც დაინახეს<sup>2</sup>. სსრკ დაშლის შემდეგდროინდელ ლიტერატურაში კი იგი უკვე ხაზგასმითაა აღნიშნული მაგ მ შელია დაწერილებით მიმოიხილავს მიზეზებს, რაც ამა თუ იმ კონფესიური ჯგუფის მოსახლეობის შობადობის დონეზე ზემოქმედებს. იგი ყველა მნიშვნელოვან რელიგიათა შორის უპირატესობას შობადობის სტიმულირების მხრივ ისლამს აკუთვნებს „სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით მან (ისლამმა) არ იცის თავშეკავება და სქესობრივი ასპექტში. ქორწინება თვით ალაჰის მსახურებშიც დაშვებულია. ბავშვები ითვლებიან ალაჰის უმადლეს წყალობად. მრავალწილადიანი ქალები საყოველთაო პატივისცემის საგანნი არიან. მუსლიმანურ ქვეყნებში ყურანი უშვებს დაჩქარებულ მეორე ქორწინებას, ქერივი იქნება იგი თუ განქორწინებული, მხოლოდ საჭიროა გავიდეს 3-4 თვე მანაც, რათა დადგინდეს ქალის ფეხმძიმობა პირველი ქორწინებიდან“<sup>3</sup>. მ შელია გარკვეულ განსხვავებას ხედავს საქართველოში მცხოვრებ არაქართველი და ქართველი მუსულმანური ტრადიციის მქონე ქალების დემოგრაფიულ ქცევაში, მაგრამ

<sup>1</sup> ტულაშვილი მ საქართველოს შრომითი პოტენციალი თბილისი, თსუ 1998, გვ. 42

<sup>2</sup> გუგუშვილი პ საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები თბილისი, „მეცნიერება“, 1972, გვ. 110-112, ადგიშვილი გ. შრომითი რესურსების კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში თბილისი, თსუ, 1971, გვ. 59.

<sup>3</sup> შელია მ მოსახლეობის დაბერება საქართველოში თსუ „ცოდნის წყარო“, 1999, გვ. 63

მრავალშეიღიანობის ტრადიციის შენარჩუნებაზე კონფესიური ნიშნის უარყოფა შეუძლებლად მიაჩნია<sup>1</sup>

პროფ. მ. ტუხაშვილი თელის, რომ „ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფში ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქიკურ-ყოფითი თავისებურებების გამო, რომელსაც ხშირად, არსებითად, კონფესიური კუთვნილება განსაზღვრავს, განპირობებულია ამ ჯგუფებში დემოგრაფიული ქცევის მკვეთრი თავისებურებანი. იგი შობადობის დიფერენციაციაში ელინდება. იმ განსხვავებულ ტრადიციებს შორის, რომლითაც რელიგიური ნიშანი შობადობის მაღალ დონეს განსაზღვრავს, შეიძლება მივაკუთვნოთ კონფესიის იდეოლოგიით განპირობებული ქალთა ემანსიპაციის დონე, უფრო სწორად, ქალთა კარნაკტილობის ხარისხი, ოჯახსა და საზოგადოებაში მათი უფლებრივი მდგომარეობა. რასაკვირველია, ქალთა ემანსიპაციის პროცესი ყველა კონფესიაში მიმდინარეობს, მაგრამ სხვადასხვა სიჩქარით. ეს შობადობის ეთნიკურ-კონფესიურ დიფერენციაციაში აისახება<sup>2</sup>.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ზემოთ მითითებულ ავტორთა შეხედულებას აჭარის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაში რელიგიური ფაქტორის გარკვეული ზეგავლენის შესახებ მაგრამ ეს შეეხებოდა უფრო წინა ათწლეულებს და არა თანამედროვე აჭარის მოსახლეობაში შობადობის ფაქტორებს. კრიზისის პერიოდში აჭარაში უფრო სწრაფი ტემპით მოხდა შობადობის შემცირება, ვიდრე დანარჩენ საქართველოში 2003 წელს განსხვავება შობადობის ზოგად კოეფიციენტებში აჭარასა და საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს შორის მხოლოდ 0,3 პრომილეა, როცა, ვთქვათ, 1980 წელს 3,5 პრომილე იყო, 1960 წელს – 6 პრომილე. იმდენად გაძლიერდა შობადობაზე სხვა ფაქტორების ზემოქმედება, რომ ტრადიციების გავლენამ თანდათან უკანა პლანზე გადაიწია. და თუ ამჟამად აჭარაში ბევრად მეტი ბუნებრივი მატებაა საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ეს მოკვლეობის დაბალი დონითაა გამოწვეული. მოკვლეობის დაბალ ზოგად

<sup>1</sup> შელია მ. მოსახლეობის დაბერება საქართველოში თსუ „ოქტანის წყარო“, 1999, გვ. 64

<sup>2</sup> ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი თბილისი, თსუ, 1998, გვ. 29-30

მაჩვენებელს კი მოსახლეობის შედარებით ახალგაზრდა სტრუქტურა განსაზღვრავს ის, რომ აშკარად შეიმჩნევა აჭარის მოსახლეობაში საქართველოს საშუალო დემოგრაფიულ მაჩვენებლებთან გამოთანაბრების ტენდენცია, ჩანს კი ბათუმის მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის კოეფიციენტებიდანაც აქ ბოლო 25 წლის განმავლობაში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი თითქმის არ შეცვლილა (ცხრილი 4) ასეთი დიდი განსხვავება უბადლობის დონეში, როგორც იყო ქ. ბათუმსა და აჭარის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შორის, საქართველოს სხვა მხარეებში რეგიონულ ცენტრებში შობადობასა და დანარჩენ მოსახლეობაში შობადობის დონეებს შორის არსადაა შემჩნეული. როგორც ჩანს, აჭარის სოფლის მოსახლეობა, რომლის მიგრაციითაც ივსებოდა ქ. ბათუმის მოსახლეობა, ურბანიზებული ვითარებაში სწრაფად კარგავდა მრავალშვილიანობის ტრადიციას და ისეთივე აღწარმოების რეჟიმში ვარდებოდა, როგორც ბათუმში დაბადებული მოსახლეობა. ამასთანავე, როცა შობადობის კონფესიურ ფაქტორზე ვსჯელობთ, სრულებითაც არ ვგულისხმობთ კონფესიურობის ამჟამინდელ პირდაპირ გავლენას შობადობაზე იგი ზოგად ტრადიციებში ჩაეწნა, თორემ 2002 წლის აღწერით მოსახლეობის მხოლოდ 30,6%-ია მაჰმადიანი, ისიც უფრო მეტად ხნიერი მოსახლეობა, როცა ქრისტიან-მართლმადიდებელია აჭარის მოსახლეობის 64% ინტერესობს კლესიური არაა აღინიშნოს, რომ 1897 წლის აღწერით დღევანდელი აჭარის არ საზღვრებში მოსახლეობის 62% იყო მაჰმადიანი, ხოლო მართლ-მადიდებელი 25%, გრიგორიანი – 8%, კათოლიკე – 3% და ა.შ.<sup>1</sup>

საქართველოში და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1990-იანი წლების კრიზისის შედეგად მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფიული მაჩვენებლები. თუ აჭარაში შობადობის კოეფიციენტი შემცირდა 7,9 პრომილეთი, ქობულეთის რაიონში ეს შემცირება 1990–2003 წწ. – 11,4 პრომილეთი აღინიშნა, ხელვაჩაურის რაიონში – 18,2 პრომილეთი, ქედის

<sup>1</sup> აჭარის მოსახლეობის 1897 წლის აღწერებლობითი სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა დოც. მ. შელიამ, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდით.

ცხრილი 4

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა საქარის ადმინისტრაციულ ერთეულებში  
(ყოველ 1000 მცხოვრებზე)

ადმინისტრაციული ერთეული	დაიბადა			გარდაიცვალა			ბუნებრივი მატება		
	1980	1990	2003	1980	1990	2003	1980	1990	2003
ბ ზაოზში	15,5	14,2	16,9	8,3	7,7	8,6	7,2	6,5	8,3
ქიზმულეთის რ-ნი	22,6	19,2	7,8	6,9	5,6	5,0	1,7	13,6	2,8
ხელვაჩაურის რ-ნი	24,3	21,9	3,7	6,0	5,9	5,6	18,3	16,0	-1,8
ქედის რ-ნი	23,6	22,6	11,9	9,0	8,4	8,9	14,6	14,2	3,0
შუახვის რ-ნი	27,8	24,9	13,9	8,2	7,2	6,1	19,6	17,7	7,7
ხულოს რა-ნი	25,6	24,8	15,1	8,5	6,6	3,9	17,1	18,2	11,2
აკარის არ	21,2	18,9	11,0	6,7	6,7	6,5	14,5	12,2	4,5
საქართველო	17,7	17,0	10,7	8,6	8,4	10,6	9,1	8,6	0,1

რაიონში - 10,7 პრომილეტი, შუახევის რაიონში - 11,0 პრომილეტი, ხულოს რაიონში - 9,7 პრომილეტი. მოკვდაობის შედარებით სტაბილიზაციის პირობებში პროპორციულად შემცირდა ბუნებრივი მატების კოეფიციენტებიც ხელვაჩაურის რაიონში კი ბუნებრივი კლებაც დაფიქსირდა. უნდა შეინიშნოს, უმ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლებელია, საქმე გექნოდეს აბადებულთა აღრიცხვის შეცდომასთანაც სამწუხაროდ, ბოლო ხანს ახირდა შემთხვევები, როცა ახალშობილი აღირიცხებიან არა მშობლების ედმივი საცხოვრებელი ადგილის, არამედ სამშობიარო საავადმყოფოების ღვიძლმდებარეობის მიხედვით. არ გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ხელვაჩაურელი ახალშობილები მოხედნენ ქ ბათუმის შობადობის აღრიცხვაში, რამაც, ერთი მხრივ, არაბუნებრივად შეამცირა ხელვაჩაურის რაიონის შობადობის მაჩვენებელი, ხოლო, მეორე მხრივ, გაზარდა იგი ქ ბათუმში ამ ფაქტს ადასტურებს ფესტილობის კოეფიციენტებში სხვაობა აჭარის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას ორის. 2002 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი აჭარაში 2,5 დრის, ქალაქად - მხოლოდ 2, ხოლო სოფლად - 2,9. ასეთი დიდი სხვაობა ალაქსა და სოფელს შორის აღნიშნულ მაჩვენებელში საქართველოს რცერთ მხარეში არ აღინიშნება მეორე, მხრივ, აჭარის სოფლის ოსახლეობაში ჯერ კიდევ ჩანს პოტენცია გაფართოებული აღწარმოებისა.

აჭარის მთიანეთში შობადობის დიდი კლების მიუხედავად, შენარჩუნებულია უფრო მაღალი დონე ზღვისპირეთთან შედარებით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური ვითარების გამოსწორებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შედეგად, გაიზარდება შობადობის კოეფიციენტებიც, თუმცა იგი კრიზისამდელ დონეს, ალბათ, ვეღარ მიაღწევს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აჭარის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში როგორც მთლიანად აჭარაში, ისე ყველა მის ადმინისტრაციულ ერთეულში შეიმჩნევა ის ევოლუციური პროცესები, რაც მთელი თანამედროვე მსოფლიოსთვისაა დამახასიათებელი ეწ დემოგრაფიული დაბერების სახელწოდებით (ცხრილი 5)

## ცხრილი 5

აჭარის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილება  
1959–2002 წწ.

ასაკობრივი ინტერვალი, წწ	1959	1970	1979	1989	2002
0 – 14	32,1	34,0	30,9	29,0	25,0
15 – 59	58,8	55,0	59,0	59,8	61,6
50 წელი და მეტი	9,1	10,5	10,1	11,2	13,4
ქვდიანური ასაკი	24,4	24,6	25,0	27,0	30,2

აჭარაში შეიმჩნევა მოსახლეობის დაბერების ტემპის ზრდა მაშინ როცა 1959–1989 წწ ოცდაათწლიან პერიოდში 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი მხოლოდ 2,1%-ით გაიზარდა, დაახლოებით იგივე ზრდა განხორციელდა 1989–2002 წწ. ბევრად ხანმოკლე პერიოდში. აქ აშკარადაა ამოკვეთილი ე.წ „დაბერება ქვემოდან“, ბავშვების წილის ნახტომისებური ემცირება 29%-დან 25%-მდე

ცნობილმა პოლონელმა დემოგრაფმა ე როსეტიმ შეადგინა ე.წ სიბერის კალა<sup>1</sup>, რომლის მიხედვით, აჭარის არ მოსახლეობა „დემოგრაფიულად აბერებულს“ მიეკუთვნება, თუმცა სხვა რეგიონებს შორის იგი ყველაზე ააკლებადაა დაბერებული ეს დასტურდება აჭარის მოსახლეობის მედიანური ასაკითაც (ეს ის ასაკობრივი წერტილია, რომლის ზემოთა და ქვემოთა ასაკის მოსახლეობა თანაბარი რიცხოვნობისაა), რომელიც ყველაზე დაბალია საქართველოს მხარეებს შორის. მაგ რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში იგი არის 44,5 წელი, აჭარის მეზობელ გურიაში – 37,1 წელი<sup>1</sup>. 60 წელზე უფროსი მოსახლეობის წილიც (13,4%) ყველა სხვა მხარეს შორის აჭარაში

<sup>1</sup> იხილეთ Rosset Э Процесс старения населения. Москва, Статистика, 1968, с.69-71 დემოგრაფიულ ლიტერატურაში ზოგჯერ ამ სკალას ე ზოგ-გარნიე-ე როსეტის სკალასაც უწოდებენ. იხილეთ М. В. Демидова. Москва, "Феникс", 2002, с.128

<sup>1</sup> დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები შრომები კრებული, II, თბილისი, უნივერსალი, 2004, გვ. 130

ყველაზე ნაკლებია ეს კი პერსპექტიული დემოგრაფიული რესურსების თვალსაზრისით, მის უპირატესობას გამოხატავს

საერთო დაბერებასთან ერთად საგრძნობი ცვლილება მოხდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაშიც იზარდა ხნიერი კონტინენტის წილი

დაბერების ზოგად ტენდენციასთან ერთად აუცილებლად აღსანიშნავია არის შიგარევიონური განსხვავებანი მოსახლეობისა და შრომითი კსურსების ასაკობრივ სტრუქტურაში (ცხრილი 6).

### ცხრილი 6

აჭარის მოსახლეობის შრომითი სტრუქტურა, პროცენტობით  
ჯამთან

ადმინისტრაციული ერთეულები	1989				2002			
	შრომის ასაკამდელი	შრომის ასაკის	შრომის ასაკს გადაცილებული	სულ	შრომის ასაკამდელი	შრომის ასაკის	შრომის ასაკს გადაცილებული	სულ
ბათუმი	26,7	58,2	15,1	100	21,1	68,7	10,2	100
იბუღეთის რ-ნი	30,5	56,3	13,2	100	23,0	66,3	10,7	100
ქვეანაურის რ-ნი	33,0	56,8	10,2	100	25,1	65,6	9,3	100
შუახევის რ-ნი	35,0	52,0	13,0	100	28,8	58,4	12,8	100
ქედის რ-ნი	34,6	51,1	14,3	100	25,5	61,7	12,8	100
ხულოს რ-ნი	37,0	50,5	12,5	100	30,4	57,6	12,0	100
აჭარის რ-ნი	31,0	55,4	13,6	100	24,0	65,5	10,5	100

იმისდა მიხედვით, თუ როგორ მიმდინარეობდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ამა თუ იმ რეგიონში (რაიონში) შობადობის, ბუნებრივი მატების და მიგრაციული პროცესები, ჩამოყალიბდა განსხვავებული შრომითი სტრუქტურა სავსებით ბუნებრივია, რომ შრომის ასაკამდელი მოსახლეობის

(ბავშვების) წილი 1989 წლის აღწერის დროს ყველაზე ნაკლები ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ბათუმში იყო და იგივე შენარჩუნდა 2002 წლისათვის. დემოგრაფიული განვითარების არც თუ ისე ხანგრძლივ პერიოდში ახალგაზრდობის წილის ნახტომისებრი შემცირება (7 ოცენტუელი პუნქტით), თანაც ყველა რაიონში მნიშვნელოვანი ცვლილებაა აკობრივ სტრუქტურაში. ამასთანავე, შენარჩუნდა საგრძნობი გადახრები არის რაიონებში ავტონომიური რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებელთან დარებით.

უნდა აღინიშნოს განხილულ პერიოდში შრომის ასაკის არსებითი ცვლილება, მისი ხუთი წლით გაუფროსება. ამან გაზარდა შრომითი რესურსების, შრომისუნარიანი მოსახლეობის წილი, და, ბუნებრივია, შეამცირა საპენსიო ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა ამიტომ შესაძარისობა წინა აღწერის ვითარებასთან, ნაწილობრივ, გართულდა. საშუალოდ 10 პროცენტული პუნქტით გაიზარდა შრომის ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში, ხოლო მხოლოდ 3,1 ოცენტუელი პუნქტით მოიკლო შრომისუნარიან ასაკს გადაცილებულთა წილი.

მთლიანობაში შრომის ასაკის კანონმდებლურმა ცვლილებამ გაზარდა ოგორც შრომის ასაკის მოსახლეობის წილი, ისე აბსოლუტური რაოდენობაც აჭარის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ხულოს რაიონის გარდა, სადაც ცალმხრივი მიგრაციული პროცესის შედეგად 654 კაცით შემცირდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა სხვაგან კი მოსახლეობის რიცხოვნობის საერთო შემცირების პირობებში ადგილი ჰქონდა შრომისუნარიანი მოსახლეობის, შრომითი რესურსების რაოდენობრივ ზრდას. მთლიანად აჭარაში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა თვით უმძიმესი დემოგრაფიული კრიზისის პირობებშიც 27,8 ათასი კაცითაა გაზრდილი, რაც აუცილებლადაა გასათვალისწინებელი აჭარის შრომითი პოტენციალის პერსპექტიული შეფასებისას

საესეებით გასაგებია, რომ ასაკობრივი სტრუქტურისა და, ამავე დროს, შრომის ასაკის მნიშვნელოვანი ცვლილებებისას საგრძნობლად შეიცვალა დემოგრაფიული დატვირთვაც 1989 წელს ყოველ 100 შრომის ასაკის პირზე მოდიოდა 80 არაშრომისუნარიანი ასაკის პირი, მათ შორის 55,5 ბავშვი (ავშეებით დატვირთვა) და 24,5 შრომის ასაკს გადაცილებული პირი. 2002 ელს კი დემოგრაფიული დატვირთვა აჭარაში საგრძნობლად დაემცირებულა. ყოველ 100 შრომის ასაკის პირზე მოდის 53 რაშრომისუნარიანი, მათ შორის 37 ბავშვი და 16 შრომის ასაკს აღაცილებული პირი. ეს ორმა გარემოებამ გამოიწვია. ჯერ ერთი, შემცირდა ათელ მოსახლეობაში ბავშვების როგორც რიცხოვნობა (30,5 ათასი ბავშვით), ასევე მათი წილი, მეორე მხრივ, კი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ასაკობრივი ცენზის ცვლილების გამო შრომის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობაც (13,9 ათასი კაცით)

მეტად საინტერესოა ის ცვლილება, რომელიც მოხდა აჭარის ოსახლეობაში ეკონომიკური დატვირთვის ზრდის სახით მოსახლეობა აუყავით დასაკმებულ და დანარჩენ მოსახლეობად და ვიანგარიშეთ ყოველ 00 დასაკმებულზე სარჩენთა რიცხვი 1989 წლის აღწერით, ოგი 113 კაცი იყო, ოლო შემდგომ, უმუშევრობის განვითარების გამო ეკონომიკური დატვირთვა 41 კაცამდე გაიზარდა. ეს მნიშვნელოვანი თვისებრივი ცვლილებაა, რაც გეკარნახობს შემდგომში დაწერილებით განვიხილოთ და შევისწავლოთ უმუშევართა კონტინენტი, ასევე დატვირთვის გაზრდის პირობებში დასაკმებული მოსახლეობის შრომის პირობები.

ერთ-ერთი არსებითი ეთნოდემოგრაფიული მახასიათებელი, რომელიც აჭარის მოსახლეობის განვითარებაში ცვლილებებს ასახავს, ესაა მისი ეროვნული შემადგენლობის ცვლილება და ქართველთა წილის არნახული ტემპით ზრდა (ცხრილი 7). თუ XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში ძირითადად ეს აჭარის ქართველი მოსახლეობის მაღალი შობადობისა და უპირატესი ბუნებრივი მატების წყალობით ხდებოდა, კრიზისის პერიოდში მას

ემიგრაციული პროცესებიც დაემატა, რასაც შემდეგ პარაგრაფში დაწვრილებით მიმოვიხილავთ.

1959 წლის აღწერის მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მხოლოდ ორი მესამედია ქართველი, ოცი წლის შემდგომ – ოთხი მეხუთედი, ხოლო 2002 წელს ქართველი მოსახლეობის წილმა 93,4% შეადგინა ივალს თუ გადავაყვებთ და

### ცხრილი 7

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება 1959–2002 წწ პროცენტობით ჯამთან<sup>1</sup>

	1959	1970	1979	1989	2002
ქართველი	72,8	76,5	80,1	82,8	93,4
აფხაზი	0,5	0,4	0,4	0,4	0,4
რუსი	13,4	11,6	9,8	7,7	2,4
უკრაინელი	2,4	2,3	1,5	1,5	0,3
სომეხი	6,4	5,0	4,6	4,0	2,3
ბერძენი	2,3	2,2	2,0	1,9	0,6
სხვა ეროვნებანი	2,2	2,0	1,6	1,7	0,6
სულ	100	100	100	100	100

შევადარებთ სხვადასხვა ეროვნებებში შობადობის დონეებს და ამ ეროვნების მოსახლეობათა ასაკობრივ სტრუქტურებს, დავინახავთ, რომ პერსპექტივაში კიდევ მეტადაა მოსალოდნელი ქართველი მოსახლეობის წილის მატება

დემოგრაფიული პერსპექტივის თვალსაზრისით, რომელიც შრომითი რესურსების რაოდენობრივი მხარის პერსპექტივასაც განსაზღვრავს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ე.წ რეპროდუქციულ განწყობას, რომლის შესწავლაც 2002 წლის მოსახლეობის აღწერის დროს მოხერხდა აღნიშნული ბავშვების

<sup>1</sup> შესაბამისი წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მასალების მიხედვით

რაოდენობის რეალიზაცია შესაბამის პირობებს მოითხოვს. აღწერაც ჩატარებულია ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისის დროს. თუმცა მხარეებს შორის დიფერენციაცია კვლავწარმოებით განწყობაში აშკარად შეინიშნება (ცხრილი 8).

### ცხრილი 8

მოსალოდნელ ბავშვთა საშუალო რიცხვი 15–49 წლის ყოველ  
გათხოვილ ათას ქალზე საქართველოს მხარეებში

აქართველოს მხარეები	სულ – ბავშვი	ქალაქის მოსახლეობა	სოფლის მოსახლეობა
ქ თბილისი	2061	2061	2304
აჭარის არ	2559	2233	2827
გურიის მხარე	2378	2312	2403
იმერეთის მხარე	2243	2071	2409
ახეთის მხარე	2453	2181	2523
ცხეთა-მთიანეთის მხარე	2430	2305	2476
იაჭა-ღეჩხუმიშა და ქვემო ვანეთის მხარე	2507	2426	2532
ამგერელო-ზემო სვანეთის ხარე	2379	2187	2510
სამცხე-ჯავახეთის მხარე	2614	2374	2722
ქვემო ქართლის მხარე	2500	2245	2652
შიდა ქართლის მხარე	2404	2232	2509
საქართველო – სულ	2334	2133	2562

15–49 წლის ყოველ გათხოვილ 1000 ქალზე მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რიცხვის მიხედვით აჭარა მხოლოდ ოდნავ ჩამორჩება სამცხე-ჯავახეთს, სოფლის მოსახლეობა კი ყველა მხარეს აღემატება. აშკარაა, რომ შეიღიანობის აქაური ტრადიცია, რაზეც ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, გარკვეულწილად იქნება მომავალშიც რაღაც დროით შენარჩუნებული რაც

შეეხება ქალაქის მოსახლეობას, აქ აჭარის ქალაქების მოსახლეობა საქართველოს სხვა მხარეების ქალაქის მოსახლეობისაგან დიდად არ განიჩნევა. ამიტომ დემოგრაფიული ზრდის საფუძველს მაინც სოფლის მოსახლეობა წარმოადგენს

აჭარის მოსახლეობის აღწარმოების მაჩვენებლებში განსხვავება საქართველოს სხვა მხარეებთან, მისი „დემოგრაფიული მისია“ საქართველოს ხვა მხარეების თავისებური დონორი იყოს, დიდი აუცილებლობით სვამს აკითხს, უფრო ღრმად იქნეს შესწავლილი აჭარის სოფლის მოსახლეობაში ამდინარე აღწარმოებითი ტენდენციები, კანონზომიერებები, თავისებურებანი, პერსპექტივები, რითაც უნდა დაინტერესდეს არა მარტო სამეცნიერო საზოგადოება, არამედ ხელისუფლების ორგანოებიც მათ დემოგრაფიულ პოლიტიკაში უნდა გაითვალისწინონ ჩვენს მიერ არაერთხელ ხაზგასმული „აჭარა-დონორის“ ფაქტორი და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი აქ შედარებით მაღალი შობადობის შენარჩუნებას. ამით საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვან ელილს შეიტანენ. როგორც ცნობილი დემოგრაფი გ. ფირცხალავა წერს, თანამედროვე ეტაპზე საქართველოში აჭარა შეიძლება მივიჩნიოთ თავისებურ დემოგრაფიულ მოდელად, რომლის ძირითად დემოგრაფიულ არამეტრებზე ორიენტირებული უნდა იქნეს ქვეყნის სხვა რეგიონების დემოგრაფიული განვითარება<sup>1</sup>.

აქვე არ შეიძლება არ შეგნერდეთ მოსახლეობის ისეთ ხარისხობრივ (თვისებრივ) მაჩვენებელზე, როგორიცაა განათლების დონე. დღეს იგი შრომითი პოტენციალის არსებითი მხარეა

აჭარის მოსახლეობის განათლების დონე მხოლოდ ოდნავ ჩამორჩებოდა საქართველოს სხვა მხარეების მოსახლეობის განათლების მაჩვენებლებს. 2002 წლის აღწერით კი, იგი უკვე წინ უსწრებს მათ 15 წლისა და უფროსი

<sup>1</sup> ფირცხალავა გ. თანამედროვე დემოგრაფიული ტენდენციები საქართველოში, მათი რეგიონული თავისებურებები და პრობლემები კრებულში საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულენები გარდამავალ პერიოდში ბათუმი-თბილისი, 2001, გვ. 89

ასაკის მოსახლეობაში უმაღლესი განათლების პირთა რაოდენობით (ცხრილი 9)

ცხრილი 9

საქართველოს მხარეებში 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის

რიცხოვნობა განათლების დონის მიხედვით 2002 წელს

(ყოველ 1000 კაცზე აქვს განათლება)<sup>1</sup>

საქართველოს რეგიონები	უმაღლესი	დაუმთუმაღლესი	საშუალო-სპეც.	საშუალო	საბაზო	დაწყებითი
ქ თბილისი	424	51	147	253	76	21
აჭარის არ	175	33	149	408	129	73
გურიის მხარე	144	21	337	337	147	90
იმერეთის მხარე	185	29	183	388	114	55
კახეთის მხარე	151	21	157	369	139	110
მცხეთა მთიანეთის მხარე	154	27	173	322	156	111
რაჭა-ლეჩხუმ ქვე სვანეთის მხარე	145	19	191	355	143	99
სამეგრელო - ზემო სვანეთის მხარე	155	37	173	439	106	53
სამცხე-ჯავახეთის მხარე	117	19	140	403	153	98
ქვემო ქართლის მხარე	128	22	113	421	141	109
შიდა ქართლის მხარე	158	29	158	368	137	92
საქართველო - სულ	224	33	157	358	116	67

თუ არ ჩაეთვლით თბილისსა და იმერეთის მხარეს (ქუთაისი), მაშინ დანარჩენ მხარეებთან შედარებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის განათლების დონე მაღალია საქმოდ მაღალია შრომითი რესურსების განათლების დონეც ეს ყველა პირობას ქმნის, რათა აჭარაში

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები სსსდ თბილისი 2004 გვ. 91

განვითარდეს მაღალი ტექნოლოგიები, რასაც ჩვენ შემდგომ პარაგრაფებში განვიხილავთ.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ რომ:

- აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიული ზრდა ბოლო ათწლეულებში მიმდინარეობდა უპირატესი ტემპით, ვიდრე საშუალოდ საქართველოს მოსახლეობისა განსაკუთრებით დიდი იყო ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რაც, თავის მხრივ, მაღალი შობადობისა და მოკვდაობის შემცირების შედეგი იყო

- ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბუნებრივ – საწარმოო პირობების შეზღუდულობა და სწრაფი დემოგრაფიული ზრდა აჭარის მთიანეთში ქმნიდა ე.წ ტარბ შრომით რესურსებს, რის მეოხებითაც აჭარა გადაიქცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შრომითი რესურსების დეფიციტის შეესების წყაროდ მოსახლეობის ორგანიზებული გადანაწილების გზით მეორე მხრივ, აჭარის მთიანეთის მოსახლეობის მაღალმა ბუნებრივმა მატებამ თავისებური ბიძგი მისცა ქ ბათუმისა და აჭარის ზღვისპირეთის უფრო ინტენსიურ სამეურნეო ათვისებას

- 1990-იანი წლების ეკონომიკური და დემოგრაფიული კრიზისის გაველნით აჭარაში უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში შემცირდა შობადობის მაჩვენებელი; თუმცა იმის გამო, რომ მოსახლეობა შედარებით ახალგაზრდა იყო, მოკვდაობის ზოგადი მაჩვენებლის შედარებითმა სიმცირემ განაპირობა ბუნებრივი მატების ბევრად მაღალი ტემპის შენარჩუნება საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით მაგრამ ემიგრაციის ინტენსიურობის მეტად გაზრდის პირობებში ბუნებრივი მატება უკვე ვეღარ ტარობდა მიგრაციის უარყოფით საღდოს, რის გამოც აჭარის მოსახლეობამ კრიზისის პერიოდში ეკლება განიცადა.

- ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს, საქართველოს და აჭარის მოსახლეობაშიც ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობისა და შრომითი რესურსების დემოგრაფიული დაბერების პროცესი. ხაერთო დაბერებასთან

ერთად, საგრძნობლად დაბერდა შრომისუნარიანი კონტინგენტი, გაიზარდა ხნიერი ასაკის მოსახლეობის წილი

- ეროვნულ უმცირესობებში უფრო ინტენსიურად განვითარებულმა ემიგრაციულმა პროცესებმა და მათში დაბალმა ბუნებრივმა მატებამ კანსაზღვრა აჭარაში ავტოქთონური მოსახლეობის წილის ზრდა

- აჭარის მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის ანალიზმა აკინვენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობაში ძოსალოდნელ ბავშვთა რიცხვი აღემატება საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც აჭარის შემდგომი დემოგრაფიული ზრდის საფუძველს იძლევა და, მოსალოდნელია, რომ შობადობის დონის გარკვეული რეპილიტაციის შემდგომ, საჭირო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში აჭარამ კვლავაც შეინარჩუნოს ის დიდი დემოგრაფიული მისია, რაც მას XX საუკუნის საქართველოში ჰქონდა სხვა რეგიონების „დემოგრაფიული დონორის“ სახით

აჭარის მოსახლეობის განათლების დონის ანალიზით დასტურდება, რომ განათლების პოტენციალით იგი საქართველოს რეგიონებს შორის მოწინავე ადგილზეა და მომავალში აჭარაში მაღალი ტექნოლოგიების განვითარების ყველა პირობას ქმნის.

## § 2.2. მიგრაციის გავლენა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორმირებაზე

აჭარის შრომითი რესურსების ფორმირებაზე ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობა

- მოსახლეობის მიგრაცია ეტიმოლოგიურად „მიგრაცია“ ნიშნავს გადაადგილებას. იგი მეტად მრავალმხრივი პროცესია და სხვადასხვა

კუთხით რამდენიმე მეცნიერება სწავლობს მიგრაციას იკვლევენ გეოგრაფები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, ეკონომისტები, დემოგრაფები და ა.შ.

მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება, რომელიც თანდათან სულ უფრო მატულობს როგორც ქვეყნების შიგნით, ისე ქვეყნებს შორის, ცვლის მოსახლეობის განლაგებას და უკვე სულ სხვა პროპორციით აყალიბებს მოსახლეობის განაწილებას ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია თანამედროვე მსოფლიო საზოგადოების უმნიშვნელოვანეს გლობალური ხასიათის პრობლემას წარმოადგენს და კარგადაცაა შესწავლილი, ბევრი ავტორი თვლის, რომ „მიგრაციის რაიმე მწყობრი თეორია ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა“ მისი აღიარებული ფუძემდებლის ე. რავენშტეინის (XIX საუკუნე) მიერ ჩამოყალიბებულია მიგრაციის კანონები<sup>1</sup>, მაგრამ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ მიუხედავად მათი უნივერსალური ხასიათისა, ისინი მაინც იმ ეპოქას ასახავენ და სრულად ვერ ითვალისწინებენ თანამედროვე მსოფლიო ვითარებას ე. რავენშტეინი მიგრაციის ძირითად მიზეზად - ეკონომიკურ მიზეზს გამოჰყოფს, რაც მსოფლიო მოსახლეობის ტერიტორიულ მოძრაობაში ამჟამადაც გადამწყვეტია, თუმცა პოლიტიკური და სხვა სოციალური ხასიათის მიზეზებიც საკმაო წილით გამოირჩევა

გვერდს ვერ აუუვლით იმ გარემოებას, რომ თვით მიგრაციის განმარტებაში ერთიანობა არ არსებობს ავტორები გამოყოფენ ოთხ მიდგომაზე.

- მიგრაციაში თვლიან მოსახლეობის მოძრაობის ყველა სახეს, რომელსაც კი რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია აქ ტერიტორიის გარდა შეჰყავთ სოციალური გადაადგილებაც (დარგობრივი, პროფესიული გადაადგილება, კადრების დენადობა და ა.შ.).

<sup>1</sup> გაჩეჩილაძე რ მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები გაეროს პროგრამა, თბილისი, 1997, გვ. 7

<sup>2</sup> Миграция населения. Теория и практика исследования. Москва, 2001, с 5

- მეორე ჯგუფი მკვლევარებისა, მიგრაციას განმარტავს, როგორც მოსახლეობის ყოველგვარ სივრცობრივ გადაადგილებას აქ შედის სეზონურ სამუშაოებზე, მივლინებებსა და თვით შევებულების დროს მოსახლეობის გადაადგილებაც კი (ეწრეკრეაციული მიგრაცია);

- მესამე მიდგომით, აუცილებელია საცხოვრებლის მუდმივი ან დროებითი შეცვლა, მხოლოდ ამ პროცესს თავისებური მუდმივობა უნდა ახასიათებდეს და ეპიზოდურობის ელემენტი უნდა გამოირიცხოს,

- მიგრაციას მიაკუთვნებენ, აგრეთვე, მოსახლეობის ისეთ სივრცობრივ მოძრაობას, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მიჰყავს იგი (მოსახლეობა) საბოლოო ტერიტორიულ გადაწაწილებამდე. ამ შემთხვევაში უკვე აქ აღარ შედის შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია, სეზონური მიგრაცია და ა.შ.

ჩვენს ნაშრომში დღევანდელი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განვიხილავთ სწორედ მიგრაციის ისეთ სახეს, როცა მას მოსდევს შედარებით ხანგრძლივი დროით ან მუდმივად საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. აღნიშნულ ტერიტორიულ მოძრაობას არსებითი ცვლილებები მოსდევს აჭარის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების როგორც რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებში, ისე მათ რეგიონულ განაწილებაშიც.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ისევე, როგორც მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ბუნებრივი მოძრაობის გამოკვლევის დროს, აქაც სწორი მიდგომა არის, თუ მიგრაციის ანალიზის დროს შექლებისდაგვარად ცალკე გამოვეყოფთ მთიან და ზღვისპირა აჭარას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება შრომითი რესურსების საერთო რაოდენობასა და მისი ტერიტორიული ცვლილებების საბოლოო შედეგებს ამასთან, გაეითვალისწინებთ, რომ აჭარა საქართველოს ის რეგიონია, სადაც მის ნაწილში ბოლო პერიოდამდე შემოგვრჩა შედარებით მეტი ბუნებრივი მატება. აქ მოსახლეობის შეფარდებითი სიჭარბისა და ეკოლოგიურ გარემოებათა გამო საქართველოს სხვა რეგიონებში მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლებისათვის დემოგრაფიული რესურსები, ასე თუ ისე, არსებობს.

აუცილებლად მიგვაჩნია, შევეხოთ მოსახლეობისა და შრომითი რესურსების მიგრაციის აღრიცხვას და, საერთოდ, მიგრაციის სტატისტიკის საკითხებსაც.

იგი დაკავშირებულია საპასპორტო რეჟიმის ლიბერალიზაციასთან და მითითებული აქვთ სხვა ავტორებსაც<sup>1</sup> საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გადასვლის პირობებში როგორც სტატისტიკის სხვა სფეროებში, მიგრაციის სტატისტიკაშიც დასაუვლეთში კარგად აპრობირებული მეთოდები დანერგეს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერჯერობით, მიგრანტთა აღრიცხვა მეტად არასრულია ამიტომ აღნიშნული პერიოდისათვის იძულებული ვართ, დაგვაყოფილდეთ 2002 წლის მოსახლეობის აღწერით მიღებულ შედეგებს. ასევე, მოსახლეობის რიცხოვნობის აღწერათაშორის სადღოდან მიგრაციის გამოთვლის მეთოდს გამოვიყენოთ თვით აღწერის დროს მიგრაციის თაობაზე ინფორმაცია უნდა ითქვას, რომ წინა აღწერებისაგან განსხვავებით, 2002 წლის მოსახლეობის აღწერამ მეტი ინფორმაცია მოგვცა მოსახლეობის შიგა ტერიტორიულ მოძრაობაზე, განსაკუთრებით, საქართველოს მხარეების მიხედვით მის გადანაწილებაზე.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღწერის მასალებში მეტად რთულდება შრომითი და მუდმივი ემიგრანტების ცალ-ცალკე გამოიჯენა, თუმცა შესაძლებელი იყო, თუ აღწერა მეთოდურად სწორად წარმართებოდა, მათი ცალკე აღრიცხვაც და დამუშავებულ მასალებში გამოყოფაც ეს კი საჭიროა, რადგანაც მეტად დიდი ზეგავლენა მოახდინა აჭარის შრომითი რესურსების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მანქნეებლებზე კრიზისის პერიოდში აღმოცენებულმა მაღალი ინტენსივობის შრომითმა ემიგრაციამაც მის შესახებ ინფორმაცია მიმდინარე სახელმწიფო სტატისტიკურ აღრიცხვაში თითქმის არ მოიპოვება. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს დისერტაციაში იგი

<sup>1</sup> ზერულავა ნ მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომოვებელ რეგიონებში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2001, გვ 3-4

ჭიაბავილი შ თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეზიუმე, თბილისი, 1999 ტუსამევილი მ საქართველოს შრომითი პოტენციალი ფორმირება და განაწილება. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 99-100

შერჩევითი გამოკვლევის მეთოდით შეგვესწავლა ამის საკმარის კარგი პრაქტიკა არსებობს საქართველოში და არცთუ ცუდი შედეგებია მიღებული<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ბოლო ორ აღწერათაშორის პერიოდში როგორც მთელი საქართველოს, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობა შემცირდა 16876 კაცით და 2002 წელს 1989 წელთან მიმართებაში მხოლოდ 95,7% შეადგინა კლება მთლიანად აჭარის გარე მიგრაციულ პროცესებზე მოდის, როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის სხვა რეგიონებში მოსახლეობის გადასვლაზე თუ ზემოაღნიშნულ ციფრს (16,9 ათასი) დაემატებოდა აღწერებს შორის აჭარის მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ, მაშინ მივიღებთ მოსახლეობის იმ რიცხოვნობას, რომელიც 1989–2002 წწ. მიგრაციულ კლებას გვიჩვენებს როგორც პირველადი სტატისტიკის მონაცემებით ირკვევა, 1989–2001 წწ. 13 წლის განმავლობაში აჭარის მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 40,5 ათასი კაცი, თუ მას შევაჯამებთ აღწერათაშორის მოსახლეობის სხვაობასთან (16,9 ათასი), მივიღებთ, რომ აღწერათაშორის პერიოდში აჭარაში მიგრაციული კლება ყოფილა 57,4 ათასი კაცი. როგორც მასალის ანალიზი ცხადყოფს, მიგრაციული კლება ძირითადად ემიგრაციული პროცესების გამო მოხდა აჭარიდან საზღვარგარეთ მუდმივ საცხოვრებლად წავიდა 50 ათასზე მეტი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის 13,1%.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ემიგრაციულ ნაკადებში მაღალი იყო არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წონა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა აჭარის მოსახლეობაში ქართველთა წილის ნახტომისებრი მომატება 82,8%-დან 93,4%-მდე ცხადია, ჩვენ არ გვაპოვებდა აჭარულ მოსახლეობაში შემორჩენილი უფრო მეტი ბუნებრივი მატების მაჩვენებელი იქ მცხოვრებ სხვა ძირითად ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით.

<sup>1</sup> შრომითი მიგრაცია საქართველოდან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. თბილისი 2003. პეტიე 5 საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია, ცოდნის წყარო. თბილისი 2000. მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში ლევა, თბილისი, 2003 და სხვა

1989–2002 წწ. ემიგრაციის გამო აჭარაში რუსების რიცხოვნობა შემცირდა 3,3-ჯერ; სომხებისა – 1,8-ჯერ, ბერძნებისა – 3,4-ჯერ, უკრაინელებისა – 6,6-ჯერ, აზერბაიჯანელებისა – 2-ჯერ და ა.შ. მაშინ როცა, ქართველთა რიცხოვნობამ, პირიქით, 26,3 ათასით (6,9%) მოიმატა ამრიგად, გარე მიგრაციული პროცესების შედეგად მოსახლეობა უფრო მონოეთნიკური გახდა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ ნახევარი საუკუნის წინ აჭარის მოსახლეობაში ქართველები მხოლოდ 72,8% იყვნენ (1959 წ.), ხოლო ბათუმში – ნახევარზე ნაკლებნი (48,8%).

თუ ვემსჯელებთ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, აჭარიდან ემიგრირებულთა 56,4% რუსეთის ფედერაციაზე მოდის, 27,3% – საბერძნეთზე, 3,8% – უკრაინაზე, 2,1% – აშშ-ზე, 2,4% – გერმანიაზე და ა.შ. ემიგრანტთა უმეტესობა, მათ შორის ყველა ეროვნების ემიგრანტებისა საცხოვრებლად გადასულია რუსეთში; მთელი საქართველოსთვის რუსეთში საცხოვრებლად წასულთა წილი (64,1%) – კიდევ უფრო მეტია.

ისევე როგორც მთლიანად საქართველოსათვის, აჭარისათვისაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის გადაადგილების ძირითადი ტენდენციების გამოვლენას, როგორც აჭარის შიგნით რაიონებსა და ქალაქებს შორის, ისე მიგრაციული კავშირების დადგენას საქართველოს სხვა რეგიონებთან. ამ მხრივ აჭარას სპეციფიკა გააჩნია. უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი აჭარის სწრაფი ბუნებრივი მატება, რომელიც ბოლო წლებამდე იყო დამახასიათებელი, ქმნის ამ ზონაში ე.წ. ტარბ შრომით რესურსებს, რომელთა ადგილზე სრულად დასაქმება შეუძლებელია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიმცირის გამო. როგორც გამოკვლევებშია აღნიშნული, ოჯახის გაყოფით გამოწვეული მოთხოვნილება საკარ-მიდამო ფართზე იმდენად დიდი იყო ხოლმე, რომ შეუძლებელი ხდებოდა მათი ჯეროვანი დაკმაყოფილება ამას გარდა, ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე აჭარისათვის დამახასიათებელი ეკოლოგიური კატასტროფების – დვარცოფების, მეწყერების და ეროზიული პროცესების შედეგად აჭარის მთიანეთში წაიღეკა 11,5 ათასი ჰექტარი სასოფლო-

სამეურნეო სავარგული<sup>1</sup>. მარტო 1989 წლის აპრილის ტრაგედიის შედეგად დაინგრა მთლიანად ან ცხოვრება შეუძლებელი გახდა 1196 სახლში, დაიკარგა 3250 ჰა მიწა. ამ დროს ოჯახის გაყოფას ექვემდებარებოდა და თხოულობდა დამატებით მიწის ნაკვეთს 2 ათასზე მეტი ოჯახი ერთი მხრივ, საცხოვრებელი სივრცის კატასტროფული შემცირება, ხოლო, მეორე მხრივ, საკარმიდამო მიწაზე მოთხოვნის კატასტროფული ზრდა ქმნიდა წინაპირობებს მთიანი აჭარის რაიონებიდან სხვა რაიონებში მოსახლეობის გადასანაწილებლად.

როგორც მოსახლეობის ბოლო, 2002 წლის აღწერის მასალების ანალიზით ირკვევა, აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან განსხვავებული მიგრაციული ინტენსიურობით ხასიათდება ყველაზე დიდი ინტენსიურობა მოსახლეობის გაცვლის თვალსაზრისით აჭარას აქვს გურიის მხარესთან (ცხრილი 10) როგორც წასული, ისე

### ცხრილი 10

აჭარის მიგრაციული კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებთან<sup>2</sup>

რეგიონები	აჭარაში დაბადებული ცხოვრობს სხვა რეგიონში		საქართველოს სხვა რეგიონში დაბადებული ცხოვრობს აჭარაში		საღლი
	აბს.	%	აბს.	%	
თბილისი	9094	24,3	2674	9,0	-6420
აფხაზეთი	1	0,0	6281	21,1	+6280
გურია	12109	32,2	10245	34,3	-1864
იმერეთი	4108	11,0	5372	18,0	+1264

<sup>1</sup> შუტკრაპე თ თანამედროვემიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, თამარანი, ბათუმი, 1996, გვ 21

<sup>2</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოსმოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. III, ნაწ II - მოსახლეობის მიგრაცია, თბილისი, 2004 გვ 181-183 მიხედვით

კახეთი	2120	5,7	482	1,6	-1638
მცხეთა-მთიანეთი	160	0,5	131	0,4	-29
რაჭა-ლეჩხუმ სვანეთი	149	0,4	420	1,4	+271
სამეგრელო სვანეთი	2009	5,4	2157	7,2	+148
სამცხე-ჯავახეთი	3144	8,4	1044	3,5	-2400
ქვემო ქართლი	3443	9,2	303	1,0	-3140
შიდა ქართლი	861	2,3	731	25	-130
სულ	37498	100	29840	100	-7658

აჭარაში შემოსული ნაკადის მესამედი გურიაზე მოდის. სავსებით ბუნებრივია თბილისთან მოსახლეობის მიმოცვლის დიდი უარყოფითი ბალანსი, შეფარდება ნაკადებს შორის უდრის 3,41 აფხაზეთთან მიმართებაში აბსოლუტურად დადებითი სადღო გამოწვეულია აფხაზეთის ცნობილი მოვლენების გამო იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალათასიანი ნაკადის შემოსვლით რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, კახეთს, ამ მხარეებთან მიგრაციული კავშირები ორგანიზებული მიგრაციის ფორმით ჩამოყალიბდა და შედეგიც აისახა ეფიქრობთ, რომ მიგრაციის აღრიცხვა და, შესაბამისად, აბსოლუტური მაჩვენებლები, შესაძლოა, ზუსტი არ იყოს, მაგრამ მიგრაციის მიმართულებებისა და ნაკადთა თანაფარდობების, მთლიანი ნაკადის სტრუქტურის დასადგენად, იგი კარგი მასალაა. აშკარად ჩანს, მაგალითად, რომ მთიანი აჭარის მოსახლეობის ჩამოსახლება მიმდინარეობს გურიის მხარეში, სანაცვლოდ კი გურიის მოსახლეობის ნაწილი გადადის საცხოვრებლად აჭარის ზღვისპირეთში და, მათ შორის, ქალაქ ბათუმში

თვით აჭარის ამჟამინდელი იქ მცხოვრები მიგრირებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი - 59,1% აჭარის შიგარაიონულად გადაადგილებულნი არიან, ყველაზე დიდი ნაკადი კი შემოსულია გურიის მხრიდან (11%), დსთ ქვეყნებიდან (8,5%) და აფხაზეთიდან (6,7%) (ცხრილი 11)

აჭარის გარედან მიგრანტებს ყველაზე მეტად ბათუმი და ქობულეთის რაიონები იზიდავს. ბათუმში 2002 წელს მცხოვრებ მიგრანტთაგან ნახევარზე ოდნავ მეტი (50,5%) აჭარის გარედანაა შემოსული, მათ შორის 10,4% დღეს ქვეყნიდან, 16,2%—გურიიდან, 8%—იმერეთიდან. ბათუმში ამჟამად მცხოვრებ მიგრანტთაგან თვით აჭარაშია დაბადებული 49,5%, ანუ ისინი მიგრირებულნი არიან შიგა გადაადგილების შედეგად

დიდი შიგარეგიონული გადაადგილებანი შეიმჩნევა ხელვაჩაურის რაიონში ამჟამად მცხოვრებ მიგრანტებში, მათი 79,4% აჭარაშია დაბადებული, ხოლო ქობულეთის რაიონში შედარებით მეტად იგრძნობა გარემიგრანტთა შემოსვლა (45,1%).

მიგრაციის შიგარეგიონური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აჭარის მოსახლეობის შიგამიგრაციული გადნაწილების პროცესი, რომლის მთავარი მიმართულებები იყო მთიანი აჭარის სწრაფი ბუნებრივი ზრდის გამო ზღვისპირა აჭარაში მოსახლეობის ჩამოსახლება, მათ შორის ქ ბათუმში მთიანი აჭარის რაიონების მიგრაციაში უკუმიგრაციული ნაკადები სუსტია, რაც ხავესებით ბუნებრივია მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი, თუმცა სოფლის მოსახლეობის შედარებით დიდი ბუნებრივი მატების ფონზე მას ისეთივე კატასტროფული დემოგრაფიული შედეგები არ მოჰყოლია, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებს ახასიათებს.

აჭარის მოსახლეობის მიგრაციაში ჩვენ განსაკუთრებით გვინდა გამოეყოთ ორგანიზებული მიგრაცია იგი ყოველთვის იყო საქართველოს ხელისუფლების მეტ-ნაკლები ზრუნვის საგანი და ამჟამადაც სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი. იმავდროულად, მის შესწავლას დიდი ყურადღება დაუთმეს ქართველმა მეცნიერებმა (კ გუგუშვილი, გ ჯაოშვილი, მ. ტუხაშვილი, თ ფუტკარაძე, მ ფუტკარაძე, ნ. მეგლაძე, ზ დავითაძე, თ ზუბიაშვილი, ი. ხაჩიძე, მ. ტულუში და სხვები) მიგრაციის ამ სახეს სახელდობრ, აჭარისთვის პქონდა დიდი მნიშვნელობა და მთლიანად საქართველოსთვისაც. როგორც მ. ტუხაშვილი აღნიშნავს, „ეთნიკური

განსხვავებით ჩამოყალიბებული მოსახლეობის მატების სხვადასხვა ტემპი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის რეგიონური განსხვავებანი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა მიგრაციის მართვის ამოცანებს, კერძოდ, მოსახლეობის ორგანიზებული გადანაწილების საკითხს, რაც ტოტალიტარული სახელმწიფო მართვის პირობებში შედარებით ადვილი იყო ისინი პასუხობდა კონკრეტულ მიზნებსაც და განსახლების სრულყოფის საერთო სტრატეგიასაც<sup>1</sup>. აქვე იგი ეხება 80-იანი წლების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აჭარიდან ორგანიზებული ჩასახლების კონკრეტულ მიზნებს და აღნიშნავს, რომ შრომითი რესურსების გადანაწილების მიზანი იყო ა) არასწორი მიგრაციული პოლიტიკის გამო ლიკვიდაციამდე მისული დასახლებული პუნქტების აღორძინება ბ) დიდი სასოფლო-სამეურნეო რესურსების მქონე რაიონების ინტენსიური ათვისების დაჩქარება გ) სხვადასხვა რეგიონის ეთნობალანსის სრულყოფა დ) სტიქიური უბედურების ზონებიდან მოსახლეობის გამოყვანა<sup>2</sup>

თ ფუტკარაძე და მ. ფუტკარაძე, რომლებმაც გამოიკვლიეს თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში, ახასიათებენ 1971-1990 წწ ორგანიზებულ ჩასახლებებს აჭარის მთიანეთიდან აჭარის ზღვისპირეთსა და საქართველოს სხვა რეგიონებში (ცხრილი 12)<sup>3</sup> როგორც აღნიშნული მასალის ანალიზი გვიჩვენებს, ბოლო 35 წლის განმავლობაში მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობდა აჭარის მთიანეთიდან მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლების პროცესი, იგი განსაკუთრებით ინტენსიურია 1989 წლის აპრილის კატასტროფის შემდგომ მართალია, საქართველოში 1990-იან წლებში დატრიალებულმა მოვლენებმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა საშუალება არ მისცა სრულად განხორციელებულიყო ორგანიზებულ ჩასახლებათა

<sup>1</sup> ტუაშვილი მ საქართველოს შრომითი პოტენციალი თსუ გამომცემლობა, თბილისი 1998. გვ 137

<sup>2</sup> იქვე გვ 138

<sup>3</sup> ფუტკარაძე მ მთიანი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები აჭარა. ბათუმი, 1996. გვ 60 ფუტკარაძე თ თანამედროვე მიგრაციული პროცესები აჭარის მთიანეთში. თამარაანი, ბათუმი, 1995. გვ. 19

მთიანი აჭარის მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია  
1971-1990 წწ. (კაცი)

ჩასახლების რეგიონი	ჩასახლების პერიოდი, წწ.					
	1971-1975	1976-1980	1981-1985	1986-1988	1988-1990	1971-1990
აჭარის ზღვისპირეთი	1883	1528	1705	1582	3092	9780
გურია	2126	2960	2721	1685	3178	12672
იმერეთი	-	-	-	-	1950	1950
ქართლი	176	204	224	268	3095	3967
კახეთი	-	-	188	864	3753	4805
სამცხე	268	305	1076	286	1577	3512
ჯავახეთი	-	-	-	-	287	287
კრასნოდარის მხარე	2	26	105	115	-	248
სულ	4759	5290	6308	5136	17291	38782

პროცესი, მაგრამ იგი მცირე ინტენსიურობით ამჟამადაც მიმდინარეობს და უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აჭარის ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გადასანაწილებელი მოსახლეობისა და შრომითი რესურსებისათვის, არამედ კიდევ უფრო მეტად დემოგრაფიული დეპრესიის რეგიონებისათვის, სადაც სასოფლო-სამეურნეო რესურსებით უზრუნ-მველყოფის მაჩვენებელი ბევრად უმჯობესია

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1971-1990 წწ პერიოდში აჭარის მთიანეთიდან აჭარის ზღვისპირეთში ორგანიზებული ფორმით ჩაასახლეს 9,8 ათასი კაცი, ანუ 1971-1990 წწ. მთელი ნაკადის მეოთხედი. დანარჩენი გასულია საქართველოს სხვა რეგიონებში

განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1989 წ. ეკოლოგიური კატასტროფის შემდგომი მასობრივი ჩასახლება საქართველოს ორ ათეულზე მეტ რაიონში. ძირითადი მასა ხულოსა და შუახევის რაიონებიდან გადავიდა სხვაგან საცხოვრებლად, ნაწილი - აღნიშნულ დემოგრაფიულად შეთხელებულ რეგიონებში სახლების შესყიდვის, ნაწილი კი - ახალი სახლების აშენების შემდგომ. ბევრგან შეიქმნა ახალი დასახლებები, ზოგან დემოგრაფიულად გაძლიერდა და გაახალგაზრდავდა მოსახლეობის კონტინგენტი, ამავე დროს ამ რაიონების მეურნეობაში ჩაება ტერიტორიული გადაადგილების შედეგად მომატებული შრომითი რესურსები. აღსანიშნავია, რომ ჩასახლების პერიოდისათვის ეს რეგიონები განიცდიდნენ სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაკლებობას სოფლის მეურნეობაში.

სხვადასხვა პერიოდში შესწავლილი იქნა ორგანიზებული მიგრაციის სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები, მათი სამეურნეო, სოციალური და კლიმატური ადაპტაციის პირობები<sup>1</sup> როგორც ამ გამოკვლევებიდან ჩანს, ორგანიზებული ჩასახლებები ხასიათდება მაღალი შედეგიანობით და დიდი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობით აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ 1990-იანი წლების კრიზისის პერიოდში მნიშვნელოვანი შეფერხებები შეიქმნა დაწყებული მასობრივი ჩასახლებების ბოლომდე განხორციელებაში. რიგი რეგიონებიდანაც, შექმნილი რთული ვითარების გამო ადგილი ჰქონდა დიდი მასშტაბის უკუმიგრაციას (მაგ. სამეგრელოს რეგიონიდან). თუმცა მთლიანობაში განხორციელებული მასშტაბური ბინათმშენებლობის და ჩასახლებულთათვის, შეძლებისამებრ, ნორმალური საადაპტაციო გარემოს შექმნის პირობებში, მიგრანტთა დაქვედრების მაჩვენებელი, საშუალოდ, საკმაოდ მაღალი იყო შინამეურნეობათა ეკონომიკური მდგომარეობა წამოსვლის რეგიონთან შედარებით რამდენჯერმე გაუმჯობესდა

ამრიგად, აჭარის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორმირებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს ორგანიზებულ მიგრაციას

<sup>1</sup> იხ. მაგ. ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი თსუ. თბილისი, 1998, გვ. 137-141

საფიქრებელია, რომ მცირე ინტენსიურობით იგი მომავალშიც გაგრძელდება. ეს დამოკიდებული იქნება აჭარის მოსახლეობის ბუნებრივი მატების ღონე, აგრეთვე, აჭარის მთიანეთის ეკოლოგიური დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაზე; მეორე მხრივ, კი საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში მექმნილ დემოგრაფიულ ვითარებაზე.

ზემოთ ვნახეთ, რომ ამჟამად აჭარაში მიგრირებულ მოსახლეობასა და შრომით რესურსებში ყურადმისაქცევ რაოდენობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით ადგილნაცვალნი მოსახლეობა წარმოადგენს. საეხებით ბუნებრივია, რომ შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და აჭარის შრომის ბაზარზე მიწოდების დიდი სიჭარბის პირობებში კიდევ უფრო უარესდება სამუშაო ძალის მიწოდება – მოთხოვნის დისპროპორცია ამავე დროს, მათი საკუთარ საცხოვრებლებში – აფხაზეთში დაბრუნების შემთხვევაშიც ზეგავლენა აჭარის შრომის ბაზარზე გასათვალისწინებელი იქნება.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მასალებში აჭარის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია აფხაზეთიდან 6082 იძულებით ადგილ-ნაცვალნი პირი. მათ შორის შრომისუნარიან ასაკში იმყოფება 4357, ანუ მთელი კონტინგენტის 72%, შრომისუნარიანზე უმცროსია 14,1%, ხოლო უფროსი – 14,2%<sup>1</sup>. მათ შორის ძლიერ დაბალია ეკონომიკური აქტიურობის ღონე მათ შორის უმუშევრები 61%-ს შეადგენენ, მაშინ როცა საქართველოში საშუალოდ ეს მანქნებელი 40%-ია. რაც შეეხება აჭარაში სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილებს, მათი რიცხვი მცირეა (53 კაცი).

შრომითი რესურსების მიგრაციის ანალიზისას ჩვენ განსაკუთრებით შეწერდებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან შრომით ემიგრაციაზე. იგი მთელ საქართველოში და, ბუნებრივია, აჭარაშიც განვითარდა 1990-იანი წლების მრავალმხრივი კრიზისის დროს და საკმაოდ დიდი მასშტაბი შეიძინა. იგი არსებითად ცხოვრების ღონის დაცემაზე გამოიწვია. ეს უკანასკნელი კი,

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. III, ნაწილი II მოსახლეობის მიგრაცია. თბილისი, 2004, გვ. 110-111

ნაწილობრივ, აჭარის შრომის ბაზარზე მოთხოვნის კატასტროფული ვარდნის და მეტად დიდი მასშტაბის უმუშევრობის შედეგაცაა. ქ ბათუმის პორტისა და აჭარის მრეწველობის დაქვეითებას თან დაერთო საერთაშორისო ბაზარზე აქაური სუბტროპიკული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მკვეთრი შემცირება. იმავდროულად აჭარის მთიანი ზონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ტრადიციული ჩამორჩენილობა კიდევ უფრო გაღრმავდა შექმნილ მიმე ვითარებაში მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა, სარჩოს საძებნელად სხვა ქვეყანაში წასულიყო და თავისი ოჯახი იქ დასაქმებით მიღებული შემოსავლით ერჩინა.

შრომითი ემიგრაცია საქართველოში ბოლო ხანს რამდენიმე მკვლევარმა შეისწავლა ისინი იყენებდნენ მეთოდს, რომელიც მიგრაციის საერთაშორისო სტატისტიკაში ცნობილია „შემცველი რესპონდენტების“ მეთოდით<sup>1</sup>. მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში რადგან მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა რეალურ ინფორმაციას ვერ ფლობს, ხდება შერჩევითი დაკვირვება შრომით ემიგრაციაში წასულ ოჯახის წევრებზე, ახლობლებზე, რომლებიც კარგად იცნობენ საზღვარგარეთ თავიანთი ემიგრანტის ცხოვრების და მუშაობის თაობაზე ინფორმაციას ცხადია, ეს ინფორმაციაც ყოველთვის ზუსტი არაა, მაგრამ შრომითი ემიგრაციის შესახებ ზოგიერთი არსებითი მანქენებლის დადგენა შესაძლებელია

გამოკვლევისათვის შევარჩიეთ აჭარის ზღვისპირა რაიონები გამოკითხვა ჩატარდა 2003 წელს ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონებსა და ქ ბათუმში. სოციოლოგიური ინტერვიუს გამოყენებით გამოიკითხა 400 რესპოდენტი, შრომით ემიგრაციაში მყოფის ოჯახის წევრი. ანკეტა მოიცავდა კითხვებს ოჯახიდან საშოვარზე წასული პირის შრომის პირობების, საყოფაცხოვრებო პირობების, ოჯახთან კავშირის, სამშობლოში დაბრუნების

<sup>1</sup> ქულიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თსუ „ოდნის წყარო“, თბილისი, 2000  
 ტუსაშვილი მ მაჭარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია ქ „სოციოლოგიური ეკონომიკა“ 2000 № 4 ზერულავა ნ მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომოვებელ რეგიონებში თსუ 2001 შრომითი მიგრაცია საქართველოდან მ.ს.მ თბილისი, 2003. Билалдорпу Р. Хызыл Г, Оберан А., Злотник Х. Статистика международной миграции. МБТ Женева, Москва, 1999

პირობების, მათი აქ დარჩენილი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის, იქაური შემოსავლის და სამშობლოში გზაენილის რაოდენობის შესახებ შეირჩა ინტერვიუებრივ ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიდან და სტუდენტებიდან მათ ჩატარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი გამოკითხვას ხელმძღვანელობდა ამ ნაშრომის ავტორი<sup>1</sup>, ხოლო მეთოდურ დახმარებას გვიწვედნენ პროფ. მ. ტუხაშვილი და დოც თ. ზუბიაშვილი მიღებული 400 ინტერვიუდან ვარგისად ჩაითვალა 372.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური კრიზისის დაწყებისას შრომითი მიგრაციული ნაკადი მიმართული იყო უმთავრესად თურქეთისაკენ. ამას ხელს უწყობდა ტერიტორიული სიახლოვე, მგზავრობის მცირე ხარჯი, თურქეთის მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება აქაური შრომითი ემიგრანტებისადმი და, ნაწილობრივ, კონფესიური ფაქტორიც. შემდგომ წლებში თანდათან გამოჩნდა თურქეთთან შედარებით უფრო ხელსაყრელი მიმართულებებიც და გამოკვლევის მომენტისათვის უკვე დომინირებულ მიმართულებას რუსეთი (ცხრილი 13)

### ცხრილი 13

შრომით ემიგრანტთა განაწილება მიგრაციის მიმართულებების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	თურქეთი	ინგლისი	ესპანეთი	იტალია	ევროპის დანარჩენი ქვეყნები	სომხეთი	ისრაელი	ავსტრალია	სულ
41,4	14,5	13,4	12,9	4,9	2,7	2,7	1,6	4,3	0,5	0,5	0,5	100

რუსეთთან ერთად შრომითი ემიგრაციის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საბერძნეთი (შრომით ემიგრანტთა ნაკადის 14,5%), გერმანია

<sup>1</sup> გამოკვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია ტაკიძე ა. შრომითი ემიგრაციის ძირითადი ტრენდები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წიგნში „მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში“, თბილისი, ლევა, 2003, გვ. 64-68.

(13,4%) და აშშ (12,9%). ასეთივე პროპორცია დაფიქსირდა საქართველოში ჩატარებული სხვა გამოკვლევებითაც<sup>1</sup>. რუსეთის წილი თანდათან სულ უფრო მცირე ხდება. საქართველოს დედაქალაქში იგი მხოლოდ 15%-დაა თუმცა რეგიონებში იგი მაღალია.

უდავოდ ინტერესს იწვევს თურქეთში წასული შრომითი ემიგრანტების მეტად დაბალი ხვედრითი წონა (4,9%) როგორც ადრე აღენიშნეთ, კრიზისის დაწყების წლებში თურქეთში შრომით ემიგრანტთა დიდი მასა გაეიდა. მაგრამ რადგან იქ შრომის ანაზღაურება ემიგრაციის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრად ნაკლებია, ამასთან, არსებობს ენობრივი ბარიერიც, ახალი ნაკადები უკვე მაღალანაზღაურებად სამუშაოს ეძებენ და ცდილობენ, მოხვდნენ თურქეთთან შედარებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში

შრომის ემიგრანტთა შორის ყოველი მესამე ქალია (33,9%) საქართველოს სხვა რეგიონებისაგან ამ თვალსაზრისით აჭარა არ განსხვავდება. მაგალითად, ქვემო ქართლში ანალოგიური მანქნებელი 29,3%-ს არ აღემატება<sup>2</sup>, რაც შეეხება ქ. ბათუმს, იქ შრომით ემიგრანტთა შორის ქალების წილი შედარებით მეტია (41%) აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარის შრომით ემიგრაციაში კონფესიური ფაქტორების გამო შრომითი მობილურობის შეზღუდულობა არ გამოვლენილა.

შრომით ემიგრანტთა 89,2% ქართველი მოსახლეობაა ეროვნული უმცირესობებიდან გამოირჩევიან რუსები (4,3%) და ბერძნები (3,2%). საფიქრებელია, რომ გამოკვლევის წინა წლებში მათი წილი შრომით ემიგრანტებში კიდევ უფრო მეტი იყო, მაგრამ მათი შრომითი ემიგრაცია მუდმივ ემიგრაციად გარდაიქმნა და წილიც შეამცირა

ემიგრანტთა ნაკადში მაღალი ხვედრითი წილი უკავია 26-30 წწ. და 41-45 წწ ასაკობრივ ჯგუფებს (ცხრილი 14) უნდა აღინიშნოს, რომ ისევე,

<sup>1</sup> შრომითი ემიგრაცია საქართველოდან. შსო, თბილისი, 2003, გვ. 30

<sup>2</sup> ტუსშვილი მ, მაჭარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია

## ცხრილი 14

შრომით ემიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა;  
პროცენტობით ჯამთან

16 წლამ- დე	16- 20 წწ.	21- 25 წწ.	26- 30 წწ.	31- 35 წწ.	36- 40 წწ.	41- 45 წწ.	46- 50 წწ.	51- 55 წწ.	56- 60 წწ.	61- 65 წწ.	65 წელ- ზე მეტნი	სულ
-	2,2	11,3	21,5	13,9	10,2	26,3	5,9	2,2	3,8	1,6	1,1	100

როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, აჭარაშიც შრომით ემიგრაციაში საკმაოდ ინტენსიურად მონაწილეობს უფროსი თაობის წარმომადგენლებიც მაგალითად, ე.წ. „მესამე ასაკის (50 წელზე უფროსი) შრომითი ემიგრანტების წილი საშოვარზე გასული მთელი კონტინენტის 8,7%-ია

აღენიშნეთ, რომ შრომითი ემიგრაციის მთავარი მიზეზები ეკონომიკური ხასიათისაა გამოკვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 78,5% პირდაპირ მიუთითებს ემიგრაციის მთავარ მიზეზად ეკონომიკურ პირობებს (ცხრილი 15).

## ცხრილი 15

რესპონდენტთა პასუხების განაწილება შრომითი ემიგრაციის  
მიზეზების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

სამუ- შაოს უქონ- ლობა	მატე- რიალუ- რი პირო- ბის გა- უმჯო- ბესების სურვილი	ოჯახის ფიზი- კური გადარ- ჩენა	ქვეყ- ნაში არსე- ბული პოლი- ტიკური მდგო- მარეობა	საბო- ნაო პირო- ბები	კლი- მატუ- რი პირო- ბები	ქორ- წინე- ბა	კვალი- ფიკა- ციის ამაღლე- ბა, სწავ- ლის გაგრ- ძეღე- ბა, ერის უკეთ შესწავლა	აინტე- რესტ- და სა- ზღვარ- გარეთ ცხოვ- რება და მუ- შაობა	სულ
29,6	43,5	5,4	4,8	-	1,1	5,9	4,3	5,4	100

ცხადია, დანარჩენი პასუხებიც დიდ ნაწილში შეიცავს ეკონომიკურ მიზეზს. აქვე არ შეიძლება შეუნიშნავი დაეტოვოთ, რომ საბინაო პირობების გაუმჯობესება არაერთ მიხინია ემიგრაციის მიზეზად. აჭარის ზღვისპირეთში როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით კარგად უზრუნველყოფის პირობებში სხვაგან გადასვლა, პირიქით, საბინაო პირობების გაუარესებას იწვევს

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ახალგაზრდობაში შრომით ემიგრაციის მიზეზებიდან საქმოდ ხშირია ქორწინება, კვალიფიკაციის ამაღლება, სწავლის გაგრძელება, საზღვარგარეთის გარემოში მუშაობისა და ცხოვრების ინტერესი, რაც შედარებით ხშიერ ასაკობრივ ჯგუფებში უაღრესად მცირეა. ამიტაც აიხსნება 26-30 წწ კონტინენტის გამორჩეულად მაღალი ხვედრითი წონა (21,5%)

გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ შრომითი ემიგრანტების განათლება ბევრად მაღალია, ვიდრე მთელი ან შრომისუნარიანი მოსახლეობისა ამიტომაც, ნიშანდობლივია, რომ აჭარიდან, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებიდან, შრომით ემიგრაციაში მიდის შრომითი რესურსების ყველაზე მაღალკვალიფიციური, მაღალი განათლების მქონე მოსახლეობა (ცხრილი 16) იმავდროულად, ესაა ყველაზე მობილური კონტინგენტი

მათმა პროფესიულმა ანალიზმა გამოავლინა, რომ შრომით ემიგრანტებში ჯარბობენ ეკონომისტები (21,5%), ინჟინრები (16,1%), იურისტები (9,7%), მასწავლებლები (6,5%) და ექიმები (4,8%) სავალალოა, რომ მიმღებ ქვეყანაში ეს მაღალკვალიფიციური კონტინგენტი დასაქმებულია მეტად დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე (ცხრილი 17) მათი მეოთხედი საოჯახო მომსახურებაშია ჩაბმული. დამხმარე მუშაა ერთ მეოთხედზე მეტი ასეთ დისკრიმინაციულ დასაქმებას ქმნის უცხოეთში არადეგალური ყოფნით გამოწვეული იძულება სამუშაო ძალის იაფად გაყიდვისა, რაც საქართველოსთან შედარებით ბევრად მაღალ ანაზღაურებას წარმოადგენს (ცხრილი 18) მიმღებ ქვეყანაში ერთი შრომითი ემიგრანტის საშუალო თვიური შემოსავალი 1150 აშშ დოლარს აღწევს. ქვეყნების

## ცხრილი 16

შრომით ემიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით,  
პროცენტობით ჯამთან

უმაღ- ლესი	დაუმთა- ვრებელი უმაღლესი (სტუდენ- ტი)	საშუა- ლო- სპეცი- ალური	პროფე- სიულ- ტექნი- კური	ზოგადი საშუა- ლო	არასრუ- ლი საშუა- ლო	დაწვე- ბითი	სულ
57,5	6,5	10,8	11,8	8,6	4,8	-	100

## ცხრილი 17

შრომით ემიგრანტთა განაწილება მიმღებ ქვეყანაში საქმიანობის  
მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

მომე- ლელი, მოახ- ლე, ძი- ძა	ოფი- ციან- ტი, გამ- ყიდ- ველი	დამს- მარე- მუშა	მძღო- ლი	სპორტ- სმენი	დაწე- სებუ- ლებაში რიგითი თანა- შრო- მელი	ეწევა საკუ- თარ ბიზ- ნესს	აქვს უმაღ- ლესი განათ- ლება და სპე- ციალო- ბითი	სულ
24,8	16,1	26,9	3,2	1,6	8,1	9,1	10,2	100

მიხედვით იგი დიდად განსხვავდება. შრომით ემიგრანტთაგან მხოლოდ 84% უზენის შემოსავლის ნაწილს თავის ოჯახს და ახლობლებს, 4%-ს მთელი ოჯახი პყავს წაყვანილი და, ბუნებრივია, ისინი არ გზავნიან საქართველოში ფულს, ხოლო 12% ფულს ან სხვა დახმარებას არ გზავნიან. ესენი უმთავრესად სტუდენტები (რომლებიც ცხადია, მუშაობენ), ან ერთწევრიანი ოჯახის მქონენი არიან

ცხრილი 18

შრომით ემიგრანტთა შამოსავლები და გზავნილები ქვეყნების მიხედვით (აშშ დოლარი)

მიმღები ქვეყანა	რუსეთი	საბერძნეთი	გერმანია	აშშ	თურქეთი	ინგლისი	ესპანეთი	იტალია	ევროპის სხვა ქვეყნები	ავსტრალია	ისრაელი	სომხეთი	საშუალოდ
შემოსავალი	462,9	503,7	2162	2346	683,3	1564	3780	3217	838	4005	1521	189	1148,4
გზავნილი	178,7	222,2	456	552	233,3	304	330	167	294	-	-	52	281,1
გზავნილის შეფარდება შემოსავლიანს %	38,7	44,1	21,1	23,5	34,1	19,4	8,7	5,7	35,1	-	-	27,5	24,5

უნდა აღენიშნოთ, რომ საქართველოს სხვა რეგიონების შესწავლის დროს შრომით ემიგრანტთა ასეთი მაღალი შემოსავლები და, შესაბამისად, გზავნილებიც არ დაფიქსირებულა. მაგალითად, ქვემო ქართლიდან წასულთათვის თვიური შემოსავალი 901,4 აშშ დოლარია, თბილისიდან შრომით ემიგრანტთათვის – 964 აშშ დოლარი<sup>1</sup> შესაძლოა, ეს იმანაც გამოიწვიო, რომ ის გამოკვლევები 3 წლით ადრე არის ჩატარებული და აჭარულ ემიგრანტებსაც რამდენიმე წლით ადრე მცირე შემოსავალი პქონდათ

უცხოეთიდან გამოგზავნილი თანხა, ძირითადად, აჭარის მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას ხმარდება თუმცა კმნება მცირე ბიზნესისათვის კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობაც. ამას გეაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ 500 აშშ დოლარზე მეტ გზავნილს იღებს შრომით ემიგრანტთა ოჯახების 28,1%, მათ შორის 1000 აშშ დოლარზე მეტს – 6,3% ჩვენს პირობებში საესებით შესაძლებელია მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ პერიოდში მათ მიერ იმდენი თანხის დაგროვება, რომელიც ეყოფა მცირე ბიზნესის წამოწყებას, რასაც აქ დარჩენილი ოჯახების მცირე ნაწილი ახერხებს კიდევ. უმრავლესობა კი, როგორც აღენიშნეთ, გზავნილებს კვებისა და პირველადი მოხმარების საგნების შექენას ახმარს აქ დარჩენილი ოჯახების აქაური შემოსავალი უკიდურესად მცირეა (ცხრილი 19). მათ თითქმის ნახევარს ფაქტობრივად არავითარი შემოსავალი არ გააჩნია (47,4%) და შრომითი ემიგრანტის კმაყოფაზე იმყოფება.

მთელ მოსახლეობაში შრომით ემიგრანტთა წილის საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (6–8%) თუ უხეშად აჭარაზეც გავაერცვლებთ, მაშინ გამოდის, რომ აჭარიდან საზღვარგარეთ სამუშაოდა წასული არანაკლებ 20–25 ათასი კაცისა, რომელთაგანაც წლიურად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოდის 70–80 მლ. აშშ დოლარი ამ თანხის დიდი ნაწილი უზრუნველყოფს აჭარის მოსახლეობის თითქმის მეთოხედს საარსებო მინიმუმით

<sup>1</sup> ტუხაშვილი მ., მაჭარაშვილი გ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია. „სოციალური მეონომია“, 2000, № 4, გვ. 37

## ცხრილი 19

შრომით ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახის წევრების შემოსავლების განაწილება გზავნილების ჩაუთვლელად, პროცენტობით ჯამთან

ლარი								
0	0-25	26-50	51-100	101-200	201-300	301-500	501-1000	სულ
47,4	3,5	12,9	9,9	15,2	1,2	6,4	3,5	100

უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი ემიგრანტები უცხოეთში თავიანთ საქმიანობას კარგად არიან შეგუებული, ხოლო შედარებით უჭირთ იქაური ყოფით გარემოსთან ადაპტირება: ყოფითი გარემოსადმი შეგუებას დადებითი პასუხი მხოლოდ 42,4%-მა გასცა ასევე ძლიერ უჭირთ შრომით ემიგრანტებს ოჯახისა და ნაცნობ-მეგობრების გარეშე (40,7%), სამშობლოს მოშორება (15,5%), იქაურ ტრადიციებთან შეგუება (5,3%), ნაწილს კლიმატიც პრობლემებს უქმნის (4,2 %) და ა.შ

როგორც გამოკვლევით გამოირკვა, შრომით ემიგრანტთა 38,7%-ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი სამშობლოში დაბრუნება, ზუსტად ამდენივე გაურკვეველ მდგომარეობაშია და, ვითარებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილი აქვთ, რომ ხანგრძლივად დარჩნენ უცხოეთში, ხოლო – 22,6%-ს გადაწყვეტილი აქვს უცხოეთში დარჩენა და იქ საბოლოოდ დამკვიდრება ეს, ცხადია, შემცველი რესპონდენტებისაგან მიღებული პასუხია, მაგრამ მეტად დამაფიქრებელი ციფრია მაინც:

ძლიერ საინტერესოა ის პირობებიც, რომელსაც შრომითი ემიგრანტების აზრის გათვალისწინებით რესპონდენტები აყენებენ (ცხრილი 20)

## ცხრილი 20

შრომით ემიგრანტთა პასუხების განაწილება სამშობლოში დაბრუნების პირობების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

№	სამშობლოში სამუშაოდ გადმოსვლის პირობა	%
1	იშოვის ნებისმიერ სამუშაოს	13,3
2	ოჯახის წევრები იშოვიან ნორმალურ სამუშაოს	13,3
3	იშოვის სამუშაოს ისეთივე ანაზღაურებით, როგორც ამჟამად აქვს	23,5
4	დაბრუნდება ამჟამინდელთან შედარებით დაბალი ანაზღაურების შემთხვევაშიც	7,4
5	იმდენ თანხას დააგროვებს, რომ აქ რაიმე ბიზნესში დააბანდებს	22,5
6	აქ შეიქმნება ნორმალური საწარმო-შრომითი ვითარება	8,4
7	მოწესრიგდება, საწარმო, საბაჟო, საგადასახადო პირობები	3,5
8	პოლიტიკური ვითარება სტაბილური გახდება	3,9
9	რადიკალურად შემცირდება კორუფციის მასშტაბი	2,8
10	არ იცის	1,4
	ყველა პასუხი	100

ამ პირობების ანალიზით გამოვლინდა, რომ შრომითი ემიგრაცია, შესაძლოა, ჯერ კიდევ ხანგრძლივად გაგრძელდეს, სანამ ეკონომიკაში არ მოხდება მნიშვნელოვანი ხასიათის ძვრები და მოსახლეობის ცხოვრების დონე და პირობები არ გადააჭარბებს ისეთ საზღვრებს, როცა შესაძლებელი იქნება სიღარიბის დაძლევა.

საბოლოოდ ამ პარაგრაფში წარმოდგენილი მსჯელობის განზოგადებით შეიძლება ჩამოყალიბდეს მოკლე დასკვნები:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობასა და შრომითი რესურსების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ზრდასახეობის მიგრაციის ზეგავლენა არსებითია თუ 1990-იანი წლების კრიზისამდელ პერიოდში შედარებით თანაბარზომიერ ხასიათს ატარებდა და ვერ ქმნიდა ვერც ზღვისპირა აჭარაში და ვერც აჭარის მთიანეთში დემოკულაციურ ვითარებას, კრიზისის პერიოდში როგორც შობადობის და ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირება და მოსახლეობის ემიგრაციული ინტენსიურობა გაიზარდა

- საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისაგან განსხვავებით აჭარის მთიანეთი მთელი გასული საუკუნის განმავლობაში წარმოადგენდა ჭარბი შრომითი რესურსების რეგიონს და ასრულებდა საქართველოს მიწით უზრუნველყოფილი, ქართველი მოსახლეობით შეთხველბული რეგიონებისათვის „დემოგრაფიული დონორის“ ფუნქციას, რაც ძირითადად ხორციელდებოდა ორგანიზებული ჩასახლების ფორმით.

- 1990-იანი წლების საყოველთაო კრიზისის პერიოდში ცხოვრების დონის დაცემის გამო ემიგრაციული პროცესები იმდენად განვითარდა აჭარაში, რომ დაიწყო ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების კლება. შრომითი რესურსების რიცხოვნობა შემცირდა 4%-ით.

- კრიზისის პერიოდში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც დიდი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაცია განვითარდა მან არა მარტო რაოდენობრივად შეამცირა, არამედ ხარისხობრივადც გააუარესა აჭარის შრომითი რესურსების მაჩვენებლები შრომითი ემიგრაციის კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის შესწავლით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიგრაციას არსებითად იგივე ტენდენციები ახასიათებს, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. მკონომიკური თვალსაზრისით, აქ იგი უფრო ეფექტიანია, რადგან შრომით

ემიგრანტთაგან მიღებული ფულადი გზავნილების სიდიდე არა მარტო ოჯახების საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილების, არამედ მცირე ბიზნესისათვის საწყისი კაპიტალის დაგროვების საშუალებასაც იძლევა, რაც, თავის მხრივ, აჭარის სოციალურ და ეკონომიკური აღმავლობის გარკვეულ წინაპირობასაც წარმოადგენს.

### თავი III

#### შრომითი რესურსების ბანაწილება და დასაქმება

##### § 3.1. შრომითი რესურსების დასაქმება

აჭარის შრომითი პოტენციალის სრულად გამოყენების გზების ძიებისას დიდი მნიშვნელობა ეძლევა შრომითი რესურსების რაციონალურ განაწილებისა და დასაქმების კანონზომიერებებისა და ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენას, ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების განაწილების სტრუქტურის ქვეყნის საშუალო ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებას

საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი ტემპით გადასვლის მცდელობის ვითარებაში, რომელიც, როგორც არაერთხელ მიუთითეთ, ყოვლისმომცველი დამანგრეველი კრიზისის პირობებში ხდება, სრულიად არაბუნებრივად იცვლება ეკონომიკური პროპორციები როგორც მთელი ქვეყნის, ასევე ქვეყნის რეგიონალური ერთეულის - ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე ამავე დროს, იცვლება სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაც, რაც, ხშირ შემთხვევაში, ძნელად შესაძარის ვითარებას ქმნის კრიზისამდელი და მიმდინარე ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებს შორის. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც შევეცდებით, ქვემოთ ეს შედარებანი მოვახდინოთ და, რამენიარად, მიახლოებული აღბათობით, თუ მთლიანად ზუსტად ვერა, მომხდარი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი გამოეხატოთ

ჩვენი ანალიზი დაეყრდნობა როგორც მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის მასალას, ისე 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით მიღებულ შედეგებს. ანალიზის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას მანიჭებთ ქვეყანაში არცთუ დიდი ხნის წინ დანერგილ ეწ შინამეურნეობათა გამოკვლევის შედეგებს. ხშირია შემთხვევა, როცა მოსახლეობის აღწერისა და შინამეურნეობების (ან სხვა) სტატისტიკური ინფორმაცია ერთმანეთს არ ემთხვევა თვით აღწერის პერიოდისთვისაც, მაგრამ არსებითი განსხვავება, რომელიც თვისებრივად სხვაგვარ დასკვნას მოგვცემდა, უმთავრესად არ

არის ამ ხარვეზის გამოსწორების და მოვლენის უფრო სიღრმისეულად გაანალიზების მიზნით მიემართეთ კონკრეტულ სოციოლოგიურ გამოკვლევებს, რომლებმაც კიდევ უფრო გამოკვეთილად გამოავლინეს და შეაფასეს აჭარის შრომითი რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი სურათი.

როგორც ცნობილია, გეგმიან მეურნეობაში შრომითი რესურსების შესწავლის დროს ფართოდ იყენებდნენ შრომითი რესურსების ბალანსებს მისი შედგენა საბაზრო მეურნეობის პირობებში საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ თუ შრომითი რესურსების ბალანსის შედგენა მოხერხდება, საბაზრო მეურნეობის პირობებშიც ის იქნება დამატებითი ინსტრუმენტი დასავლეთის შრომის ბაზრებისათვის დამახასიათებელ ინდიკატორთა სისტემასთან ერთად რეგიონული შრომის ბაზრის შესწავლისა და მართვისათვის პოსტკომუნისტური სივრცის ზოგმა ქვეყანამ შრომის ბაზრის სტატისტიკის ახალ სისტემას თავის რეგიონულ ერთეულებში შრომითი რესურსების საბალანსო გაანგარიშებანიც შეაშეღა ჩვენ ამ საუკუნის დასაწყისში დასაქმების სისტემაში მუშაობის დროს არაერთხელ შეხვედრივართ რუსეთის დასაქმების სისტემების გაცნობისას ცალკეული რეგიონების შრომითი რესურსების ბალანსებს

უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სისტემის მმართველი ორგანოები გარკვეული წარმატებით იყენებდნენ შრომითი რესურსების საბალანსო გაანგარიშებებს. ამით ჩვენ ის უნდა ეთქვათ, რომ თუ კი შესაძლებელი იქნება, რეგიონების დონეზე ამჟამად დირექტულად მიღებულ სავალდებულო სტატადრიცხვას ინდიკატორებთან ერთად, საჭირო შემთხვევაში სურათის დასაზუსტებლად და გასადრმაველად რეკომენდაცია მიეცეს შრომითი რესურსების კრებისთი რეგიონული ბალანსების გამოყენებასაც. მაგ. 2003 წლის აჭარის შრომითი რესურსების საბალანსო გაანგარიშებით, რომელსაც მოკლევადიანი პერსპექტივაც ახლავს (2007 წ-მდე), 2003 წლისათვის დაუსაქმებელი აღმოჩნდა 60,5 ათასი კაცი, შრომითი

რესურსების 31,1%. ეს კონტინგენცია, რომელთაგან ზოგს სურს (ეკონომიკურად აქტიურთა ნაწილი), ან არ სურს მუშაობა. მათი შეფარდება შრომითი რესურსების რიცხოვნობასთან შეფარდებითი მანქნებელია, რომელშიც აისახება რეგიონის შრომითი რესურსების, ზოგადად, შრომითი პოტენციალის გამოყენების დონე ამასთან ერთად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ცნობილია, უმუშევრობის დონის განმსაზღვრელი კრიტერიუმები მთლად გარკვევით ვერ ახასიათებენ შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას რეალური უმუშევრობაც ბევრად მეტია ხოლმე, ვიდრე ოფიციალურ სტატისტიკაში გამოყენებული სისტემა გვიხასიათებს ეს ექსპერტთა უფრო ჩადრმავებული გამოკვლევებით დასტურდება. ამიტომ შრომითი რესურსების საბალანსო გაანგარიშებებს, თუნდაც შრომითი რესურსების კრებსით ბალანსს, თავის მნიშვნელობა მაინც შემორჩა და, შესაძლოა, რეგიონების დონეზე მაინც მისი, როგორც შრომითი რესურსების გამოყენების ამსახველი ინსტრუმენტის მნიშვნელობა ვალდაროთ და გამოიყენოთ. ჩვენს მიერ მითითებულ აჭარის შრომითი რესურსების ბალანსში, რომელიც სხვა სახელწოდებითაა დასაქმების სამსახურების ანგარიშებში წარმოდგენილი, არის მეთოდური ხარვეზებიც, მაგრამ საერთო სურათს შრომითი რესურსების რიცხოვნობასა და განაწილებაში იგი ასახავს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგია და სხვადასხვა სამეცნიერო გამოკვლევები თუ სახელმძღვანელოები თავისებურად განმარტავენ დასაქმებას და დასაქმებულს. სახელმძღვანელო ლიტერატურაში ხშირად ეყრდნობიან შსო-ს მეთოდოლოგიას ამ მეთოდოლოგიიდან გამომდინარეობს დასაქმების სტატისტიკაც, რომელიც ჩვენი ქვეყნის სტატორგანოების პროგრამებშია მოცემული და ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკისათვის ყველაზე მოსარგებ ინდიკატორებს. ამ მეთოდოლოგიით, მოსახლეობა იყოფა ორ მნიშვნელოვან ჯგუფად. პირველი - ესაა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, რომლის რიცხოვნობა განისაზღვრება დასაქმებულებითა და უმუშევრებით

(დაუსაქმებლებით, რომელნიც ეძებენ სამუშაოს) ეს წარმოადგენს ქვეყანაში არსებულ სამუშაო ძალას.

მეორე ჯგუფს წარმოადგენს ეწეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა, რომელიც არ არის სამუშაო ძალა და სტატისტიკაშიც იგი სამუშაო ძალის რაოდენობაში არ ხვდება მათში შუდის წარმოებისაგან მოწყვეტიტ სწავლიტ დასაქმებული მოსწავლეები, ასაკიტ პენსიონერები, ინვალიდობიტ პენსიონერები, მარჩენალ-დაკარგული პირები აგრეთვე, ის პირები, რომლებიც საკუთარ ოჯახში დაკავებული არიან ბავშვების, ოჯახში მყოფი ავადმყოფების მოვლიტ აქვე შეჰყავტ ის პირნიც, რომლებმაც ვერ იშოვეს და ხელი ჩაიქნიეს სამუშაოს ძებნაზე, თუმცა ამის სურვილი აქტ და მზადაც არიან შეუდგენენ მუშაობას.

აქვე უნდა შევნიშნოტ, რომ ამ კლასიფიკაციიტ მიღებული სურატი მყარ სტატისტიკას არ წარმოადგენს. საკმაოდ ინტენსიურია ჩვენს მიერ მითიტებული ჯგუფებიდან გადასვლა-გადმოსვლა, აღნიშნული ინტენსიურობა დამოკიდებულია ეკონომიკურ დინამიკაზე და შრომის ბაზარზე კონუნქტურულ ცვლილებებზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალებში მიღებული განმარტების მიხედვით დასაქმებულად ითვლება პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს და ამისათვის იღებს შემოსავალს ფულიტ ან ნატურალური სახიტ. დასაქმებულად ითვლება ის პირიც, რომელიც ფორმალურად ირიცხება სამუშაოზე, მაგრამ დროებით არ მუშაობს.

როგორც ვიციტ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კანონმდებლობიტა განსაზღვრული შრომის ასაკის საზღვრები საქართველოში მინიმალური ასაკობრივი საზღვარი არის 16 წელი, ასევეა აშშ-ში, რუსეთში. თუმცა არიან ქვეყნები, სადაც იგი მეტისმეტად მცირეა. მაგ. ბრაზილიაში იგი 10 წელს უღრის, ხოლო უმეტეს ქვეყნებში 14-15 წელს ასევეა შრომის ზედა ასაკიც განსხვავებული ქვეყნებს შორის. ჩვენ ზემოტ უკვე ვისაუბრეთ საქართველოში შრომის ასაკის საკანონმდებლო შეცვლაზე. ამჟამად იგი ქალებისათვის 60 წელია, ხოლო მამაკაცებისათვის 65 წელი.

შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა წარმოადგენს შრომითი რესურსებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ბირთვს. მისი რიცხვენობა 2002 წელს მოსახლეობის აღწერის დროისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 171,4 ათასი კაცი იყო (ცხრილი 21) ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 93,3% შრომისუნარიან ასაკში იმყოფება, ხოლო 6,7% – შრომისუნარიან ასაკზე უფროსია. ეს უკანასკნელი გაცილებით ჩამორჩება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (10,6%), აგრეთვე სხვა მხარეების – გურიის (12,5%), იმერეთის (13,6%), კახეთის (13,8%), მცხეთა-მთიანეთის (15,2%), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (25,2%), სამეგრელო-ზემო სვანეთის (10,9%), სამცხე-ჯავახეთის (11,4%), ქვემო ქართლის (8,5%), შიდა

ცხრილი 21

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტიურობისა და ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით<sup>1</sup>

მოსახლეობის კატეგორია	სულ	საერთო რიცხვიდან იმყოფება ასაკში (პროცენტებში)				სა-შუალო ასაკი
		შრო-მისუ-ნარი-ანზე უმც-როსი	შრო-მისუ-ნარი-ანი	შრო-მის-უნა-რიანზე უფრო-სი	16-29 წლის	
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	171451	-	93,3	6,7	27,4	40,2
დასაქმებული მოსახლეობა	156073	-	92,8	7,2	25,8	40,8
მათ შორის დაქირავებით მომუშავენი	49951	-	95,0	5,0	20,1	41,6
სამუშაოს მიმცემნი	201	-	95,5	4,5	16,9	41,5

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. III, ნაწილი 1, თბილისი, 2004. გვ. 61. 62 – მონაცემთა მიხედვით.

საკუთარ საწარმოში მუშაკთა დაქირავების გარეშე	124	-	94,4	5,6	12,1	43,5
ინდივიდუალურ საფუძველზე მომუშავენი	15617	-	98,0	2,0	19,9	40,3
ოჯახურ საწ მუშაკები არარეგულარული ანაზღაურებით	1096	-	96,4	5,6	45,7	33,8
არ არიან კლასიფიცირებული სტატუსით	89084	-	90,7	9,3	29,8	40,5
დასაქმებულთა საერთო რიცხვიდან პენსიონერები	11203	-	36,2	63,8	1,7	63,9
მოსწავლეები	144	-	100	-	92,4	22,1
დაუსაქმებელი მოსახლეობა	42308	-	98,4	1,6	45,7	33,8
მათგან უმუშევრები, რომლებიც მზად არიან შეუდგნენ მუშაობას	15378	-	98,5	1,5	43,8	34,3
ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა	204565	44,2	42,0	13,8	20,6	26,7
მათგან პენსიონერები	30842	1,5	25,6	72,9	1,9	65,9
მოსწავლეები	948	1,5	97,9	0,6	95,2	21,0
პირები, რომლებიც იღებენ სახელმწიფო დახმარებას	3279	14,0	75,4	10,6	39,8	32,7
პირები, რომლებსაც აქვთ შემოსული მხოლოდ საკუთრებიდან ან დანაზოგიდან	266	-	90,2	9,8	13,9	45,3
სხვა პირის კმაყოფაზე მყოფი	163432	54,7	42,2	3,1	23,3	18,7
არსებობის წყარო არაა მითითებული	725	-	83,6	16,4	12,7	43,2
სულ აჭარის არ-ში	376016	24,0	65,5	10,5	23,7	32,8

ქართლის (13,2%) მაჩვენებლებს. ეს ძირითადად უნდა აეხსნათ მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურითა და მათ შორის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შედარებითი სიახალგაზრდავით აჭარაში როგორც აღენიშნეთ, აჭარის მოსახლეობის საშუალო ასაკი (32,8 წელი) 3,3 წლით ჩამორჩება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საშუალო ასაკიც აჭარაში (40,2 წელი) შესამჩნევად ნაკლებია საქართველოს და მისი ნებისმიერი მხარის მაჩვენებლებზე.

აღნიშნული სიახალგაზრდავე პროპორციულად შეინიშნება ეკონომიკურად აქტიური თუ პასიური მოსახლეობის განაწილების ყველა კატეგორიაში (დასაქმებული მოსახლეობა, დაქირავებით მომუშავენი, დასაქმებული პენსიონერები, უმუშევრები და ა.შ.). სამაგიეროდ, აჭარის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით დიდი ხვედრითი წილი უკავია ახალგაზრდობის - 16-29 წ წ კონტინენტს - 27,4% ეს მაშინ, როცა საქართველოს საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 21,6%-ია, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში - 15%

ამრიგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა თავისი ასაკობრივი სტრუქტურით ბევრად ახალგაზრდაა საქართველოს სხვა მხარეების ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან შედარებით, რაც, უდავოდ, პროგრესული ფაქტია და გათვალისწინებული უნდა იქნეს აჭარის შრომითი რესურსების ზოგადი შეფასებისას და წარმოების განლაგების თუ რეგიონალური ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავების დროს. ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომ საჭიროდ მივიჩნით, უფრო დეტალურად წარმოგვედგინა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შედარებითი ანალიზისათვის ამოსავალი მონაცემები (ცხრილი 22)

აჭარის მთელ მოსახლეობაში, მათ შორის მამაკაცთა და ქაღთა კონტინენტში 34 წლამდე ყოველ ხუთწლიანი ასაკობრივ ინტერვალების ხვედრითი წონები გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს საშუალო მაჩვენებლები, ხოლო შემდგომ ასაკებში, ასაკის ზრდასთან

ცხრილი 22

აჭარისა და მთელი საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი განაწილება (ათასი კაცი, %)<sup>1</sup>

სულ		მთ შორის იმყოფება ასაკში, წწ										65 წ და მეტი
		20-მდე	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50-54	55-59	60-64	
სული	აჭარა	189,3	22,7	22,8	21,3	17,4	21,5	21,3	16,9	10,1	7,6	15,1
	საქართველო	2050,4	59,8	148,3	191,3	212,4	245,4	238,3	193,7	132,4	131,9	290,7
	აჭარა %	100	6,7	12,0	11,2	9,2	11,4	11,2	8,9	5,3	4,0	8,0
	საქართველო %	100	2,9	7,2	10,1	10,4	12,0	11,6	9,4	6,5	6,4	14,2
კაცი	აჭარა	102,3	6,1	12,5	12,1	12,7	10,1	12,5	11,9	8,2	3,7	7,5
	საქართველო	1081,7	33,4	87,3	110,1	119,7	115,0	125,9	118,2	99,6	64,1	141,6
	აჭარა %	100	6,0	12,2	11,9	12,4	9,8	12,2	11,6	8,0	3,6	7,3
	საქართველო %	100	3,1	8,1	10,2	11,1	10,6	11,6	10,9	9,2	5,9	13,1
ქალი	აჭარა	87,0	6,6	10,2	10,6	8,6	7,4	9,0	9,4	8,7	3,9	7,6
	საქართველო	968,7	26,4	60,9	81,2	86,6	97,4	119,5	120,0	94,2	68,3	149,2
	აჭარა %	100	7,6	11,7	12,2	9,9	8,4	10,4	10,8	9,9	4,4	8,7
	საქართველო %	100	2,7	6,3	8,4	8,9	10,0	12,3	12,4	9,7	7,0	15,4

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია შრომის ბაზარი საქართველოში 1998-2003, სტატისტიკური კრებული, თბილისი 2004, გვ 21, მონაცემთა ბუფერი

ერთად მატულობს და დიდ განსხვავებას აღწევს 65 წელს გადაცილებულ მოსახლეობაში მოცემული ხუთწლიანი ინტერვლების მიხედვით, აჭარაში მაქსიმალური რიცხვონობის კონტინგენტია ახალგაზრდა 25-29 წწ ჯგუფი, საქართველოში კი საშუალოდ 40-44 წწ ჯგუფი.

დავებრუნდეთ ისევ ცხრილის მონაცემთა ანალიზს აქ შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის აღწერისა და, მათ შორის, დასაქმებული მოსახლეობის აღწერისას დიდ ნაკლს წარმოადგენს დასაქმებულთა დიდი კონტინგენტის გაურკვეველი სტატუსი. საკმარისია ითქვას, რომ 156,1 ათასი დასაქმებულიდან უსტატუსოა და რჩენილი 89,1 ათასი, ანუ 57% ეს აღწერის დეფექტია. იგი სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს, განსაკუთრებით, მომავალი აღწერის წინ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სავსებით ნათელია, რომ აღწერით მიღებული დასაქმებულთა სტატუსის მიხედვით განაწილება მხოლოდ საორიენტულოა და შერჩევით გამოკვლევას (შემთხვევითი შერჩევა) ფასი თუ აქვს. ანალიზის სწორად წარსამართავად მეთოდურად უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ დასაქმებული მოსახლეობიდან გამოვთიშავთ უსტატუსო კონტინგენტს და დარჩენილი კონტინგენტის მიხედვით ვიმსჯელებთ განაწილების პროპორციებზე ასეთ შემთხვევაში განაწილება აღწერს არა 156,1 ათას დასაქმებულს, არამედ 67 ათასს, რომელთა შორის დაქირავებულია 49,9 ათასი კაცი, ანუ დასაქმებულთა 75%, ხოლო ინდივიდუალურ საფუძველზე მუშაობს 23,3%. მიღებული პროპორცია უკვე იძლევა მსჯელობის საფუძველს და შეფასებისას გარკვეული აზრის გამოტანა შესაძლებელია

დასაქმებულ მოსახლეობაში პენსიონერები წარმოადგენენ 7,2%-ს მათი საშუალო ასაკი 63,9 წელია. აქ თითქმის მესამედს შრომის ასაკში მყოფი პენსიონერები წარმოადგენენ (კანონმდებლობით განსაზღვრული შემცირებული საპენსიო ასაკის პირები, დასაქმებული ინვალიდები და ა. შ.). მთელი საქართველოს მოსახლეობაში პენსიონერები წარმოადგენენ დასაქმებული მოსახლეობის 10,3%-ს და მათი საშუალო ასაკი 67,1 წელია ანუ აჭარის პენსიონერთა საშუალო ასაკს 3,2 წლით აღემატებიან სავსებით

ბუნებრივი იქნება, თუ დავასკენით, რომ თვით პენსიონერთა შორის აჭარა გამოირჩევა უფრო მეტი შემორჩენილი შრომისუნარიანობით, რაც, საერთოდ, დასაქმებულ პენსიონერთა კონტინგენტის მაღალ შრომით პოტენციალზე მეტყველებს

თუ აღწერის მასალას დავეყრდნობით, 2002 წლისათვის აჭარაში დაუსაქმებელია 42,3 ათასი კაცი, რომელთაგან უმუშევრის კატეგორიას მიეკუთვნება 15,4 ათასი, ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 9% მათგან 43,8% 16-29 წლის ახალგაზრდობაა. ეს აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს, მაგრამ ჩამორჩება მეზობელი გურიის მხარის (50,4%), კახეთის (46%), მცხეთა-მთიანეთის (45,2%) და ზოგიერთი სხვა რეგიონის ახალგაზრდობის წილს უმუშევრებში.

ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 204,5 ათასს, ანუ მთელი მოსახლეობის 54,4%-ია სხვა პირის კმაყოფაზე ეკონომიკურად არააქტიურთა 80%. დანარჩენ 20%-ს კი აქვს არსებობის რაღაც სხვა წყარო. უმეტესობა, რომელსაც სხვა ინახავს (54,7%) შრომის ასაკს მიუღწეველი მოსახლეობაა ასევე დიდია მათი წილი ახალგაზრდობის კონტინგენტში. საბოლოოდ კი სხვა პირის კმაყოფაზე მყოფი მთელი მასის საშუალო ასაკი 18,7 წელია.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოცემული მასალა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს სხვა პირის კმაყოფაზე მყოფთა რიცხოვნობას რეალურად, პენსიონერთა, სტიპენდიანტთა, სახელმწიფო დახმარების მიმღებ პირთა შემოსავლები უაღრესად მცირეა და თავიანთი დანახარჯებით უფრო მეტს მოიხმარენ ოჯახის სხვა წევრების შემოსავლებიდან, ვიდრე მათი პირადი შემოსავალია. თუმცა, საერთაშორისო სტატისტიკა ამ კატეგორიის ხალხს არ მიჯნავს, რაც საქართველოს პირობებში ზუსტ სურათს ვერ იძლევა ამიტომაც პირობითად ვთვლით, რომ აჭარაში მცხოვრები 30,8 ათასი პენსიონერის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის პენსია მისი სამომხმარებლო ბიუჯეტის მცირე ნაწილს წარმოადგენს ამჟამინდელი ვითარების მიხედვით პენსია საარსებო მინიმუმის მეოთხედსაც არ უდრის.

ამრიგად, აჭარის ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა უმთავრესად ბავშვებსა და ახალგაზრდებს წარმოადგენს, მათი საშუალო ასაკი 26,7 წელია ეს ასახვავა კვლავწარმოების თვალსაზრისით პროგრესული მოსახლეობისა და შრომითი რესურსებისა.

საერთოდ, მოსახლეობის აღწერით მიღებული მასალა, თუკი აღწერა კარგად იყო ორგანიზებული, ყველაზე მისაღები და ზუსტია მოცემული მომენტისათვის, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში აღწერის ორგანიზაცია და მონაცემთა დამუშავების პროგრამებიც გარკვეულ ხარვეზს შეიცავს. გარკვეული ხარვეზები ახლავს შინამეურნეობათა გამოკვლევებით. მიღებულ მასალასაც, თუმცა იგი სისტემატური ხასიათისაა და შეიძლება მათი საშუალებით დინამიკის დანახვა, რაც ხშირად შეუძლებელია ბოლო აღწერების მონაცემთა დამუშავების პროგრამათა განსხვავებულობის გამო.

1998–2003 წწ. ცვლილებებია გამოხატული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დინამიკაში (ცხრილი 23) აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური

ცხრილი 23

აჭარის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა  
ქალაქისა და სოფლის მიხედვით (ათასი, %)<sup>1</sup>

	1998			2003		
	სულ	ქალი	კაცი	სულ	ქალი	კაცი
აბს. ქალაქი	60,6	22,0	38,6	62,5	30,4	32,1
„ სოფელი	95,0	41,6	53,4	126,8	56,6	70,2
„ სულ	155,6	63,6	92,0	189,3	87,0	102,3
% ქალაქი	100	36,3	63,7	100	48,6	51,4

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია სტატისტიკური კრებულის „შრომის ბაზარი საქართველოში“ თბილისი, 2004. გვ. 22 მასალის მიხედვით

„ სოფელი	100	43,8	56,2	100	44,6	55,4
„ სულ	100	40,9	59,1	100	46,0	54,0
% ქალაქი	38,9	34,6	42,0	33,0	34,9	31,4
„ სოფელი	61,1	65,4	58,0	67,0	65,1	68,6
„ სულ	100	100	100	100	100	100

მოსახლეობა 33,7 ათასი კაციითაა გაზრდილი (22%-ით). მათ შორის ძირითადი მატება სოფლის მოსახლეობაში მოხდა, რამაც მთელ სოფლის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 61,1%-დან 67,0%-მდე გაზარდა. შეიმჩნევა გენდერული წონასწორობის აღდგენის ტენდენციაც ზემოაღნიშნულ ცვლილებებში გარკვეული როლი ითამაშა ქალთა დასაქმების ზრდამ, განსხვავებული ინტენსიურობის მიგრაციულმა პროცესებმა სოფლად და ქალაქად, არ გამოვრიცხავთ „სტატისტიკური მოწესრიგების“ როლსაც.

2003 წელს 1998 წელთან შედარებით დასაქმებულთა რიცხოვნობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაიზარდა 16,6%-ით, მაშინ როცა საქართველოში მთლიანად – მხოლოდ 4,8%-ით (ცხრილი 24) სამაგიეროდ, უფრო სწრაფი ტემპით შემცირდა დაქირავებული შრომით დასაქმებულთა რიცხოვნობა. 2003 წელს მან შეადგინა 1998 წლის რაოდენობის მხოლოდ 70,9%, როცა საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი 82,7% იყო სამაგიეროდ, საქართველოს მაჩვენებელიდან (ზრდა 13,3%) შედარებით გაცილებით მაღალი ზრდა აღინიშნა აჭარაში თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდაში (159%). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღინიშნა დასაქმებულისა და თვითდასაქმებულის სტატუსის თაობაზე, რასაც ჩვენც ქვემოთ შევხებით.

ბუნებრივია, დიდი სოციალური გარდაქმნების დროს ხდება სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმების თუ ფაქტობრივი ნიშნების შეცვლა დაქირავებით დასაქმებულთა კლება სახელმწიფო საწარმოებსა და

დაწესებულების მუშაკთა დასაქმებაში მიმდინარე ცვლილებებით უნდა აიხსნას.

## ცხრილი 24

აჭარის ეკონომიკაში დასაქმებულთა დინამიკა  
1998–2003 წწ. ათასი კაცი<sup>1</sup>

	1998	1999	2000	2001	2002	2003	2003 წ 1998 წ- თან %
დასაქმებულია სულ	142,6	148,6	131,9	153,9	138,4	166,3	116,6
დასაქმებული დაქირავებული შრომით	67,7	75,5	55,1	64,3	57,6	48,0	70,9
თვითდასაქმე- ბული	74,4	72,3	75,9	85,0	80,2	118,3	159,0
სხვა	0,5	0,8	0,9	4,6	0,6	0,0	-

ცხადია, ვერც სტატისტიკის ნაკლოვანებას დაეფარათ ძნელია სხვა ფაქტორით აიხსნას 2001–2002 წწ. დასაქმებულთა 15 ათასით შემცირება, შემდგომ კი ნახტომისებრი ზრდა.

ზოგადად კი, დასაქმებულთა რიცხოვნობა საგრძნობლად მატულობს მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებისა და ემიგრაციული პროცესების ფონზე აჭარის მცირემიწიანობის პირობებში, ეკონომიკური დაცემის ვითარებაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის (22,6%) არსებობის ძირითადი წყაროა პირად დამხმარე მეურნეობიდან შემოსავალი, ცხადია იგი უნაწილდება მათ კმაყოფაზე მყოფ დიდ კონტინენტს აჭარის მთიანეთში ბუნებრივ-საწარმოო რესურსების შეზღუდულობის გამო პირად დამხმარე

<sup>1</sup> ცხრილი შელდგენილია სტატისტიკური კრებულის – შრომის ბაზარი საქართველოში 1998–2003 წწ თბილისი, 2004, გვ. 35, 41, 43 მონაცემთა საფუძველზე.

მეურნეობიდან შემოსავალი დიდი არ არის და მნიშვნელოვანი გაზრდის პირობებიც არ არსებობს.

დაქირავებით მუშაობისათვის ხელფასს (ან სხვა რეგულარულ შემოსავალს) იღებს 50 ათასი კაცი (მთელი მოსახლეობის 13,3%), ეს კონტინგენტი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 29,1%-ია წამყვალბეზული საბაზრო ურთიერთობების პირობებში ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია მცირეა იმ პირთა რიცხვიც, რომელთაც აქვთ საკუთარი საწარმო და ჰყავთ დაქირავებული პერსონალი, ან თვითონ ახერხებენ დაქირავების გარეშე შემოსავლის მიღებას. თავისებური გავრცელება პოვა აჭარაში ფერმერულმა მეურნეობებმა, მაგრამ მათი სიძლიერე როგორც ეკონომიკური განვითარების, ისე შემოსავლის თვალსაზრისით, ჯერჯერობით, თვალშისაცემი არაა.

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, აჭარის მოსახლეობა საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე ნაკლებადაა დაბერებული და პენსიონერთა ძირითადი კატეგორია – ასაკის გამო პენსიონერობა, აქ შედარებით დაბალი ხვედრითი წონით ხასიათდება პენსიას იღებს 31,2 ათასი კაცი (მოსახლეობის 8,3%), მაგრამ სამწუხაროდ იგი ძლიერ მცირეა და მათი საარსებო მინიმუმის მკობხედს თუ შეადგენს. ამიტომ აღწერის დროს პენსიონერებმა იგი არსებობის ძირითად წყაროდ კი მიუთითეს, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ნაწილი უფრო მეტს ხარჯავს ოჯახის სხვა წევრის შემოსავლიდან, ვიდრე პენსიის სიდიდეა (მაშინ იგი 14–20 ლარი იყო)

ფრიად სამწუხაროა, რომ მასობრივი უმუშევრობის პირობებში უმუშევრის შემწეობა, როგორც შემოსავლის წყარო მხოლოდ 183 კაცმა დაასახელა. უმძიმესი კრიზისის ვითარებაში, ცხადია, უმუშევართა ჯეროვანი უზრუნველყოფა განვითარებულ სახელმწიფოებსაც უჭირთ, მაგრამ მხოლოდ სიმბოლური რაოდენობის კონტინგენტი და სიმბოლური თანხა, რასაც უმუშევრები შემწეობის სახით იღებენ, პრობლემას ვერ გადაჭრის ამის თაობაზე ქვემოთ ვისაუბრებთ დაწვრილებით.

როგორც ზემოთ მიუთითეთ, აჭარის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია სხვა პირის კმაყოფაზე (47%) (ცხრილი 25),  
ცხრილი 25

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის განაწილება  
არსებობის ძირითადი წყაროების მიხედვით<sup>1</sup>

არსებობის ძირითადი წყარო	რიცხოვ- ნობა, კაცი	პროცენ- ტულად
აჭარის მოსახლეობა	376016	100
დაქორავებით მუშაობისათვის ხელფასი ან სხვა რეგულარული ანაზღაურება	49951	13,3
საკუთარ საწარმოში მუშაობა მუშაკთა დაქორავებით	201	0,1
საკუთარ საწარმოში მუშაობა მუშაკთა დაქორავების გარეშე	124	0,03
ინდივიდუალური საქმიანობა	15617	4,2
მუშაობა საკუთარ გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობაში	3991	1,1
შემოსავალი პირადი დამხმარე მეურნეობიდან	85093	22,6
ოჯახის დამხმარე წევრი არარეგულარული ანაზღაურებით	1096	0,3
შემოსავლები საკუთარი დანაზოგიდან	232	0,1
შემოსავალი საკუთარი საწარმოდან, რომლის მფლობელი არ მუშაობს	191	0,03
პენსია	31181	8,3
სტიპენდია	979	0,3
უმუშევრის შემწეობა	183	0,05
დანარჩენი დამხმარება (უმუშევრის შემწეობის გარეშე)	839	0,2
სახელმწიფო უზრუნველყოფის სხვა სახე	2949	0,8
სხვა პირის კმაყოფაზე	176559	47,0
არარეგულარული შემოსავლები	4796	1,3
სხვა წყარო	1399	0,4
არა აქვს მითითებული არსებობის ძირითადი წყარო	725	0,2

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია „საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. III, ნაწ I, თბილისი, 2004, გვ. 20, 21, 2“ მასალის მიხედვით.

რეალურად ვფიქრობთ, ეს წილი კიდევ უფრო მეტი უნდა იყოს, რადგან მას ემატება პენსიონერთა, სტიპენდიანტთა, სხვადასხვა დახმარების მიმღებთა ნაწილიც, რომლებსთვისაც პირად მოხმარებაში მითითებული წყარო მთლად ძირითადი არაა.

განვითარებული საბაზრო მეურნეობის პირობებში ხორციელდება როგორც შემოსავლების თვითრეგულირება, ისე სახელმწიფო აქტიური ჩარევით ახდენს მის განაწილებასზე ზემოქმედებას. ამას იგი ახერხებს ინსტიტუციონალური სისტემის მეშვეობით, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო-ადმინისტრაციული მეთოდებით. იქ ამ მხრივ დიდ როლს ასრულებს პროფკავშირები.

მოსახლეობის შემოსავლების საბაზრო თვითრეგულირება უშუალოდ ფასების მექანიზმის საშუალებით ხდება ამის შედეგად დიფერენცირდება შემოსავლები და მოსახლეობის ერთი ჯგუფი უფრო მეტ შემოსავალს იღებს და მდიდრდება, მეორე კი ნაკლებს და რჩება ღარიბად, ზოგჯერ კი მთლად დატყვევება

როგორც ცნობილია, სახელმწიფო საგადასახადო სისტემის მეშვეობით ცდილობს, შეამციროს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის ქონებრივი დიფერენციაცია ამავე დროს ბიუჯეტიდან გასცემს პენსიებს, დახმარებებს და ახორციელებს მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერას. საქართველოში მეტ-ნაკლებად ყალიბდება სოციალური მხარდაჭერის მექანიზმი, მაგრამ ეკონომიკური სისუსტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში არსებული სიმწელების გამო ჯერჯერობით ქმედითად ვერ ხერხდება მოსახლეობის ქონებრივ დიფერენციაციის პროცესზე ზემოქმედება, რაც ბუნებრივია აისახება შრომის ბაზრის ფუნქციონირების პროცესზეც.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების განაწილების ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის დარგობრივ ასპექტს აქედანვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის აღწერები იძლეოდა ამ მხრივ მეტად დეტალურ ინფორმაციას, თუმცა ბოლო

2002 წლის აღწერის მასალები, სამწუხაროდ, ისეა დამუშავებული, რომ ხშირად წინა აღწერებთან შედარება ძნელდება როგორც ზემოთ მიუთითეთ ეს გარემოება მოსახლეობის შემდგომი აღწერის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ჩვენ შევეცადეთ, შეგვეპირისპირებინა აჭარისა და საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის განაწილებანი საქმიანობის სახეობების მიხედვით (ცხრილი 26) პირველი არსებითი ნიშანი, რომელიც როგორც მთელი საქართველოს, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების ამ ჭრილში შეინიშნება, ესაა შრომითი რესურსების აგრარული ტიპისათვის დამახასიათებელი სტრუქტურა. აჭარის სოფლის მეურნეობაში (ნადირობა, თევზჭერა, მეტყვეობაში დასაქმებულ მცირე რიცხოვან კონტინგენტთან ერთად) დასაქმებულია თითქმის 60%, რაც ანალოგიურია მთელი საქართველოს მოსახლეობაში სოფლის მეურნეობაში ჩაბმულთა რაოდენობისა (55%) ანალიზისას უნდა გაეთვალისწინოთ, რომ სტატისტიკასაქართველოში არსებული ოჯახების ყველა შრომისუნარიან წევრს დასაქმებულად აღრიცხავს, თუ ოჯახის პირადი დამხმარე მეურნეობის (0,5 ჰა) მანძი აქვს. ხშირად ასეთი დასაქმება სიმბოლურია და თვით მექანიზაციის უქონლობის დროსაც კი სანახევროდაც ვერ ტვირთავს მთელი წლის განმავლობაში სამუშაოთი ოჯახს. ხელოვნურ „სტატისტიკურ“ გაზრდასთან ერთად, რეალურადაც, მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში - მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის კატასტროფულმა შემცირებამ კრიზისის დროს, თავისთავად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი მაღალი დატოვა. საქართველოში 1990 წელს კი სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებული იყო მხოლოდ 26% და ამ სექტორს როგორც რიცხოვნობის, ისე დასაქმებულთა შორის წილის შემცირების ტენდენცია აშკარად გამოხატული ჰქონდა. ასევე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა წილი აჭარის

## ცხრილი 26

აჭარისა და საქართველოს დასაქმებული მოსახლეობის განაწილება  
საქმიანობის სახეობების მიხედვით – ათასი კაცი, პროცენტულად ჯამის  
მიმართ<sup>1</sup>

საქმიანობის სახეობები	დასაქ- მებულ- თა რი- ცხოფ- ნობა აჭარაში ათასი კაცი	დასაქ- მებულ- თა რიცხოფ- ნობა საქართველოში ათასი კაცი	დასაქ- მებულ- თა გა- ნაწილფ- ბა აჭა- რაში, %	დასაქმე- ბულთა განაწი- ლება საქართველოში, %
სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყვეობა, თევზჭერა	99,4	995,6	59,8	54,9
სამთომომპოვებელი მრეწველობა, კარიფ- რების დამუშავება	0,2	2,8	0,1	0,2
დამამუშავებელი მრეწველობა	4,1	88,8	2,5	4,9
ელექტროენერჯია, გაზი და წყალმომარაგება	1,8	19,8	1,1	1,1
მშენებლობა	3,8	40,1	2,3	2,2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი ნივთების რემონტი	17,4	198,5	10,5	10,9
სასტუმროები და რესტორნები	2,8	16,6	1,7	0,9
ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა	7,5	76,9	4,5	4,2
საფინანსო შუამავლობა	1,2	9,8	0,7	0,5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერცია	0,5	32,3	0,3	1,8
სახელმწიფო მართვა და თავდაცვა, სო- ციალური დაზღვევა	8,7	91,4	5,2	5,0
განათლება	9,5	135,6	5,7	7,5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება	3,8	49,0	2,3	2,7
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	4,2	44,0	2,5	2,4
კერძო საშინაო მეურნეობაში მომსახურება	1,0	7,8	0,6	0,4
ქირით ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები	0,2	3,5	0,1	0,2

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია – შრომის ბაზარი საქართველოში 1998–2003, სტატისტიკური კრებულ<sup>1</sup>  
თბილისი, 2004, გვ. 38 მასალის მიხედვით

არა იდენტიფიცირებული სულ	0,1 166,3	2,0 1814,5	0,06 100	0,1 100
-----------------------------	--------------	---------------	-------------	------------

ავტონომიურ რესპუბლიკაში 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონეტიკისათვის მაშინდელ ე.წ საზოგადოებრივ სექტორში სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებული იყო 66386 კაცი (აქედან უშუალოდ სოფლის მეურნეობაში – 65363 კაცი<sup>1</sup>) დღევანდელი გაგებით, ეს იყო დაქირავებული მოსახლეობა, რომელიც შესრულებული სამუშაოსათვის იღებდა გასამრჯელოს ფულადი ან ნატურალური ფორმით ეს კონტინგენტი წარმოადგენდა ეკონომიკაში დასაქმებულთა 35,9%-ს, აქ ცხადია არ შედიოდა პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულნი.

მაშასადამე, კრიზისის პერიოდში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად მოხდა ე.წ. პირველ სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობისა და ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი მომატება, რაც ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რეგრესულ მოვლენად უნდა ჩითვალოს

„კატასტროფულად“ უნდა შეფასდეს II სექტორში (მრეწველობა, მშენებლობა) დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირების მაღალი ტემპი 1989 წლის აღწერით, აღნიშნულ დარგებში დასაქმებული იყო, შესაბამისად, 29,3 ათასი და 9,9 ათასი კაცი, მთლიანად დასაქმებულთა 15,8 და 5,4 პროცენტი მთლიანად სექტორის წილი იყო 21,2% ამჟამად კი (2002 წ.) მრეწველობაში დასაქმებულია მხოლოდ 6,1 ათასი კაცი, ხოლო მშენებლობაში – 3,8 ათასი ანუ მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირდა 4,8-ჯერ, ხოლო მშენებლობაში – 2,6-ჯერ. ჯერჯერობით, რაიმე არსებითი ძვრები მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდისა არ შეიმჩნევა ამის გარეშე კი როგორც საქართველოს, ისე მისი რეგიონების, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინება წარმოუდგენელია ამჟამად ავტონომიური

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის დასაქმება (მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით) სტატისტიკური კრებული, ნაწ. I, თბილისი, 1991, გვ 126, 128.

რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულია 2,5%, ხოლო მშენებლობაში – დასაქმებულია 2,3%.

შემცირებულია ტრანსპორტზე დასაქმებულთა როგორც რიცხოვნობა, ისე წილი დასაქმებულთა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ 1989 წელს მხოლოდ სატრანსპორტო მეურნეობაში დასაქმებული იყო 13 ათასი კაცი, მაშინ როცა 2002 წელს ტრანსპორტში, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში ერთად აღებული მხოლოდ 7,5 ათასი კაცი მუშაობდა, წილობრივად ეს ოდნავ მაღალია, ვიდრე საქართველოს ანალოგიური მაჩვენებელი, მაგრამ ზოგადად დარგში დასაქმების რეგრესი აშკარაა

მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა ვაჭრობისა და რესტორნების მომსახურებაში (საზოგადოებრივი კვება) დასაქმებულთა რიცხოვნობა, თუმცა ამ დარგში პროდუქციის მოცულობა შემცირდა.

1989 წლის აღწერით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებას ემსახურებოდა 15,2 ათასი კაცი, 2002 წლის აღწერით – 9,5 ათასი. ესაა დასაქმებულთა 5,7%, მაშინ როცა საქართველოში ანალოგიური მაჩვენებელი – 7,5%-ია. ეს მიუთითებს კრიზისის პერიოდში განათლებაში შექმნილ პრობლემებზე.

მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი ჯანდაცვის სფეროში, სადაც სოციალურ მომსახურებასთან ერთად ბოლო ხანს დასაქმებულია მხოლოდ 3,8 ათასი კაცი, მაშინ როცა 1989 წელს დასაქმებული იყო 12,8 ათასი. აქ გარკვეული როლი ითამაშა საკურორტო მეურნეობის განადგურებამ, მაგრამ არანაკლებია ჯანმრთელობის დაცვაში მოსახლეობის მომსახურების უკიდურესი დაქვეითება როგორც მთლიანად საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში.

ამრიგად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში ეკონომიკურმა კრიზისმა კატასტროფული ბავლენა მოახდინა მოსახლეობისა და შრომითი რესურსების დარგობრივ განაწილებაზე. შეიქმნა უკიდურესად რეგრესული დარგობრივი სტრუქტურა,

რაზეც, სერიოზული ზემოქმედების გარეშე ვერ მოხდება აჭარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნორმალიზაცია

სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეიკრიბოს სტატისტიკისა და მართვის სტრუქტურაში და რომლის მიხედვითაც ჩავატარებ ზემოთ დასაქმების ზოგადი ანალიზი, ბევრ შემთხვევაში საჭიროებს კვლევის გადრმავებას, მთელ რიგ კითხვებზე პასუხის გაცემას დამატებითი ინფორმაციის მეშვეობით ეს შესაძლებელი ხდება კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების განხორციელების შედეგად ამასთან ერთად, ძვირფას საინფორმაციო, საანალიზო მასალას იძლევა ასეთი გამოკვლევები. მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფართო ფენების ამა თუ იმ მნიშვნელოვან პრობლემაზე: ეს იქნება ეკონომიკური თუ სოციალური საკითხი - მათი შეხედულებების გამოსავლინებლად, საერთოდ, ადგილობრივი საზოგადოების შრომით-სოციალური ურთიერთობების თაობაზე აზრის შესასწავლად. შერჩევით მიღებული მასალა, რა დაბალი რეპრეზენტატულობისაც არ უნდა იყოს, მაინც ყოველთვის საყურადღებო ინფორმაციას იძლევა და მკვლევარებს ეხმარება მოვლენას უფრო ღრმად ჩასწვდნენ. ამით იყო გამოწვეული, რომ გადაეწყვიტეთ, შეგვესწავლა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები, სოციალურ-შრომითი ურთიერთობანი

ანკეტა მოიცავდა 20 კითხვას დასაქმებულის დემოგრაფიული მონაცემების, პროფესიულ-კვალიფიციური დონის, დასაქმების დარგის, სამუშაოს რეალური ხანგრძლივობის, სამუშაოს სეზონურობის მახასიათებლების, შრომის ანაზღაურების სიდიდის, სამუშაოთი კმაყოფილების ხარისხისა და უკმაყოფილობის მიზეზების, შეთავსებით მუშაობის, მასზე დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების სიდიდის, შესაძლო პროფესიული ცვლილებების და ა. შ. თაობაზე

გამოკითხვა ჩატარდა ავტორის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, დიდი დახმარება გაგვიწიეს ბათუმის დამოუკიდებელი

უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონის კელაგოებმა, რისთვისაც ავტორი დიდ მადლობას უხდის მათ.

გამოკითხვამ მოიცვა ქობულეთის, ხელვაჩაურის რაიონებისა და ქ ბათუმის დასაქმებული მოსახლეობა, ჩატარდა იგი 2005 წლის ივნისში. შერჩევისას დიდი ყურადღება მიექცევით, რათა გამოკვლევაში მოქცეულიყო ეკონომიკის სხვადასხვა დარგები. ისინიც კი, რომელსაც ამჟამად აჭარის ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს (მაგალითად მრეწველობა), მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის პერსპექტივა მისი განვითარების გარეშე წარმოუდგენელია.

სრულიად შეგნებულად შევეცადეთ, რომ ცალკე გამოგვეყო ე.წ. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმის სფერო. ჩვეულებრივ, ეს ძლიერ ძნელია, რადგან ტურისტებსა და დამსვენებლებს ემსახურება ტრანსპორტიც, ვაჭრობაც, საყოფაცხოვრებო მომსახურებაც, სოფლის მეურნეობაც და ა.შ მაგრამ, ვინც უშუალოდ, საშუალოთა ძირითადი მოცულობის თვალსაზრისით ემსახურება რეკრეანტებს, მათი აზრის და კვალიფიციურ-დემოგრაფიული სტრუქტურის გაგებაც მეტად საინტერესოდ ჩავთვალეთ

სულ გამოკითხა 450 დასაქმებული, კითხვარების პირველადი დამუშავების შემდგომ ვარგისად ჩავთვალეთ 416 ანკეტა, სადაც ყველა კითხვაზე სრულად და გააზრებულად იყო პასუხები გაცემული. კითხვარების შეესება მოხდა ინტერვიუების მიერ, ხოლო კითხვარის ბოლოში რესპონდენტისადმი თხოვნა, რომ მათ გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება თავიანთი დასაქმების გაუმჯობესების შესახებ, უშუალოდ რესპონდენტების მიერაა შევსებული და, სასიამოვნოა, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული და შეფასებული როგორც მათი შრომის პირობები, ისე უაღრესად საყურადღებო მოსაზრებასაც გამოთქვამენ მისი გაუმჯობესების თაობაზე.

გამოკითხა 231 კალი და 185 მამაკაცი, რაც გამოხატავს გამოკითხვის დარგებში (განათლება, ჯანდაცვა, ტურისტული მეურნეობა,

საყოფაცხოვრებო მომსახურება) გენდერულ პროპორციას მამაკაცები მხოლოდ ჭარბობენ სოფლის მეურნეობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტში.

გამოკითხულთა ასაკობრივი სტრუქტურა ასახავს, ზოგადად, დასაქმებულთა ასაკობრივ სტრუქტურას (ცხრილი 27).

დასაქმებულთა ასაკობრივი განაწილების სურათი არ გვიჩვენებს რაიმე ანომალიურ გადახრებს შედარებით თანაბრად დასაქმებულნი განაწილებული 25-54 წწ ცალკეული ინტერვალების მიხედვით რაც შეეხება ეკონომიკის დარგებს, ხანდაზმულები (65 წ. და მეტი) უმთავრესად სოფლის მეურნეობაში და, ნაწილობრივ,

#### ცხრილი 27

დასაქმებულ რესპონდენტთა ასაკობრივი შემადგენლობა,  
პროცენტობით ჯამის მიმართ

ასაკობრივი ინტერვალი, წწ											
16- 19	20- 24	25- 29	30- 34	35- 39	40- 44	45- 49	50- 54	55- 59	60- 64	65- ზე მეტი	სულ
1,0	4,0	11,0	10,0	16,0	17,0	12,0	13,0	7,0	4,0	5,0	100

განათლებაში არიან დასაქმებულნი თუ პირველ შემთხვევაში იგი ასე თუ ისე ნორმალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, განათლებაში პენსიონერთა ხანგრძლივად შენარჩუნება (დაბალი პენსიის გამო) არცთუ დადებითი მოვლენაა და უნდა შემცირდეს პედაგოგთა სოციალური პირობების გაუმჯობესების, მათ შორის ღირსეული პენსიის დანიშნის გზით.

შესწავლილი დარგებიდან ყველაზე ახალგაზრდაა სახელმწიფო მართვის ორგანოებში დასაქმებულთა ასაკობრივი მახასიათებელი აქ 39 წლამდე ასაკშია გამოკედილი კონტინენტის 75%. ჩვენი აზრით, ასაკობრივი ასიმეტრიულობა აქაც შეიმჩნევა. ამ დარგში დასაქმებულთა

37,5% - 29 წლამდე ახალგაზრდობაა ეფიქრობთ, რომ საჭიროა ხელისუფლების ორგანოებში უფრო მეტი წილით იქნენ წარმოდგენილნი 40-49 წლის მუშაკები, რომელიც ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, მხოლოდ 12,5%-ია, მათ შორის პროფესიონალური თვალსაზრისით აპოგეად მიჩნეულ 40-44 წლის ასაკში - მხოლოდ 4%. მიზანშეწონილი იქნება, თუ სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში თანამდებობრივი შერჩევისას ასაკობრივ კრიტერიუმებს უფრო მეტად გაითვალისწინებენ.

გამოკვლევისას აქცენტი გადავიტანეთ სპეციალისტთა დასაქმების პირობებზე ამიტომაცაა გამოკითხულთა შორის მხოლოდ 13,7% არასპეციალისტი, სრული ზოგადი ან არასრული საშუალო სკოლადამთავრებულია, ხოლო უმაღლესი განათლებით კი არის გამოკითხულთა 62,0% (ცხრილი 28)

ცხრილი 28

რესპონდენტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

განათლების დონე					
უმაღლესი	დაუმთავრებელი უმაღლესი	საშუალო სპეციალური	პროფტექნიკური	ზოგადი საშუალო	არასრული საშუალო
62,0	2,4	21,9	-	12,0	1,7

ამრიგად, შესასწავლი კონტინენტი წარმოადგენს კვალიფიციურ სპეციალისტთა ჯგუფს, რომელთა განათლების დონე ზოგიერთ დარგში (განათლება) მთლიანად უმაღლესია (100%) ასევე შეიმჩნევა უმაღლესი განათლების მქონეთა აშკარა სიჭარბე სახელმწიფო მართვასა და ჯანდაცვაში დასაქმებულთა შორის ჯანდაცვაში ასევე მაღალია საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა (ექთნები) წილიც.

გამოკითხულთა 18% დაუქორწინებელია (უმთავრესად ახალგაზრდობა) და მათი დიდი ნაწილისათვის შემოსავალი საკუთარი რჩენისათვის იხარჯება, ხოლო ძირითად მასას კმაყოფაზე ჰყავს ოჯახში მყოფი სხვა წევრებიც (ცხრილი 29).

### ცხრილი 29

რესპონდენტთა განაწილება მათ სრულ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, პროცენტობით  
ჯამთან

არცერთი წევრი	ერთი წევრი	ორი წევრი	სამი და მეტი წევრი
19,5	18,8	24,0	37,7

საშუალოდ ერთი დასაქმებულის სრულ კმაყოფაზე მოდის 2 პირი და ბუნებრივია, მათ ცხოვრების დონეს მთელი შემოსავლის ოჯახის წევრებზე განაწილებაც განაპირობებს

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება იმდენად არასაკმარისია, რომ ვერ პასუხობს სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოებისათვის საჭირო დონეს დასაქმებულთა ნახევარზე მეტს (53,1%) შემოსავალი 100 ლარს არ აღემატება (ცხრილი 30), ხოლო საშუალო თვიური ანაზღაურების სიდიდე დაახლოებით 114 ლარია მას თუ გადავანაწილებთ კმაყოფაზე მყოფ პირებზე (საშუალოდ 2 კმაყოფაზე მყოფი), ერთ კაცს უწევს 38 ლარი ეს კი ამჟამინდელი საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის 29%-ია ამდენად, დასაქმებიდან შემოსავალი ვერ წყვეტს არსებობის მინიმალურ დონესაც კი

მეტად დაბალია განათლებასა და ჯანდაცვაში დასაქმებული მუშაკების შრომის ანაზღაურება მაგალითად, განათლების მუშაკთა 70%-ის

ხელფასი არ აღემატება 100 ლარს, კიდევ უფრო დაბალი ანაზღაურება აქვთ ჯანდაცვის მუშაკებს, სადაც მათი 37% იღებს

### ცხრილი 30

რესპონდენტთა განაწილება შრომის ანაზღაურების მიხედვით,  
პროცენტობით ჯამთან

შრომის ანაზღაურების სიდიდე ძირითად სამუშაო ადგილზე				
50 ლარამდე	51-100 ლარი	101-150 ლარი	151-200 ლარი	200 ლარზე მეტი
19,1	34,0	24,6	10,0	12,3

ხელფასს არაუმეტეს 50 ლარისა. შედარებით მაღალი შემოსავალი აქვთ სახელმწიფო მართვის ორგანოებში და ვაჭრობაში დასაქმებულებს, აგრეთვე, ტურისტულ მომსახურებაში დასაქმებულ მუშაკებს

საესებით გასაგებია, რომ შრომის ანაზღაურების სიდიდე გარკვეულად განსაზღვრავს თავიანთი სამუშაოთი კმაყოფილების გრძნობას, რომელიც გამოიხატა კითხვარში მოთავსებული კითხვის – „კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სამუშაოთი? – პასუხებში (ცხრილი 31).

მიღებული შედეგი გამოხატავს უადრესად უარყოფით დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაოსადმი; მათი მეოთხედიც კი არაა კმაყოფილი ეს გასაგებიცაა ღრმა ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როცა დასაქმება და შრომის ანაზღაურება ხშირად სიმბოლურ ხასიათს იძენს ერთადერთი სახე, სადაც ასე თუ ისე მყარადაა გამოხატული სამუშაოთი კმაყოფილება, ესაა სახელმწიფო მართვის ორგანოებში დასაქმებული შრომითი რესურსები აქ დადებითი პასუხები სამჯერ ჭარბობს უარყოფითს დანარჩენ დარგებში დასაქმებულთა პასუხები მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთაგან კმაყოფილია მხოლოდ ჯანდაცვაში – მხოლოდ

## ცხრილი 31

რესპონდენტთა განაწილება სამუშაოთი კმაყოფილების მიხედვით  
გამოკვეულ დარგებში, პროცენტობით ჯამთან<sup>1</sup>

კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი სამუშაოთი?				
დარგები (საქმიანობის სახეები)	კი	არა	უშუშევ რობას სჯობია	ჯამი
მრეწველობა და მშენებლობა	40,0	20,0	40,0	100
სოფლის მეურნეობა	12,3	61,3	26,4	100
ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირ- გაბმულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება	25,7	34,3	40,0	100
სახელმწიფო მართვის ორგანო- ები	58,3	20,8	20,9	100
განათლება	22,0	26,3	51,7	100
ჯანდაცვა	34,5	39,3	26,2	100
ტურიზმი	5,1	82,2	7,7	100
სულ	23,8	43,3	32,9	100

მესამედი; ვაჭრობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში – მხოლოდ მეოთხედი და ა შ მთლიანად მკვეთრად გამოხატა სამუშაოთი უკმაყოფილება 180 დასაქმებულმა (43,3%). უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების თაობაზე მათ მიუთითეს 478 პასუხი, რომელიც ასე განაწილდა (იხ. ცხრილი 32) პასუხების თითქმის ნახევარი (47,3%) ეხება შრომის ანაზღაურებით უკმაყოფილებას, ამ მხრივ ყველაზე უკმაყოფილონი არიან განათლებისა

<sup>1</sup> გამოკვეთვამ ვერ მოიცვა ეკონომიკის ყველა დარგი, ამასთან, სპეციალურად ცალკე გამოკვეთით ტურისტულ ზონებში დასაქმებული მოსახლეობა. წარმოდგენილი დარგობრივი სტრუქტურა (საქმიანობის სახეები) პირდაპირ არ ემთხვევა ჩვენს სტატისტიკაში მიღებულ სტრუქტურას. მაგრამ ეს ჩვენ პოლევოსათვის, მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რეგიონისათვის დამახასიათებელი საქმიანობის ამა თუ იმ სახის მნიშვნელობის გამო.

ცხრილი 32

სამუშაოთი უკმაყოფილო რესპონდენტების მასუბების განაწილება უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების მიხედვით, პროცენტებით ჯამთან

უკმაყოფილების მიზეზები	სამუშაო ნაკლებ-პრესტიჟი-ქულა	მცირე ხელ-ფასი	პროფესიული უზრუნველყოფის და კარგადი წესდების შეუბ-ღებლობა	მუშა-ობის რეჟიმი	სახეობ-რებლი-დან სიმორე	მუდი სანიტ-რულ-პოეტი-ური პირობები	კოლექ-ტივთან უკუდი-ური-ერთი-ება	მუდი ურთი-ობა ხელ-მძღვ-ნელო-ბასთან	ფიზი-კურად მძიმე სამუ-შაი	ჯამი
დარბები (საქმიანობის მიხედვით)										
მრეწველობა	20,0	50,0	-	20,0	-	-	-	-	10,0	100
სოფლის მეურნეობა	2,7	29,2	16,8	1,8	2,7	6,2	-	-	40,6	100
ტრანსპორტი, კავშირგამ-მულობა, ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსა-ხურება	10,9	30,9	18,2	16,4	1,8	14,5	-	1,8	5,5	100
სახელმწიფო მართვის ორგანოები	11,1	38,9	11,1	16,7	22,2	-	-	-	-	100
განათლება	2,9	61,6	5,8	1,4	6,5	13,0	-	1,5	7,3	100
ჯანდაცვა	-	66,3	7,0	9,3	5,8	3,5	5,8	-	2,3	100
ტურიზმი	29,3	37,9	17,2	5,2	-	8,6	-	-	1,8	100
სულ	7,1	47,3	11,5	6,1	4,6	8,6	1,0	0,6	13,2	100

(მათი პასუხების 61,5%) და ჯანდაცვის მუშაკები (66,3%). როგორც ზემოთ მიუთითეთ, მათი ხელფასები, მართლაც, უკიდურესად მცირეა და ძლიერ დაცლებულია მათი და მათ კმაყოფაზე მყოფი ოჯახის წევრების საარსებო მინიმუმს.

სამწუხაროა, რომ სამრეწველო საწარმოებსა და ტურისტულ მომსახურებაში დასაქმებულებმა ყველაზე მეტად გამოხატეს მათი საქმიანობის დაბალი პრესტიჟულობა. ეს საქმიანობის ის სახეა, რომელსაც უახლოეს პერიოდში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დიდი ტემპით აღორძინება და განვითარება სჭირდება. საზოგადოებრივ პრესტიჟს კი ამა თუ იმ საქმიანობისას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ უკმაყოფილება სხვა დარგებში დასაქმებულთ ნაკლებად აქვთ, ჯანდაცვაში კი არ აღმოჩნდა არცერთი დასაქმებული, რომელსაც სამუშაოთი უკმაყოფილების მიზეზად დაბალი პრესტიჟულობა დაესახელებინა აქ უკმაყოფილებას სხვა მიზეზები იწვევენ

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მართვის ორგანოებში დასაქმებულთა შორის ცოტაა სამუშაოთი უკმაყოფილო, ისინი ხელფასის სიმცირესთან ერთად უჩივიან მუშაობის რეჟიმს და საცხოვრებლის დიდ დაშორებას სამუშაო ადგილთან. უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივთან ან ხელმძღვანელობასთან კონფლიქტზე ცოტა რესპონდენტმა მიუთითა.

განსაკუთრებით თვალშისაცემია სოფლის მეურნეობაში მძიმე ფიზიკური შრომის დასახელება სამუშაოთი უკმაყოფილების ძირითად მიზეზად. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე უაღრესად დაბალია, მძიმე ხელთ შრომაა გაბატონებული. მაგრამ საყურადღებოა, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ მიეკუთვნება ყველაზე უპრესტიჟო საქმიანობას, ამიტომაც უკმაყოფილების სხვა მიზეზებმა გადაფარეს იგი. დასაქმებულთა ნაწილი, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ტურისტულ საწარმოებში მომუშავენი, გამოთქვამენ უკმაყოფილებას მუშაობის რეჟიმის გამო მართალია, საშუალოდ, რესპონდენტთა დატვირთვა სამუშაო დღეში 7 საათის

ფარგლებშია, მაგრამ ზემოთმითითებულ დარგებში იგი ბევრად აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ნორმას მაგალითად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 65% დღეში 8 საათზე მეტს მუშაობს, მათ შორის 43% – 10 საათსა და მეტს სამუშაო დღის ფაქტობრივი საშუალო ხანგრძლივობა აქ 9 საათს უდრის ჩვენი გაანგარიშებით, საშუალო საათობრივი ანაზღაურება აქ 50 თეთრია, რაც ძლიერ დაბალია მძიმე ფიზიკური დატვირთვის პირობებში.

სოფლის მეურნეობის მსგავსად, ტრანსპორტის მუშაკების სამუშაო დღეც მნიშვნელოვნად აღემატება ნორმალურს, აქაც ზუსტად 65% მუშაობს დღეში 8 საათზე მეტს – ასეთ პირობებში შრომის ანაზღაურება საშუალოთვიურად 164 ლარს უტოლდება, მაგრამ თუ მათ კმაყოფაზე მყოფებსაც გაითვალისწინებთ, იგი საშუალო მომხმარებლის მინიმუმს სამჯერ ჩამორჩება.

შრომის ანაზღაურების სიმცირე აიძულებს დასაქმებულთა ნაწილს, თავის ძირითად სამუშაოსთან ერთად შეთავსებით სხვა სამუშაოზეც იმუშაოს პარალელურად. ამას სამეცნიერო ლიტერატურაში შეთავსებით ანუ მეორად დასაქმებას უწოდებენ. გამოკითხულთა შორის 11,1% აქვს შეთავსებით სამუშაო. შეთავსებას ახერხებს ჯანდაცვის მუშაკთა 22,5%, აგრეთვე, განათლების მუშაკთა 15,3%. შეთავსებით მომუშავე ჯანდაცვის სპეციალისტებიდან ორი მესამედი მუშაობს არაუმეტეს 4 საათისა, ხოლო დანარჩენი ერთი მესამედი – 5-ზე მეტ საათს შეთავსებით მუშაობისაგანაც დიდი არაა შემოსავალი მათი 89% საშუალო თვიურად იღებს 100 ლარამდე, ხოლო შეთავსებით საშუალოდ თვიურად შრომის ანაზღაურება გამოკვლეულ კონტინენტში 64 ლარია შეთავსებით მუშაობას ყველაზე მეტად ექიმი სტომატოლოგები და ლაბორანტები ახერხებენ ჯამში საშუალოდ თვეში ისინი გამოიმუშავებენ 214 ლარს, დღეში 10,6 საათის მუშაობის პირობებში.

განათლებაში დასაქმებულნი, რომლებიც შეთავსებითაც მუშაობენ, ახერხებენ თვეში ძირითადთან ერთად გამოიმუშაონ 162 ლარი 9,1 საათიანი

სამუშაო დღის პირობებში. ჩვენ შევისწავლეთ ამ კატეგორიის მუშაკთა კმაყოფაზე მყოფთა რაოდენობა და ერთ სულზე გადაანგარიშებით 40-მდე ლარი გამოვიდა

გამოკვლეულ შემთხვევაში შეთავსებით ზენორმატული დასაქმება „შიშხილის იძულება“ და უკიდურესი გაჭირვებითაა ნაკარნახევი იგი მხოლოდ საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილებას ემსახურება გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ზოგიერთ დასაქმებულს თავისი დასაქმების შემოსავლიანობის ამადლების მიზნით სურს თავისი პროფესიის შეცვლა ამის თაობაზე გადაჭრით სურვილი გამოთქვა რესპონდენტთა საერთო რაოდენობის 8,4%-მა. სხვა პროფესიის დაუფლების სურვილი უფრო მეტად შეიმჩნევა ახალგაზრდა დასაქმებულთა შორის, მათ შორის, ახალგაზრდა მასწავლებლებში, რაც, ეფექტობთ, შრომის არაშესაბამისი ანაზღაურებითაა გამოწვეული.

ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო პასუხები მივიღეთ ეწ თავისუფალი ბოლო კითხვიდან, სადაც რესპონდენტებს ვთხოვდით, გამოეთქვათ საკუთარი შეხედულება მათი დასაქმების პირობების გაუმჯობესების თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ, ჯერ ერთი, ისინი დიდი ყურადღებით მოეპყრნენ ამ კითხვას და აბსოლუტურმა უმრავლესობამ გასცა მოფიქრებული პასუხი კითხვართ გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში, მეორე, რაც მთავარია, მათ გამოავლინეს აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია და ნაფიქრი როგორც ზოგადად ეკონომიკური და სოციალური გაუმჯობესების თაობაზე ისე უშუალოდ მათ სამუშაო გარემოში შექმნილი პრობლემების ირგვლივ. თუ რესპონდენტთა ზოგადი კვალიფიკაციის მიხედვით ვიმსჯელებთ, მათი დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების სპეციალისტია და არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ ისინი შემოქმედებითად ფიქრობდნენ თავის ირგვლივ და ზოგადად სახელმწიფოში შექმნილ სიტუაციაზე. მაგრამ პასუხებში ჩანს არა იმდენად წუწუნი, რამდენადაც კონკრეტული გზების ძიების მცდელობა და ოპტიმიზმი (თუმც არის მეტისმეტად პესიმისტური შეხედულებებიც)

სავსებით ბუნებრივად, რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას, მათი საქმიანობის სახის მიუხედავად, აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიაჩნია შრომის ანაზღაურების მოწესრიგება და მისი მიყვანა საარსებო მინიმუმის დონემდე. მასობრივია 200-300 ლარამდე ხელფასის გაზრდის მიზანშეწონილობა საგულისხმოა, რომ მათ ამ მხრივაც აქვთ რეალობის შეგნება ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია აღმავლობის რეალური გზების დასახვის დროს. თუმცა არის გამონაკლისიც; მასაც აქვს თავისებური ლოგიკა მაგ. ერთმა პედაგოგმა საკითხი დააყენა ასე. თუ მეზობელ თურქეთში მასწავლებელს 800 აშშ დოლარს უხდიან, რატომ არ შეიძლება ჩვენს პედაგოგებსაც მსგავსი ანაზღაურება ჰქონდეთო. მართლაც, შეინიშნება თურქეთში შრომის ანაზღაურებაში პედაგოგთა პრივილეგია, რისთვისაც ყურადღება მიუქცევია ამ პედაგოგს. მასწავლებელთა შრომის უფრო მაღალი ანაზღაურების პოლიტიკას ბევრი ქვეყანა მიმართავს და საჭიროა ამ საკითხის სერიოზული შესწავლა.

ზემოაღნიშნულთან ერთად, პედაგოგებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო განათლების სისტემამ უნდა სრულად უზრუნველყოფს ისინი მეთოდური და სასწავლო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურით. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პედაგოგთა შრომის ნორმატივებს და მიაჩნიათ, რომ სამუშაო დღეში საკლასო მუშაობა 4 საათზე მეტი დაუშვებელი უნდა იყოს. ნორმალურად უნდა ჩაითვალოს კვირაში 15 საათიანი საკლასო მუშაობის რეჟიმი. მათ სერიოზულ პრობლემად მიაჩნიათ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ფორმირება და 3-5 წელიწადში ერთხელ კვალიფიკაციის სერიოზული ამაღლება. სოციალური პირობების გაუმჯობესების წინადადებებიდან, პირველ რიგში, აღნიშნავენ მასწავლებელთათვის ღირსეული პენსიის დანიშნას, მისი ოდენობის პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მიხედვით განსაზღვრას; საერთოდ კი, მასწავლებლის პროფესიის საზოგადოებრივი პრესტიჟის რადიკალურ ამაღლებას სახელმწიფოს მხრივ პედაგოგთა შრომის დაფასების მეოხებით.

პედაგოგებისაგან განსხვავებით, სამედიცინო დარგის მუშაკები არ მიუთითებენ პროფესიის არაპრესტიჟულობას, ისინი ხაზს უსვამენ დაუსაბუთებლად დაბალ ხელფასს და მოითხოვენ, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის სასწრაფო ნორმალიზაციას, სოფლად ამბულატორიული დაწესებულებების გახსნას, მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ისინი ფიქრობენ, რომ ჯანდაცვის დარგის განვითარება გააუმჯობესებს მათი დასაქმების პირობებსაც.

სახელმწიფო მართვის ორგანოებში დასაქმებულ რესპონდენტთა ნაწილს მიაჩნია, რომ კადრების შერჩევის ახლანდელი სისტემა დაუხვეწავია, არასწორი საკადრო პოლიტიკის გამო ზოგიერთი პროფესიონალი დენასაც კი განიცდის. თავიანთი წინადადებებით ისინი მოითხოვენ სასამართლო სისტემის მეტ თავისუფლებას.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულებს შრომისა და სოციალური პირობების სრულყოფისათვის გადაუდებელ ამოცანად მიაჩნიათ ჩაის, ციტრუსების, საერთოდ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო დარგების აღდგენა, ხილისა და ციტრუსების ჩაბარების პუნქტების გახსნა, ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის შხამქიმიკატებითა და სასუქებით მისაღებ ფასებში მომარაგება, ვეტერინარიისათვის ხელშეწყობა, ამორტიზირებულ სატრანსპორტო საშუალებების განახლება, მცირე მექანიზაციის დანერგვის ხელშეწყობა და მძიმე ხელითი შრომის შემცირება. აგრეთვე, სოფლად სოციალური ყოფის გაუმჯობესება: სასოფლო გზების შეკეთება, საბავშვო ბაღების აღდგენა, სასოფლო სამედიცინო ამბულატორიების გახსნა-აღდგენა, სპორტული მოედნებისა და სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა, მათი მომარაგება შურნალ-გაზეთებით. ახალგაზრდობისათვის მისაღები კულტურულ-ყოფითი გარემოს შექმნა, რასაკვირველია, მათი შრომაში მაქსიმალური ჩაბმის გათვალისწინებით.

მრეწველობაში დასაქმებულნი ხაზგასმით საჭიროდ მიიჩნევენ მცირე ბიზნესისათვის რეალურ ხელშეწყობას და ამით დასაქმების პრობლემის

შერბილება, პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებას რელურად შრომის უნარის მქონეთათვის ასაკობრივი ბარიერების გაუქმებას და ა.შ.

ვაჭრობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში დასაქმებული რესპონდენტები საჭიროდ მიიჩნევენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეკრეაციული მეურნეობის აღდგენასა და განვითარებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას, სპეციალობის შესაბამისი დასაქმების უზრუნველყოფას, დასაქმების სახელმწიფო ორგანოების ქმედითობის გაზრდას, სამუშაო დროის რეჟიმით გათვალისწინებული გამოსასვლელი დღეებითა და კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლების დაცვას, პრემიალური ანაზღაურების სისტემის დანერგვას და ა.შ.

ამრიგად, ამ პარაგრაფში განხილული საკითხების ანალიზი საშუალებას იძლევა, დაეასკენათ, რომ

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების დასაქმება არასრული და არაეფექტიანია. საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით აჭარის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა პროგრესულია, საშუალო ასაკი 3,2 წლით ახალგაზრდაა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე. მსგავსი ვითარება დასაქმებულ მოსახლეობაშიც. ზოგადად შრომითი რესურსების ხარისხობრივი გაუარესების ტენდენცია არ შეინიშნება.

მნიშვნელოვანი განხილვა დაფიქსირდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ზრდის ტემპებში ქალაქად და სოფლად. ეკონომიკური კრიზისისა და მასობრივი ემიგრაციის ვითარებაში ქალაქის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის მატების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩა სოფლისას. მატულობს დასაქმებულთა რიცხოვნობაც თუმცა არსებობის წყაროების მიხედვით მოსახლეობის განაწილებაში შეიმჩნევა რეგრესული ცვლილებები. კერძოდ დაქირავებით შემოსავლის მიმღებთა რიცხოვნობისა და წილის შემცირების ტენდენცია.

აჭარის შრომითი რესურსების დასაქმების დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები აშკარად ნეგატიურია კრიზისის პერიოდში მოხდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობისა და წილის მკვეთრი ზრდა. აგრარული ქვეყნისათვის დამახასიათებელი დასაქმების სტრუქტურის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა გარდამავალ პერიოდში მრეწველობის მშენებლობის, ტურიზმის კრიტიკულ დონემდე დაქვეითებამ და იქ დასაქმებულთა რიცხვის კატასტროფულმა შემცირებამ. აუცილებელი ხდება არსებითი ხასიათის სტრუქტურულ გარდაქმნებში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გზით იქიდან ჭარბი შრომითი რესურსების გადანაწილება მატერიალურ წარმოებისა და მომსახურების სფეროს დარგებში. აჭარის დასაქმებული მოსახლეობის შრომის პირობებისა და დასაქმების ეფექტიანობის გამოსავლინებლად ეკონომიკის მთავარ დარგებში ჩატარებულმა კონკრეტულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ასაკობრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა დარგში მოსახლეობა უთანაბროდაა განაწილებული. სახელმწიფო მართვის ორგანოებში დასაქმებულნი მეტიმეტად ახალგაზრდა სტრუქტურითაა წარმოდგენილი, ხოლო სოფლის მეურნეობასა და განათლებაში ახალგაზრდობის წილი ბევრად ნაკლებია. გამოკვლევამ გამოავლინა, რომ ერთი დასაქმებული ორ სხვა ოჯახის წევრს ინახავს თავისი შრომით, მაგრამ ერთ სულზე მოსული შემოსავალი საარსებო მინიმუმის მესამედია, ვერ ხდება სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოება

- დასაქმებულთა შემოსავალი ყველა დარგში მცირეა, თუმცა შეიმჩნევა შემოსავლების სიდიდეში დაუსაბუთებელი დარგობრივი დიფერენციაცია
- გამოკვლევის მიხედვით, რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოთქვამს სამუშაოთი კმაყოფილებას, რისი მიზეზიც უმეტეს შემთხვევაში მეტად მცირე, შრომის არაადეკვატური ანაზღაურება და ამის გამო მათი საქმიანობის დაბალი საზოგადოებრივი პრესტიჟია
- დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამუშაო დღის ხანგრძლივობა ბევრად აღემატება კანონმდებლობით გათვალისწინებულ

ნორმატივს, რაც ვერ აისახება ხელფასში, ხოლო ნაწილი იძულებულია, შეთავსებულთა ციმუშაოს, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში მაინც ვერ აღწევენ თავისი და თავის სარჩენი ოჯახის წევრების საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილებას

- გამოკითხვამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და ობიექტური კრიტერიუმებით აფასებენ მას. მათი კონკრეტული წინადადებანი დასაქმებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, კარგად გამოხატავენ როგორც მათი პირველადი შრომითი კოლექტივის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების პრიორიტეტებს. დასაქმებული მოსახლეობა უადრესად რეალური, ზომიერი კრიტიკული ანალიზის ფონზე გამოხატავენ სრულ მზადყოფნას, მხარი დაუჭიროს დასაქმებაში მოსალოდნელ პროგრესულ ძვრებს როგორც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ისე მთელ საქართველოში

### 3.2. უმუშევრობა

პოსტკომუნისტური საქართველოს ყოფლისმომცველი კრიზისის პერიოდში განვითარებული უმუშევრობა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა. უმუშევრობამ მოიცვა უკლებლივ ყველა რეგიონი, ქალაქი თუ სოფელი ამის მიზეზი იყო სსრკ დაშლის გამო ყოფილ რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების რღვევა, კოოპერირებულ წარმოებათა გაჩერება. ეს მოხდა პოლიტიკური ქაოსის, სამოქალაქო ომის, სეპარატისტული ძალების აღზევების პირობებში. ამიტომ, ჩვენი აზრით, ძალზე მწველია საქართველოში უმუშევრობის სრულყოფილი გაანალიზება, რომელიმე კლასიკური მოდელითა და კლასიფიკაციებით როგორც გარდამავალი საბაზრო მეურნეობის ცნობილი მკვლევარი ლეშეკ ბალცეროვიჩი მიიჩნევს, პოსტსოციალისტურ უმუშევრობას ახასიათებს

ბევრი ისეთი თავისებურება, რომელიც განვითარებულ საბაზრო მეურნეობის პირობებში არ შეიმჩნეოდა. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობა მოულოდნელად წარმოიშვა ე.წ. „სრული სოციალისტური დასაქმების“ შედეგად. ამიტომ მაღალი დონის უმუშევრობის განენას მაშინვე უნდა მოხყოლოდა დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის შემცირება, მაგრამ ეს არ მოხდა წარმოიშვა ე.წ. ფარული უმუშევრობა, რაც, ჩვეულებრივ, კლასიკურ საბაზრო ქვეყნებს ნაკლებად ახასიათებს!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ში, სადაც დიდი დეპრესიის დროს უმუშევრობამ 1933 წელს თავის მაქსიმალურ სიდიდეს 24,9%-ს მიაღწია<sup>2</sup> ეს მაშინ, როცა ერთობლივი პროდუქტი მხოლოდ 3%-ით შემცირდა ჩვენში კი კრიზისის პერიოდში (1994 წ.) მთლიანმა შიდა პროდუქტმა 1988 წლის მიმართ მხოლოდ 27% (თითქმის მეოთხედი) შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ – 15%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისამ – 49,3%, ტვირთბრუნვამ – 33,3%, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში უმუშევრობის დონე კი 14,9% დაფიქსირდა. საეკონომიკით ნათელი ხდება, რომ უმუშევრობის ამსახველი რეალური მაჩვენებელი, რომელსაც ჩვენი სტატისტიკა იყენებს ამჟამად, მნიშვნელოვან ნაკლს შეიცავს, რასაც საქართველოში ბევრი მკვლევარი აღნიშნავს<sup>3</sup>

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მასობრივი უმუშევრობის პირობებში უმუშევრობა მეტ-ნაკლები სიღრმით განვითარდა რეგიონებში. ეს განსაზღვრა რეგიონის ეკონომიკის სპეციფიკამ. უფრო მეტად დაზარალებულნი იყვნენ ის რეგიონები, სადაც ადრე უპირატესობა ჰქონდა მიცემული ე.წ. „საკავშირო სპეციალიზაციის დარგებს“, ან „საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებს“ (მეჩაიეობა, მევენახეობა, სამთომომპოვებელი მრეწველობა და

<sup>1</sup> იხ. დაწვრილებით ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია (თარგმანი პოლონურიდან) თბილისი, 2003, გვ. 284-290

<sup>2</sup> Zuber P., Smith P. Современная экономика труда. МГУ, Москва, 1996, с 1

<sup>3</sup> ცხრილები მ შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლევარობა საქართველოში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 2004, გვ. 21 თორია მ ცხრილები მ უმუშევრობის პრობლემები და მისი დაძლევის გზები საქართველოში თბილ, თბილისი, 1998, გვ. 19-20

ა შ.). გარდამავალ პერიოდში უმუშევრობის რეგიონულ დიფერენციალზე მსჯელობენ ცნობილი მეცნიერები, მაგ., ნობელის პრემიის ლაურეატი რ ლუკასი<sup>1</sup> მართალია, აჭარაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისი უმუშევრობაშიც გამოიხატა, მაგრამ იგი მეტ-ნაკლები სიღრმით განვითარდა სხვადასხვა დარგებში და რეგიონებში.

როგორც ზემოთაც გეჰქონდა აღნიშნული, აჭარაში სამუშაო ადგილების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა მრეწველობისა და საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე. ეკონომიკურმა კრიზისმა არა თუ შეაჩერა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, არამედ მოხდა მისი დიდი რაოდენობით გამოთავისუფლება განვითარდა თითქმის ყველა სახის უმუშევრობა (განსაკუთრებით სტრუქტურული, იძულებითი, ფარული, ხანგრძლივი და ა შ) შრომის რეგიონული ბაზარი ეკონომიკის კრახის გამო იქცა უმართავე მექანიზმად, რომელიც დამახასიათებელი იყო პოსტსოციალისტური პერიოდის ყველაზე კრიზისული ქვეყნებისათვის განვითარდა ეწ. ნაწილობრივი უმუშევრობაც, ანუ, უფრო სწორად, ნაწილობრივი დასაქმება, არასრული, არაეფექტიანი დასაქმება კრიზისის პირველ წლებში განსაკუთრებით იჩინა თავი ე წ. შიგასაწარმოო ფარულმა უმუშევრობამ, ანუ როცა მუშაკი ირიცხებოდა სიით შემადგენლობაში და არ იღებდა ხელფასს ხანგრძლივი პერიოდის (ხშირად წლებით) განმავლობაში იგი ამ დროს ცხოვრობდა დანაზოგებით და ამაოდ ელოდა უიმედო საწარმოს ამუშაებას

საესებით ბუნებრივია, უმუშევრობით გამოწვეულმა ზარალმა, პირდაპირ თუ ირიბად, დიდ ციფრებს მიაღწია. ქართველმა მეცნიერებმა გამოთვალეს იგი საქართველოს მასშტაბით. მაგ. ნ. ბიბილაშვილი 1995-2003 წწ პერიოდში უმუშევრობის ნეგატიურ შედეგს 11,13 მლრდ ლარად აფასებს ხოლო თუ უმუშევრობა იგივე დონით გაგრძელდება, მაშინ, მისი გამოთვლით, უმუშევრობის მიზეზით საქართველო მიიღებს 26,2 მლრდ ლარის ტოლ

<sup>1</sup> ლუკასი რ საბაზრო ეკონომიკა. ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა თბილისი, 1997 გვ. 159-160.

დანაკარგს 2004–2015 წწ. ანუ წლიურად 2,2 მლრდ ლარს<sup>1</sup> თუ 2002 წლის აღწერას დავეყრდნობით, აჭარაში უმუშევართა წილი საქართველოს მთელ უმუშევრებში შეადგენს 6,83%-ს. უხეშად თუ გადავიტანთ წლიურად ხარალის წილს, გამოვა, რომ იგი საშუალო-წლიურად აჭარისათვის 150,3 მლნ ლარს შეადგენს ნათლად ჩანს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უმუშევრობით გამოწვეული პირდაპირი დანაკარგების შემცირების უდიდესი მნიშვნელობა. ხოლო, მეორე მხრივ, კი ის ფაქტი, როცა მასობრივი უმუშევრობა გადადის მასობრივ ემიგრაციაში და დეკოპულაციური ტენდენციების განვითარებაში, მოსახლეობის კელავწარმოების სერიოზულ შეფერხებაში, დემოგრაფიულ კრიზისში, ამის უარყოფითი სოციალური გავლენის შეფასება გაცილებით რთულია და განუზომელია.

მიუხედავად მნიშვნელობისა, სამწუხაროდ, აჭარაში უმუშევრობის შესწავლისათვის, მეცნიერული თვალსაზრისით, ჯეროვანი ყურადღება დღემდე არ გამოუჩენიათ იყო დასაქმების ადგილობრივი სამსახურების მცდელობა, თავიანთი პროგრამების ფარგლებში სისტემატიზაცია მოხდინათ ემპირიული მასალისა, თუმცა დიდი შედეგი ამას არ მოჰყოლია ამრიგად, აჭარაში უმუშევრობის შეუსწავლელობას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. აქამდე ყოველთვის იყო მცდელობა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ამ რეგიონში, რომელსაც განსხვავებული ადმინისტრაციული სტატუსი აქვს სხვებთან შედარებით, საქმე ისე წარმოეჩინათ, თითქოს კრიზისული მოვლენები, მათ შორის, უმუშევრობის დამანგრეველი გავლენა ბევრად ნაკლებად შეეხებოდეს, რაც, ცხადია, ილუზორული იყო. უმუშევრობა აქაც მთელი სიგრძე-სიგანით ისევე ღრმად განვითარდა, როგორც დანარჩენ საქართველოში, თუმცა, სავსებით

<sup>1</sup> ბიბლიოგრაფიული ნ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით მიღწეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე) საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი 08.00 03 – მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა (მაკროეკონომიკა). თბილისი, 2004, გვ 24

ბუნებრივია, ეკონომიკის რეგიონულ თავისებურებათა გამო, მასშიც იქნებოდა თავისებურებანი, რაზეც ჩვენ ზემოთ მიუთითეთ

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, უმუშევრობის დონე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო წლებში არსებითად არ მცირდება (ცხრილი 33)

ცხრილი 33

უმუშევართა რიცხოვნობა და უმუშევრობის დონე  
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 1998–2003 წწ<sup>1</sup>

წელი	უმუშევართა რიცხოვნობა, ათასი კაცი			უმუშევრობის დონე %		
	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი
1998	12,9	7,9	5,0	8,3	7,9	8,6
1999	19,5	15,2	4,3	11,6	6,0	15,6
2000	25,2	16,1	9,1	14,9	16,7	12,5
2001	26,2	15,2	11,0	14,5	15,2	13,6
2002	23,9	15,1	8,8	14,7	16,4	12,5
2003	23,0	13,0	9,9	12,1	12,8	11,4

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2000 წლის შემდგომ პერიოდში, 2003 წლამდე, აჭარაში უმუშევრობის დონე მცირდება ამავე დროს, მცირდება როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში. 2004 წლის შინა მუშენობათა კვლევის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 17,6%-ია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მკაცრი კრიტერიუმის მიხედვით, მათ შორის მამაკაცებში – 17,8%, ხოლო ქალებში – 17,0%<sup>2</sup>. შესაძლებლად მიგვაჩნია აჭარაში ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების პერიოდში,

<sup>1</sup> ძირითადი შედგენილია შრომის ბაზარი საქართველოში 1998–2003 წწ სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2004, გვ 56 მიხედვით

<sup>2</sup> საქართველოს შინაგარეკავშირების 2003–2004 ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005, გვ 65

პრევატიზაციის და, საერთოდ ეკონომიკური რეფორმის დანქარების პერიოდში, როცა მიმდინარეობს სტრუქტურული გარდაქმნები, უმუშევრობა, რეალურად, გაზრდილიყო. თუმცა აქაც არ გამოვიციხებთ სტატისტიკურ უზუსტობებს, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა მაშინდელი ხელისუფლების მიერ, იყო ყოველმხრივი მცდელობა, შექმნილიყო დანარჩენ საქართველოსთან შედარებით უფრო უკეთესი სტატისტიკური სურათი. მაგ ზემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით 1998 წელს აჭარაში უმუშევრობა მხოლოდ 8,3%-ია. ეს ძლიერ ახლოსაა უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან, რაც ღრმა კრიზისის პირობებში დაუჯერებელია ამიტომ ხშირია შემთხვევა, როცა სტატისტიკის მოწესრიგების გამო რეალური სურათი უფრო მძიმე ჩანს, ვიდრე შელამაზებული სტატისტიკის მიხედვით. ნაწილობრივ, ვფიქრობთ ამ ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე, თუმცა უმუშევრობის ზრდა 2004 წელს აჭარაში დასაშვებად მიგვაჩნია

სტატისტიკური ნაკლია ასახული ქალაქსა და სოფელს შორის უმუშევრობის დონეში. ქალაქად 2004 წლისათვის უმუშევრობის დონე 28%-ია, ხოლო სოფლად – მხოლოდ 4%<sup>1</sup> (საერთაშორისოდ მიღებულ ბუნებრივ დონეზე (5%) ნაკლები), სოფლად უმუშევრობა ამ მასალის მიხედვით, ფაქტობრივად, არა გვაქვს, რაც არასწორია

სამწუხაროდ, ანალოგიურადაა გამოხატული უმუშევრობა მთელი საქართველოს სოფლის მასშტაბითაც (4%). ფაქტობრივად, უმუშევრად არ მიიჩნევა შინამეურნეობის წევრი, თუ შინამეურნეობას აქვს ნახევარი ან მეტი მიწის ნაკვეთი. ამდენად, საქართველოს და აჭარის სოფლის შრომითი რესურსების დასაქმება, ფორმალურად, მაქსიმუმს აღწევს სინამდვილეში კი, ესაა არასრული, არაეფექტიანი დასაქმება, და სოფლად ეწევა გარბმოსახლეობის დიდი კონტინენტის არსებობა. ასეთ სტატისტიკაზე დაყრდნობით სრულიად შეუძლებელია რეალური შრომითი რეზერვების დადგენა, რასაც უკრძალვება უნდა მიეძღეს.

<sup>1</sup> საქართველოს შინამეურნეობები 2003-2004 ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005, გვ. 69

რაც შეეხება ქალაქის მოსახლეობაში უმუშევრობის დონეს, 2004 წლის მონაცემებით, იგი საქართველოს რეგიონებს შორის ყველაზე მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (28%)<sup>1</sup>. აღსანიშნავია, რომ 2002 წლამდე იგი ჩამორჩებოდა ქ თბილისს, ამჟამად კი მაქსიმუმი აჭარის ქალაქებშია დაფიქსირებული. 2004 წლის შინამეურნეობათა გამოკვლევის მიხედვით, ერთ წელზე ნაკლები დროით უმუშევარი 25 წელზე უფროს ქალაქის უმუშევარ მოსახლეობაში – 15%-ია, ერთიდან სამ წლამდე – 22,7%, სამ წელზე მეტი – 19,1%, ხოლო ჯერ რომ არასდროს უმუშავიათ – 43,3%-ს.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვჩვენებს, უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდობაში. აქ საკმაოდ ნაწილია ისეთი ჯგუფისა, რომელთაც არასდროს უმუშავიათ და პირველად შედიან შრომის ბაზარზე;

შინამეურნეობათა კვლევის მასალის მიხედვით უსო მკაცრი კრიტერიუმით, უმუშევრობის დონე საქართველოს ახალგაზრდა მოსახლეობაში 2004 წელს 15–19 წლის ახალგაზრდებში 26,4% იყო, 20–24 წლის მოსახლეობაში 29%, ხოლო 25–29 წწ – 24% ბევრად მაღალი, ვიდრე 2003 წელს ეს მაშინ, როცა ამავე გამოკვლევით უმუშევრობა ქვეყანაში 11,5%-ს არ აღემატებოდა<sup>2</sup>.

მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, აჭარაში 20–29 წლის უმუშევრების რიცხოვნობა 1,8–ჯერ ჭარბობს 30–39 წლის ასაკის უმუშევართა რაოდენობას, 2,2–ჯერ – 40–49 წლის უმუშევართა კონტინენტს<sup>3</sup> აღწერამ აჭარაში დააფიქსირა 42308 უმუშევარი, მათგან 18759 – მამაკაცი და 23546 – ქალი. აღწერის მიხედვით უმუშევართა 76,2% ქალაქად ცხოვრობს.

<sup>1</sup> საქართველოს შინამეურნეობები 2003–2004 ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2005, გვ 69

<sup>2</sup> საქართველოს შინამეურნეობები 2003–2004 ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული თბილისი, 2005, გვ 60

<sup>3</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. III, ნაწილი I, თბილისი, 2004 გვ 392.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს შრომითი რესურსების ხარისხობრივი შეფასებისათვის უმუშევართა განათლების დონის მაჩვენებლები, რომელიც აღწერის შედეგადაა მიღებული (ცხრილი 34)

როგორც ცხრილის მონაცემთა ანალიზით ირკვევა, უმუშევართა განათლების დონე მეტად მაღალია საქმარისია ითქვას, რომ 15 წელზე უფროს აჭარის მთელ მოსახლეობაში უმაღლესდამთავრებულია და კონტინგენტის მხოლოდ 17,5%, მაშინ როცა უმუშევართა შორის იგი 22,2%-ია ასევე მაღალია უმუშევართა შორის დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირთა ხვედრითი წონა (4,8%), მაშინ როცა 15 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში იგი 3,3%-ია. იგივე ითქმის საშუალო სპეციალური განათლების მქონე კონტინგენტზეც აქედან გამომდინარე, გადაჭრით შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ისევე როგორც მთელ საქართველოში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც უმუშევართა კონტინგენტი თავისი განათლებრივი პოტენციალით არის არა რაღაც მარკინალური ვჯუფი, არამედ მაღალკვალიფიციური კონტინგენტი, რომელიც დასაქმებისას პროფესიულ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რაიმე პრობლემებს არ შექმნის და თუ მაინცა და მაინც საჭირო გახდა, მაღალი პროფესიული მობილურობის გამო მცირე დანახარჯებით ადვილად გადაშხადდება, ახალი თანამედროვე ტექნოლოგიის შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნის შემთხვევაში სხვა მხრივ, უმუშევარი მამაკაცებისა და ქალების განათლებრივი დონის მაჩვენებლები არსებითად არ განსხვავდება განსხვავება, სავსებით ბუნებრივად, შეინიშნება ქალაქისა და სოფლის უმუშევრების განათლების მაჩვენებლებში, თუმცა იგივე პროპორციით, რაც დამახასიათებელია მთელი მოსახლეობისათვის.

ამრიგად, თუ მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მასალას დავეყრდნობით, აჭარის არ უმუშევართა კონტინგენტი შეიძლება შეფასდეს, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე შრომითი რეზერვი, შრომის

<sup>1</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები, ტ. 1, თბილისი, 2003, გვ. 161

ბაზარზე მოთხოვნის გაჩენისთანავე მისი დასაქმება რეალურია მითუმეტეს, რომ უმუშევართა უმეტესობა (76,2%) ქალაქად ცხოვრობს, ან კიდევ, მათი საცხოვრებელი აჭარის ზღვისპირეთის სოფლებშია განლაგებული, რაც არ შექმნის მნიშვნელოვან პრობლემას ტრანსპორტირების მხრივ.

## ცხრილი 34

აჭარის არ უმუშევართა განაწილება განათლების დონის მიხედვით, პროცენტობით ჯამთან<sup>2</sup>

განათლების დონე / უმუშევრები	უმად- ლესი	დაუმ- თავრე- ბელი უმად- ლესი	საშუ- ალო- პრო- ფესი- ული	დაწ- ყები- თი პრო- ფესიუ- ლი	საშუ- ალო ზო- გადი	საბაზ- რო ზო- გადი	დაწ- ყუ- ბითი და უფრო ნაკ- ლები	სულ
სულ	22,2	4,8	23,2	2,4	38,4	7,0	2,0	100
მამაკაცი	22,7	6,0	17,5	3,2	40,3	8,2	2,1	100
ქალი	21,8	3,9	27,7	1,8	36,8	6,1	1,9	100
ქალაქის მო- სახლეობა	24,9	4,5	25,3	2,5	36,3	5,2	1,4	100
მათ შორის მამაკაცი	25,8	5,6	19,8	3,3	38,0	6,0	1,6	100
ქალი	24,2	3,6	29,8	1,8	34,9	4,5	1,3	100
სოფლის მო- სახლეობა	13,7	6,0	16,2	2,2	45,1	13,1	3,8	100
მათ შორის მამაკაცი	12,8	7,6	10,0	2,7	47,8	15,4	3,8	100
ქალი	14,4	4,6	21,1	1,9	43,0	11,2	3,8	100

შრომის ბაზრის რეგულირებისა და უმუშევართა დასაქმების ხელშეწყობისათვის მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოშიც შექმნილია სპეციალური სახელმწიფო წარმო-  
ნაქმნი, სახელმწიფო ორგანო ე.წ. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის

<sup>2</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. III, ნაწ I, თბილისი, 2003. გვ. 404-405

სახით, რომელიც სახელწოდების პერმანენტული ცვლილების მიუხედავად (დასაქმების ფონდი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, დასაქმების სააგენტო), მოწოდებულია ხელი შეუწყოს მოსახლეობის დასაქმებას და დაცვას უმუშევრები უმუშევრობის უარყოფითი ზეგავლენისაგან როგორც წესი, შრომის ბაზარს, როგორც სხვა სახის ბაზრებს აქვს თვითრეგულირების მექანიზმი, მაგრამ დასაქმების რეგულირების სახელმწიფო სისტემა ქმნის გარკვეულ ჩარჩოებს, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეთა ინტერესების დაცვას შრომის ბაზარზე

დასაქმების სახელმწიფო სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა, სავსებით ლოგიკურია, დამოკიდებულია იმ სახსრების სიდიდეზე, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტი თუ სხვა წყაროები დასაქმების ხელშეწყობისათვის გაიღებენ. საქართველოს ეკონომიკური კრიზისის პირობებში არ შეეძლო, სრულად აემოქმედებინა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმი. ხშირად ჰქონდა ადგილი ფორმალურ ვითარებას, თუმცა თუ ციფრებს გადავხედავთ, ამ სამსახურმა რაღაც როლი დასაქმების ხელშეწყობაში მაინც ითამაშა. 1991–2004 წწ. საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სისტემის მეშვეობით დასაქმდა 81 ათასი სამუშაოს მაძიებელი, ანუ წლიურად საშუალოდ 5,8 ათასი კაცი 1999–2000 წლებში დასაქმების მარჩენებელმა მაქსიმუმს 12,6 და 10,4 ათას კაცს მიაღწია წლიურად, თუმცა ბოლო ხანს არაეფექტიანი გარდაქმნების გამო ძლიერ დაეცა, რაზეც ჩვენ შემდგომ თავში ვისაუბრებთ

აქვე უნდა წინასწარ შევნიშნოთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სამსახური, თუ ციფრებს ვენდობთ, უფრო მშვენივრად ფუნქციონირებდა, ვიდრე ქვეყნის მთელი დასაქმების სისტემა მაგალითად, 2002 წლის ბოლოს საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებული იყო 39,3 ათასი სამუშაოს მაძიებელი, ხოლო აქედან აჭარის წილი (12,3 ათასი) შეადგენდა თითქმის მესამედს – 32,5% ბოლო ხანს აჭარაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა და

უმუშევართა რიცხოვნობა მკვეთრად შემცირდა. მაგალითად, 2004 წლის დეკემბრისათვის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის აჭარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული იყო მხოლოდ 3995 უმუშევარი, რაც საქართველოს ანალოგიური მანქენბელის მხოლოდ 8,5% იყო დასაქმების ხელშეწყობის აქტიურობაში სიტუაცია გამოთანაბრდა 2004 წელს დასაქმებულ უმუშევართა შორის აჭარის წილი მაინც დიდი (17,5%) იყო სამწუხაროა, რომ დასაქმების სამსახურს მისი არაეფექტიანი მუშაობის და მცირე შედეგიანობის გამო უმუშევართა არცთუ დიდი ნაწილი მიმართავს ცალკეულ ექსპერტთა შეფასებით, საქართველოში უმუშევართა რაოდენობა ნახევარ მილიონს აღემატება, მაშინ როცა აღრიცხვაზე მცირედი იმყოფება პარადოქსული ვითარებაა, რომ ბოლო წლებში უმუშევრის შემწევობას (2003 წ - 14 ლარი) სულ უფრო მცირე რაოდენობა იღებს, რაც უპრეცედენტოა მსოფლიო ქვეყნების პრაქტიკაში მაგ., 2003 წელს უმუშევრის შემწევობა მიიღო მხოლოდ 0,8 ათასმა კაცმა<sup>1</sup>.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი გარემოებათაგანი დასაქმების სისტემაში არის ვაკანტურ სამუშაო ადგილთა მეტად მცირე რაოდენობა. მოუქნელი მექანიზმის გამო დასაქმების სამსახურში შედის უმთავრესად ისეთი ვაკან-სიები, რომელიც დაბალი შრომის ანაზღაურების სიდიდის გამო ვერ ფარავს სამუშაო ძალის დანახარჯებს; ხშირია შემთხვევა, როცა გათვალისწინებული ხელფასი მუშაკის მიერ ტრანსპორტირებაზე გაწეულ დანახარჯებსაც ვერ ფარავს თვით ასეთი სამუშაო ადგილების ჩათვლით, 2003 წელს მხოლოდ 1,4 ათასი ვაკანსია დარეგისტრირდა, ხოლო თითოეულ ვაკანსიაზე მოდიოდა 33 უმუშევარი იყო წლები, როცა ერთ ვაკანსიაზე 90 უმუშევარი მოდიოდა<sup>2</sup> ასეთ ვითარებაში, საეკონომიკით ბუნებრივია, რომ რეგისტრირებული

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2004, თბილისი, 2004, გვ. 60.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 61

უმუშევართა რიცხვი რეალურთან შედარებით მცირეა და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებაში ბოლო წლებში 1-2%-ს შეადგენს<sup>1</sup>

არსებულ ვაკანსიათა მეტისმეტი არაპრესტიჟულობა და მოთხოვნილი კვალიფიკაციის არცთუ მაღალი დონე ზეგაულებნას ახდენს უმუშევრების მიერ რეგისტრაციის სურვილზე მაგალითად, საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სისტემაში 1997 წელს აღრიცხულ უმუშევართა 55,9% უმაღლესი განათლების სპეციალისტი იყო, 2002 წელს - მხოლოდ 7,3%, 2003 წელს - 14,5%.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2004 წლის ბოლოსათვის რეგისტრირებული 4118 სამუშაოს მაძიებელიდან 3995 (97%) უმუშევარი იყო მათგან 13,7% პირველად ეძებს სამუშაოს. სამუშაოს მაძიებელთა 55,2%-30 წლამდე ახალგაზრდობაა. ეს ბუნებრივია, და მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი ახალგაზრდობის დიდი ხვედრითი წონა უმუშევართა მთელ მასაში 50 წელს გადაცილებულ უმუშევართა წილი მხოლოდ 9,4%-ია.

რაც შეეხება აჭარაში დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულ უმუშევართა განათლების დონეს, იგი საკმაოდ მაღალია უმაღლეს დამთავრებულთა წილი მათ შორის შეადგენს 32%-ს, თითქმის მესამედს, ხოლო საშუალო პროფესიული განათლების მქონეთა წილი - 32,3%-ს. ესაა მეტად მაღალი განათლებრივი პოტენციალის მქონე კონტინგენტი, რაც გასათვალისწინებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროგნოზირებისას. საკმარისია აღინიშნოს, რომ რეგისტრირებული კონტინგენტის 53,5% - სპეციალისტია, 17% კი - ტექნიკურ მუშაკს წარმოადგენს<sup>2</sup>.

უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით უმუშევრები ასე არიან განაწილებულნი: 3 თვემდე უმუშევარია 13,4%, 3-დან - 6 თვემდე - 8,9%, 6

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადიული 2004, თბილისი, 2004, გვ. 60

<sup>2</sup> ციფრბრივი მასალა აღებულია დასაქმების სახელმწიფო სამსახურში არსებული სტატისტიკის შორმა № XI-01-ის მონაცემიდან

თვიდან 1 წლამდე – 24,1%, 1–2 წელი – 20,3%, 2–3 წლამდე – 21,2%, 3 წელზე მეტი – 12,1%

როგორც აღვნიშნეთ, უმუშევართა სოციალური დაცვის მდგომარეობა მეტად სავალალოა 3995 უმუშევრიდან შემწეობას მხოლოდ 373 კაცი იღებს (9,5%). ეს მაჩვენებელი ორჯერ აღემატება მთელ საქართველოში უმუშევართა შორის შემწეობის მიმღებთა წილს (4,4%) თუმცა იგი მეტად მცირეა და თერაპიულ უმუშევრობას გავითვალისწინებთ, შეიძლება უმნიშვნელოდაც ჩაითვალოს, რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ ხელისუფლების ორგანოებმა.

2004 წლის განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო სამსახურის აჭარის განყოფილებამ მიიღო 1034 სამუშაო ადგილი, ანუ მთლიანად საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სისტემაში არსებულის 14,5% თანაფარდობა სახელმწიფო (მუნიციპალურ) და კერძო დაწესებულებებიდან მიღებულ ვაკანსიებს შორის აჭარაში არის 15.1, მაშინ როცა საქართველოში საშუალოდ ეს თანაფარდობა 1:2. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებაა და წარმოაჩენს გარკვეულ რეზერვს, რომელიც არსებობს აჭარის კერძო სექტორში სამუშაო ადგილების სახით საჭიროა სათანადო მექანიზმის ამოქმედება და ვაკანსიათა მოზიდვა, მითუმეტეს, რომ წინა წლებში (მაგ 2002 წ.) კერძო სექტორიდან მიღებულ ვაკანსიათა რაოდენობა 1,7-ჯერ აღემატებოდა სახელმწიფო სექტორიდან მიღებულ ვაკანსიებს.

მიღებულ ვაკანსიათა დარგობრივი სექტორი ფართოა და მოიცავს ეკონომიკის თითქმის ყველა დარგს მაგრამ აქვე უნდა მივაქციოთ ყურადღება აჭარისათვის სპეციალიზაციის დარგის – ტურიზმის ინდუსტრიაში ვაკანსიათა მაღალ წილს მაგალითად, აჭარაში სასტუმროებსა და რესტორნებში ვაკანტურ სამუშაო ადგილთა წილი მთელ რაოდენობაში 10,1%-ია და იმავდროულად უდრის საქართველოს სასტუმროებსა და რესტორნებში არსებულ ვაკანსიათა 40%-ს. ეს დადებითი ტენდენციაა

მართალია, სამუშაოს მაძიებელთა შორის ახალგაზრდობა დომინირებს (55,2%), მაგრამ დასაქმებულებში მათი წილი 29%-ს არ აღემატება აშკარად

ჩანს, რომ ახალგაზრდებს მაინც უჭირთ შრომის ბაზარზე შესვლა, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების ფორმალური პირობები მათთვის დისკრიმინაციული არაა და წაყენებულ მოთხოვნებშიც ახალგაზრდა ასაკის პირს, ბევრ შემთხვევაში, უპირატესობა აქვს მიცემული.

შედარებით უფრო მეტად ხერხდება მუშათა დასაქმება 2004 წელს აჭარის დასაქმების სამსახურმა 391 უმუშევარი მუშოდან, რომელიც მათთან იყო რეგისტრირებული, დაასაქმა 364, ანუ 93,1%. ეს ძლიერ კარგი მაჩვენებელია იგივე სამსახურმა მათთან რეგისტრირებული 1100 სპეციალისტიდან მხოლოდ 253 კაცის, ანუ 23%-ის დასაქმება მოახერხა

დასაქმების თვალსაზრისით, ყველაზე მეტი შედეგიანობით გამოირჩევა 3-6 თვის უმუშევართა დასაქმება. 2004 წლის განმავლობაში მათი ორი მესამედი (66,3%) დასაქმდა. ძალზე მცირე ძერა არის დაფიქსირებული 2-3 წლის უმუშევრების (დასაქმდა მხოლოდ 5,3%) და 3 წელზე მეტ, ხანგრძლივ უმუშევართა დასაქმებაში (დასაქმდა მხოლოდ 1,7%).

საბოლოოდ, შეიძლება შევნიშნოთ, რომ თუ საანალიზო მასალას ვენდობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის (ფონდი, სააგენტო) მუშაობის შედეგიანობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე საშუალოდ საქართველოსი, თუმცა მთლიანობაში, დასაქმების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი იგივე ხარვეზებით ხასიათდება და ისევე საჭიროებს მიზანშეწონილ გარდაქმნას, როგორც მთელ ქვეყანაში, რაც შეეხება რეგისტრირებულ უმუშევარ მოსახლეობას. იგი წარმოადგენს მაღალი განათლებრივი და შრომითი პოტენციალის მქონე კონტინგენტს, რომელიც ადვილად უზრუნველყოფს აჭარის შრომის ბაზარზე გაჩენილ მოსალოდნელ მოთხოვნას სამუშაო ძალით ამ კონტინგენტის ხარისხობრივი შემადგენლობისა და მობილურობის თაობაზე ქვემოთ ბეჭენება დამატებით მსჯელობა.

უმუშევართა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კიდევ უფრო ღრმად შესწავლის მიზნით 2005 წლის მაისში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სამსახურის დახმარებით ჩვენს

მიერ ჩატარებული იქნა კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევა იმ უმუშევრებისა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან დასაქმების სამსახურში და აქტიურად ცდილობენ სამუშაოზე მოწყობას. შესწავლილ კონტინენტში მოხედნენ უმეტესად ის პირები, ვისაც ყველაზე სისტემატური კონტაქტი აქვთ დასაქმების სამსახურთან და დაინტერესებულნი არიან ახალ-ახალი ინფორმაციით შემოსულ ეკანსიათა შესახებ.

კითხვარი შედგებოდა 24 კითხვისაგან, რომლებშიც ასახული იყო უმუშევართა დემოგრაფიული მონაცემები, მათი ადრინდელი სამუშაოს დახასიათება და შრომის პირობები, განთავისუფლების მიზეზები, პროფესიული მახასიათებლები, დასაქმების სამსახურისადმი დამოკიდებულება, უმუშევრობის გავლენა ყოფით მდგომარეობაზე, მათი სოციალური დაცვის ამსახველი კითხვები და მათი აზრი შესაძლო დასაქმების თაობაზე, დასაქმების ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე

გამოკითხულთა 48% მამაკაცია, 52%—ქალი. ასაკობრივი თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან განაწილებულნი და გამოხატავენ შრომის ბაზარზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მდგომარეობას. მესამედზე მეტი 30 წლამდე ახალგაზრდაა, ხოლო 12,0% 50 წელს გადაცილებული უმუშევრები არიან მათი 65% დაოჯახებულია, მესამედი (33%) — დაუოჯახებელი, ხოლო მცირე ნაწილი განქორწინებული ან ქორივი (2%) გამოკითხულთა 27%—ს არა ჰყავს 16 წლამდე შვილები, ერთი შვილი ჰყავს 26%—ს, 34%—ს — ორი შვილი, 11% — სამშვილიანია, ხოლო მცირე ნაწილი (2%) 4 და მეტი შვილის პატრონია

უმუშევართა შესასწავლი კონტინენტის დიდი ნაწილი პროფესიულ შრომით საქმიანობაში აღრე ჩაბმული ყოფილა, რაზეც მეტყველებს მათი შრომითი სტაჟის მიხედვით განაწილება (ცხრილი 35)

რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (51,6%) 5 წელზე მეტი შრომის სტაჟი აქვს ეს კონტინენტი შეიძლება ჩაეთვალოს შრომითი ჩვეულების და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით ჩამოყალიბებულ სამუშაო ძალად, შრომის ბაზარზე საკმაო კონკურენტუნარიანებად

## ცხრილი 35

რესპონდენტთა განაწილება შრომის საერთო სტაჟის მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

აქვს შრომის საერთო სტაჟი							
1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	3-5	6-10	11-15	16-20	25 და მეტი	არა აქვს ან არ მიუთითა
3,5	8,2	11,5	12,2	8,8	15,6	15,0	25,2

რესპონდენტთა პასუხების მიხედვით უმუშევრობის მთავარი უარყოფითი შედეგია – საარსებო საშუალებების შეწყვეტა ან შემცირება ოჯახის ერთ წევრზე საშუალო თვიური შემოსავლის კლება (ცხრილი 36).

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სიღარიბის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო საქართველოს მხარეებს შორის 2003 წლისათვის იგი უდრიდა 67,1% და

## ცხრილი 36

რესპონდენტთა განაწილება ოჯახის ერთ წევრზე შემოსავლების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

20 ლარამდე	21-50	51-75	76-100	101-150	151-200	201-300	300-ზე მეტი	არაა მითითებული	სულ
37,4	43,5	7,5	2,0	4,8	0,7	1,3	0,7	2,1	100

ჩამორჩებოდა მხოლოდ ქვემო ქართლს. 2004 წლისათვის სიღარიბის დონე 63,2%-მდე შემცირდა, თუმცა მხარეებს შორის აჭარის ადგილი ამ მაჩვენებლის მიხედვით არ შეცვლილა ზოგადი მიმე ვითარება

რასაკვირველია, უმუშევართა ოჯახების შემოსავლებშიცაა ასახული ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევის პერიოდისათვის საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 131,5 ლარია<sup>1</sup>. გამოკვლეულ უმუშევართა კონტინგენტის 94,4% ოჯახის შემოსავალი ერთ სულზე ვერ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს, მათ შორის განსაკუთრებით მიმე მდგომარეობაშია უმუშევართა ოჯახების 80,9%, რომელთა შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე 0-50 ლარია, ხოლო 37,4%-თვის - 20 ლარამდე, ერთი მომხმარებლის საარსებო მინიმუმზე ათეულჯერ ნაკლები ამდენად, გამოკვლევის მიხედვით, უმუშევართა დასაქმებას ფიზიკური გადარჩენის როლის შესრულება შეუძლია მათი ოჯახებისათვის.

მეტად საინტერესო პასუხები მივიღეთ კრიზისის ვითარებაში სამუშაო ძალის გათავისუფლების თავისებურებებისა და რიგითობის შესახებ პასუხებში გამოვლინდა გასანთავისუფლებელ მუშაკთა შერჩევის ნიშნები (ცხრილი 37).

#### ცხრილი 37

რესპონდენტთა პასუხი კითხვაზე: „თქვენს ბოლო სამსახურში პირველ რიგში ვინ შეამცირეს?“, პროცენტობით ჯამის მიმართ

პენსიონერები	წინასა-პენსიო ასაკის პირები	ქალები	დაბალ-კვალიფიციური მომუშავენი	სხვა კატეგორია (ვინც მათ სურდათ)	მთლად გაუქმ-და სამსახური	არ უმუშავია აქამდე, ან არ მიუთითა	სულ
10,0	3,0	-	15,0	14,0	28,6	30,3	100

ჩანს, რომ თითქმის მესამედი გამოკვლეული უმუშევრებისა საწარმოო დაწესებულების მთლიანად გაუქმების შედეგად დარჩა უმუშევარი სავსებით ლოგიკურია პენსიონერების და დაბალკვალიფიციური პერსონალის პირველ რიგში გათავისუფლება. ძლიერ ყურადღება მისაქცევია, რომ

<sup>1</sup> საქართველოს შტატინამურნობები 2003-2004, თბილისი, 2005.გვ. 167

განთავისუფლებისას არ გამოიკვეთა ქალებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება; თუმცა ზოგიერთ პასუხში მაინც დაფიქსირდა სხვა კატეგორიის დისკრიმინაციული მიდგომაც (პასუხი – „ინც მათ სურდათ“)

გამოკითხულთა უმეტეს ნაწილს (58,5%) დიდი სურვილი აქვს, დაუბრუნდეს თავიანთ ყოფილ სამსახურს, რასაკვირველია, თუ ასეთი შანსი გაჩნდება. მხოლოდ 15%-მა გადაჭრით აღნიშნა, რომ არაეთიარო სურვილი არა აქვს ადრინდელ სამუშაოზე დაბრუნებისა 59%-ს ურჩევნია სახელმწიფო სექტორში მუშაობის დაწყება, კერძო სექტორზე მხოლოდ 7%-მა მიუთითა, ხოლო მესამედისათვის (34%) აბსოლუტურად სულერთია, ოდნოდ კი სამუშაოზე მოეწყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში უმუშევართა მხოლოდ მცირე ნაწილი მიმართავს დასაქმების სამსახურებს შრომითი მოწყობის მიზნით. ამის მიზეზი კი მათი საქმიანობის სუსტი მექანიზმი და დაბალი შედეგიანობაა. გამოკვლევის მიხედვით, თვით იმ უმუშევართა შორის, რომლებმაც მიმართეს დასაქმების სამსახურს დასაქმებაში დასახმარებლად, მხოლოდ 73,5%-ია დაიმედებული, რომ მოეწყობა სამუშაოზე, ყოველი მეოთხე უმუშევარი კი ეჭვით უყურებს მას და ვერც რაიმე იმედთან პასუხს იძლევა

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, ამიტომ იგი მეტ-ნაკლებად გაგებით აღიქმება ამ ურთიერთობების მქონე ქვეყნებში. ჩვენში იგი 1990-იანი წლების დასაწყისიდან აღმოცენდა, ამიტომ გამოკითხული უფროსი თაობის ნაწილი მოესწრო ე.წ. „სრულ დასაქმებასაც“ და ამჟამად, უმუშევრის როლშიც გამოდის. ჩვენი აზრით, გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს უმუშევრობის აღქმა და შეფასება სხვადასხვა თაობებში; ახალგაზრდობაში (30 წლამდე), შუა თაობაში (30-49 წწ.) და ე.წ. „შესამე ასაკის“ (50 წელზე მეტი) მოსახლეობაში კითხვაზე „რა შედეგი გამოიღო და დაგანახათ უმუშევრობამ?“ – პასუხები ასე განაწილდა (ცხრილი 38)

ვფიქრობთ, გამოკითხვის შედეგი კანონზომიერად ასახავს იმ განსხვავებებს, რომელიც ზოგიერთ კითხვაზე სხვადასხვა თაობის პასუხებში

გამოიხატა. მაგალითად, ცხოვრების დონის დაქვეითება და კვალიფიკაციის შემცირება, სავსებით ბუნებრივად, ახალგაზრდა თაობაში ნაკლებად იგრძნობა. მაშინ როცა ხანდაზმულებმა ადვილად

ცხრილი 38

რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე  
 „რა შედეგი გამოიღო და დაგანახათ უმუშევრობამ?“ –  
 პასუხების მიხედვით, პროცენტობით ჯამთან

პასუხები	ახალ- გაზრ- დობა (30 წლამ- დე)	შუა ასაკის თაობა (30-49 წწ)	„მესამე ასაკის თაობა (50-ზე მეტო)	სულ
სწრაფად დასწია ჩემი ცხოვრების დონე	20,8	30,2	30,8	26,7
ვამოიწვია კვალიფიკაციის მკვეთრი დაქვეითება	8,9	12,5	7,8	10,5
საზოგადოებაში გაიზარდა სოციალური, პოლიტიკური დაძაბულობა	21,9	18,1	24,9	20,0
კააუარესა კრიმინოგენული ვითარება	16,0	11,2	17,9	13,1
საიძულა მეზრუნა კვალიფიკაციის ამაღლებაზე	13,8	10,0	2,4	10,1
სრულიად სხვა პასუხისმგებლობა ჩამომიყალიბა	14,0	15,8	2,4	13,0
დასაკმებულთა შორის ამაღლდა შრომის დისციპლინა	3,9	-	12,8	5,6
სხვა	0,7	2,2	1,0	1,7
სულ	100	100	100	100

შეამჩნიეს შრომის დისციპლინის ამაღლების ტენდენცია შრომის ბაზარზე კონკურენციის გამო

რესპონდენტთა 65,2% მიიჩნევს, რომ შესაძლოა დასტირდეს გადამზადება ახალი სამუშაოს დაწყებისას, მათ შორის 6,2% ამას აბტეგორიულად აცხადებს. 50 წელს გადაცილებული უმუშევრების უმეტესი

ნაწილი (62%) არ სთვლის საჭიროდ გადამზადებას, ხოლო ახალგაზრდა უმუშევართა კონტინენტის ნახევარზე მეტს გადამზადება სამუშაოს დაწყებამდე საჭიროდ მიაჩნია. ამ უკანასკნელებს სურთ კომპიუტერზე მუშაობის შემსწავლელი კურსების გავლა, უცხო ენის შესწავლა, ადმინისტრირების კურსის გავლა, საშუალო თაობაში ბეყრია ბუღალტერიის კუთხით გადამზადების მსურველი.

უმუშევრობის გარდაუვალობა საბაზრო მეურნეობის პირობებში უფრო ჭკად ახალგაზრდობას ესმის, თუმცა სამუშაოს ძებნის აქტიურობით შუა თაობის წარმომადგენლები გამოირჩევიან სავსებით ბუნებრივია, რომ მამაკაცები მეტი აქტიურობით ეძებენ სამუშაოს, ვიდრე უმუშევარი ქალები ამიტომაც ისინი ნებისმიერი სამუშაოს მიცემის შემთხვევაში უფრო ადვილად კმაყოფილებიან („ოღონდ ანაზღაურება იყოს“), ვიდრე ქალები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო ამხანაურის საქმიანობის უფრო დეტალურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ 1998-2003 წწ გადამზადების სხვადასხვა კურსებზე გაიგზავნა 1272 უმუშევარი, რომელთაგან პროფესიული გადამზადების მოწმობა მიიღო 1122 კაცმა. მაგრამ გადამზადების შემდგომ მათგან მხოლოდ 92 კაცი (8,25%) დასაქმდა, რაც უაღრესად ცუდი მაჩვენებელია გადამზადება ამ შემთხვევაში თეითმიზნურ ხასიათს იძენს და ვერ პასუხობს დასაქმების სისტემის პირდაპირ ფუნქციებს, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დასაქმებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შედგენისას მართალია, გადამზადების შედეგად უმუშევრებმა მომავალი საქმიანობისათვის ისეთი ცოდნა შეიძინეს, რომელიც ცხოვრების მანძილზე აუცილებლად გამოადგებათ (კომპიუტერზე მუშაობა, ოფისის მენეჯერობა, მცირე ბიზნესის გაძღვლა, მძღოლობა და ა.შ.), მაგრამ ეს დასაქმების სისტემის პირდაპირი დანიშნულება არაა, და გადამზადების სახსრების ხარჯვას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ თვალსაზრისით, კრიტიკულად უნდა განვიხილოთ ე.წ. საზოგადოებრივ სამუშაოზე დროებით დასაქმებაზე გამოყოფილი სახსრების ხარჯვა. როგორც წესი, სახსრები აქ ძირითადად

ხელფასზე უნდა იხარჯებოდეს. სინამდვილეში კი ხშირად ჭარბობს ძირითადი და დამხმარე მასალების შექენაზე არამიზნობრივი ხარჯვა სრულიად სხვა დანიშნულებით გამოყოფილი სახსრებისა.

ამრიგად, დასაქმების სახელმწიფო რეგულირების არსის გაუაზრებლობას და არაკომპეტენტურობას ხშირად მიეყვართ დასაქმების ღონისძიებათა არაეფექტიანობამდე და ზოგჯერ კი, არაა გამორიცხული, კორუფციამდე.

საბოლოოდ, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა.

- ისევე როგორც საქართველოში, პოსტსაბჭოთა აჭარაშიც ღრმა ეკონომიკური კრიზისის გავლენით განვითარდა უმუშევრობა, რომელიც პირველ ხანებში ფარული უმუშევრობის სახით გვევლინებოდა, ხოლო მალე გადაიზარდა რეალურ უმუშევრობაში და საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია, განსაკუთრებით მწვავედ გამოვლინდა იგი ქალაქის მოსახლეობაში. არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობითა და აჭარაში განვითარებული უმუშევრობის დონის მიხედვით გაანგარიშებისას, უმუშევრობის გამომწვევად პირდაპირი დანაკარგები საშუალო-წლიურად არანაკლებ 150 მლნ ლარს შეადგენს, რასაც იმავდროულად თან ახლავს მასობრივი შრომითი ემიგრაცია და დეპოპულაციური ვითარების აღმოცენება.

- 2000 წლის შემდგომ სტატისტიკურად ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც მცირდება უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონეც, მაგრამ იგი ქალაქის მოსახლეობაში საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე მაღალია

- მოსახლეობის აღწერის, შინამეურნეობათა გამოკვლევის და ჩვენს მიერ სპეციალურად ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმუშევართა კონტინგენტი თავისი განათლების დონითა და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურით წარმოადგენს მაღალი შრომითი პოტენციალის მქონე ჯგუფს, რომელსაც თავისი სამუშაოს ძალის მიწოდებით შეუძლია დააკმაყოფილოს შრომის ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნა

მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე, თვით მაღალი ტექნოლოგიების ინვესტირებისა და მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნის შემთხვევაში ამასთან, უმუშევართა ტერიტორიული კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია, განსახლებულია აჭარის მ ადგიურბანიზებულ ზონაში და, ზოგადად, მაღალი პროფესიულ-ტერიტორიული მობილურობით გამოირჩევა

- ისევე როგორც მთელ საქართველოს დასაქმების სახელმწიფო სისტემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სამსახური, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს შრომის ბაზრის რეგულირებას მათი მუშაობის შედეგიანობა უკიდურესად მცირეა ამ მხრივ აჭარის დასაქმების სამსახურს აქვს ცოტა უკეთესი შედეგი, მაგრამ უმუშევართა დასაქმების მაჩვენებელი რეალურ უმუშევრების რაოდენობასთან შედარებით პრაქტიკულად უმნიშვნელოა ამას თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს და დამატებით კვლევას მოითხოვს დასაქმების განსახორციელებელი ისედაც არასაკმარისი სახსრები ხშირად არამიზნობრივად იხარჯება, რისი კომპეტენტური შეფასება არ ხდება,

- მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მეტია უმუშევრის შემწეობის მიმღებთა ხვედრითი წონა, იგი მაინც უმნიშვნელოა და უმუშევართა რეალური სოციალური დაცვა ფაქტობრივად ვერ ხორციელდება;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებული უმუშევრობის ანკეტური გამოკვლევით, გამოვლინდა, რომ მათი 94%-ის ოჯახის შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით ვერ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს და მათთვის დასაქმება ფიზიკური გადარჩენის ტოლფასია. დასაქმების სამსახურს მხოლოდ უმუშევართა მცირე ნაწილი მიმართავს, რადგან დასაქმების შანსი დაბალია. ყოველი მეოთხე რეგისტრირებული უმუშევარი უიმედოდ უყურებს თავის დასაქმებას.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა უმუშევრობისადმი განსხვავებული დამოკიდებულება თაობათა შორის. ახალგაზრდობა მეტ სურვილს

ამჟღაენებს გადამზადებისადმი და ასახლი პროფესიების ათვისებისადმი, განსაკუთრებით დიდია მითხონა კომპიუტერზე მუშაობის და უცხო ენის დაუფლებისა. უადრესად დაბალია გადამზადებულ უმუშეუართა შემდგომი დასაქმების მარვენებელიც.

)

## თაზი IV

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი  
რესურსების ბაზოქმენბის სოულყოზის ზეპბი

§ 4.1. მატერიალური წარმოების სფეროს ღარბების ბანვითარება და  
ოპტიმალური დასაქმების მიღწევის ზეპბი

აჭარის შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების პერსპექტივა ბევრადღა დამოკიდებული ატონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე, საღაც აქემად, მეტყვეობისა და თეეზჭერის ზათელით, ოფიციალური მონაცემებით, დასაქმებულია 99,4 ათასი კაცი, ანუ დასაქმებული მოსახლეობის 59,8% 1989 წელთან შედარებით (66,4 ათასი) დასაქმებულთა როდენობა ერთნახევარჯერაა გაზრდილი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნადღა შემცირებული, რაც დასაქმების არაეფექტიანობასა და არასრულობაზე მიუთითებს

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობათა კვლევა გვიჩვენებს, რომ სავსებით შესაძლებელია შედარებით ხანმოკლე პერიოდში არსებითად მოხდეს კრიზისამდელი წარმოების მოცულობის აღდგენა მთელ რიგ დარგებში, რასაც, ცხადღა, მიზანმიმართული ძალისხმევა სჭირდება. აუცილებლად მიგვანია მნიშვნელოვანი სპეციალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება, განსაკუთრებით, ამ რეგიონისათვის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიცაა მეჩაიეობა და მეციტრუსეობა.

მოუფლელობის გამო პლანტაციები დასარველიანღა,მათი 40% კი (2400 ჰა) მძიმედ დასარველიანებულია მოდებული გვიმრა, ეკალბარდი, გრაკალი და ა.შ.თითქმის 6 ათასი ჰა-დან ნახევარი ხანდაზმულია, 50 წელზე მეტი ასაკისაღ, ხოლო 20% ძლიერ გადაზრდილია გაუფლელობის გამო. ჩასატარებელია მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლები.

მართალია, ჩატარდა პლანტაციების განსახელმწიფოებრიობის პროცესი, მაგრამ იგი ბოლომდე ვეექტიანად ვერ განხორციელდა გამოთვლები გეინვენებს, რომ საეესებით რეაღურია რამდენიმე წელიწადში ჩაის მოსავლიანობის გაზრდა ორჯერ, პექტარზე 60 ცენტნერამდე, ხოლო წარმოების მოცულობისა – 5–5–ჯერ. აქ სხვა ღონისძიებებთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ჩაის ხარისხის ზრდა და მისი პრესტიჟის აღდგენით საერთაშორისო ბაზარზე კვლავაც დამკვიდრება, რაშიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელშეწყობის პოლიტიკის განხორციელება უეჭველია, რომ პერსპექტივაში საგრძნობლად გაიზრდება მეჩაიეობაში დასაქმების ვეექტიანობა და დახარჯული შრომაც შესაბამისად ანაზღაურდება როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, აჭარაში მეჩაიეობის რეაბილიტაცია შესაძლებელია მხოლოდ დაფასებული ჩაის წარმოებით<sup>1</sup>, რაც უკვე დაწყებული აქვს სს „ქობულეთის ჩაი“, კვირიკესა და ქედის ჩაის ფაბრიკებს წარმატება შეიძლება მიღწეულ იქნეს საშუალო და მცირე სიმძლავრის ჩაის საწარმოთა ამოქმედებით, რომლებზეც მიმაგრებული იქნება საკუთარი ან ხელშეკრულებით 200–400 ჰა ჩაის პლანტაციების მომსახურება შეძლებისამებრ, უნდა შეიზღუდოს ჩაის იმპორტი და მიიღწეს მეჩაიეთა შრომის მაღალი ანაზღაურება. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს მწვანე ჩაის წარმოებას, რომელიც აქ ხარისხიანია; გაიზარდოს მწვანე ჩაის წარმოების ხვედრითი წონა რასაკვირველია, ჩაის ექსპორტის შემდგომი ზრდისათვის საჭირო იქნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვაც. ვეიქრობ. ამ მიმართულებით კარგი შედეგი შეიძლება მოგვეცეს რუსეთის, ყაზახეთისა და შუა აზიის ქვეყნების ინვესტორებთან მუშაობამ, რადგან ეს ქვეყნები იყენენ აჭარის ჩაის ძირითადი მომხმარებლები და სამეურნეო ურთიერთობის მხრივ კარგი ტრადიცია არსებობს. ჩაი საქმოდ შრომატევადი კულტურაა

<sup>1</sup> ლაზიშვილი ლ მეჩაიეობის რეაბილიტაციის გზები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კრებულში საქართველოს რეგიონების ეკონომიკური დასოვიალური განვითარების მიმართულებით გარდამავალ პერიოდში ზათუმი–თბილისი 2001, გვ. 118.

რეაბილიტაციის შემთხვევაში უახლოეს ხუთ წელიწადში მეჩაიეობაში დასაქმება, ჩვენი უხეში გაანგარიშებით 1,5-ჯერ გაიზრდება.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს აჭარაში მეციტრუსეობის დარგის რეაბილიტაციას ძლიერ გაძნელდა პროდუქციის ექსპორტი ციტრუსების პლანტაციებში ჯვროვნად ველარ ხორციელდება აგროტექნიკური ღონისძიებანი, ვერ შეაქვთ საჭირო რაოდენობის ორგანული და მინერალური სასუქი, გაძვირდა შესაქმიოკატები, ნარგავები გამეჩხერდა და დაკნინდა. მართალია, ბოლო წლებში მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო, მაგრამ დარგის რეაბილიტაციამდე (200 ათასი ტონა ციტრუსი) ჯერ კიდევ შორსაა ექსპერტთა გაანგარიშებით, აჭარის სუბტროპიკულ ზონაში საესებით რეალურია მანდარინის პლანტაციების ზრდა 10 ათას ჰექტრამდე, სუბტროპიკული ხურმის გაშენება სამოერებთან და ჩაის პლანტაციებთან შეთავსებით - 22 ათას ჰექტრამდე, ხოლო კივის პლანტაციებისა - 1500 ჰექტრამდე ამით შესაძლებელია აჭარაში შიგა პროდუქტის 1,2 მლრდ მოცულობით მიღება<sup>1</sup>. ამ პროგრამით გაიზრდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ამჟამად არსებული არასრული და არაეფექტიანი დატვირთვა, განსაკუთრებით კი, შრომის ანაზღაურების დონე, რაც შრომითი რესურსების აღწარმოების გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობაა.

გადადებელი ამოცანაა აჭარაში საკონსერვო მრეწველობის რეაბილიტაციისა და განვითარების დაჩქარება აქაც კვლავ თავს იჩენს საგარეო ბაზრის პრობლემა, რომლის მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობის ზრდას და, შესაბამისად, დასაქმების დონესაც.

უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აჭარაში მეცხოველეობის განვითარების გზების ძიებას, განსაკუთრებით მთიანი რაიონებისათვის. პირუტყვი ამჟამად მთლიანად კერძო მფლობელობაშია და მეცხოველეობაც

<sup>1</sup> ჭურვევიმე შ მიქელაძე ზ არბენაძე გ გორგილაძე რ - საქართველოს სუბტროპიკული ზონის აგროსამრეწველო კომპლექსის რაციონალური განვითარების მიმართულებები საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში ბათუმი-თბილისი, 2001, გვ 207

შედარებით ნაკლებად დაქვეითებულ დარგს მიეკუთვნება ფურის სულადობამ გადააჭარბა კიდევ კრიზისამდელ დონეს. მაგრამ ამ დონეზე გაჩერება ვერ უზრუნველყოფს შრომით რესურსების ეფექტიან დასაქმებას, აუცილებელია ხელი შეეწყოს ფერმერული მეურნეობის განვითარებას, გამსხვილებას, დაქირავებული შრომის გამოყენების და მეცხოველეობის ნაწარმის რეალიზაციის გაიოლებას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს აჭარაში და, მათ შორის, აჭარის მთიანეთში საგზაო-სატრანსპორტო ქსელის რადიკალურ გარდაქმნას, სოფლების რაიციენტრებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქციას. ბოლო ხანს აჭარაში ინტენსიურად დაიწყო საგზაო მშენებლობა, ამას დიდი მნიშვნელობა ექნება აჭარის მთიანი დასახლებული პუნქტების პერსპექტიულ განვითარებაში, განსახლების სისტემის რაციონალიზაციაში და შრომითი რესურსების ოპტიმალურ-ტერიტორიული განაწილების უზრუნველყოფაში.

სატრანსპორტო მიმოსვლას და, საერთოდ, ტრანსპორტის დარგის განვითარებას აჭარაში დიდი პერსპექტივა აქვს. აჭარა და მისი დედაქალაქი ბათუმი სსრკ დროს წარმოადგენდა თავისებურ ჩიხს, განვითარებული იყო მხოლოდ ჩრდილოეთიდან შესასვლელი სატრანსპორტო კომუნიკაციები და საზღვაო მიმოსვლა. ამჟამად დიდი პერსპექტივებია თურქეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზების გაფართოებისა და გამტარუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია მთიან აჭარაზე გამავალი გზის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით რეკონსტრუქცია, გოდერძის უღელტეხილზე საუღელტეხილო გვირაბის მშენებლობა ამ გზის მშენებლობასა და ექსპლოატაციაზე დასაქმდება ადგილობრივი შრომითი რესურსები, რომ არაფერი ვთქვათ ამ გზის გაელენით აჭარის მთიანეთის რადიკალურ ეკონომიკურ აქტივიზაციაზე, რაც, თავის მხრივ, შრომითი რესურსების ეფექტიანი დასაქმების ერთ-ერთი წინაპირობაა

პირველ თავში მიუვითითეთ ბოლო 15 წელიწადში აჭარის სამრეწველო პოტენციალის ფაქტობრივ განადგურებაზე მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობის კატასტროფულ შემცირებაზე (5-ჯერ) მაშინ როცა, აჭარისა

და, განსაკუთრებით, მისი დედაქალაქის მრეწველობა საქართველოს მასშტაბით დაწინაურებული დარგი იყო. ამჟამად აჭარის შრომითი რესურსების მაღალი განათლების პოტენციალი, ბათუმის მრეწველური ტრადიციები ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობასთან ერთად ქმნის აჭარის მრეწველობის რეაბილიტაციისა და შემდგომი განვითარების საფუძველს

ძირულ რეკონსტრუქციას საჭიროებს ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ამჟამად განერებულია. კრიზისამდე ამ სამრეწველო ობიექტზე ორი ათას კაცზე მეტი იყო დასაქმებული თანამედროვე, ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიით აღჭურვის შემდგომ საეხებით შესაძლებელია იგი კვლავაც გახდეს აჭარის მრეწველობის ფლაგმანი და მაღალი კვალიფიკაციური შრომითი რესურსების დასაქმების ობიექტი.

ასევე რეკონსტრუქციას საჭიროებს მანქანათმშენებლობის ობიექტები, სადაც მომუშავეთა რიცხოვნობა 5-ჯერაა შემცირებული მართალია, გემთსაშენ ქარხანაში იწარმოება „გრიფის“ ტიპის სასაზღვრო კატარღები და მოდერნიზებული სასაზღვრო კატარღა „მუსტანგ“, მაგრამ თუ გაეთვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფას საჭიროა წარმოების შემდგომი გაფართოება, რაც კვალიფიციური პერსონალის დასაქმების ადგილი იქნება

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა დასაქმებულთა რაოდენობა აჭარის ხის დამამუშავებელ მრეწველობაშიც, რომლის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება იყო და არის ამჟამად ამ მიმართულებით ყურადღების გამახვილება აუცილებელია, მითუმეტეს რომ აჭარაში არის ამ დარგის განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსები

მოსახლეობის დასაქმებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა გაფართოებას მსუბუქი მრეწველობა შრომატევადი დარგია და შესაძლებლობას იძლევა განლაგდეს

პატარა დასახლებულ პუნქტებში ფილიალების სახითაც ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ხულოს ფილიალი, სადაც 400-მდე ქალი იყო დასაქმებული ვეიქრობთ, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში მოქმედი საწარმოების ფილიალების რაიციენტრებში განლაგების პოლიტიკა პერსპექტივაშიც გასაგრძელებელია ამას დიდი მნიშვნელობა ექნება მთიანი აჭარის მოსახლეობის დასაქმების კომპლექსურობის ამაღლებაში, ცხოვრების დონის ზრდაში და დეპოპულაციური პროცესების თავიდან აცილებაში.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის რეაბილიტაციას, ის ნაწილობრივ, დამოკიდებულია სანედლეულო ბაზაზე და საჭიროებს ინვესტიციებს ახალი ტექნოლოგიების დასანერგად. ამ დარგის წილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მთელ მოცულობაში მესუთედზე მეტია (კრიზისის ყველაზე დეპრესიულ პერიოდში თითქმის 60% იყო), დასაქმებულთა რიცხოვნობა თვით 1995 წელთან შედარებით 45%-დაა შემორჩენილი, ისიც ნაწილობრივი შრომითი დატვირთვით ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით დარგის რეაბილიტაციითა და განვითარებით უახლოეს ხუთ წელიწადში აქ დასაქმებულთა რიცხოვნობა საეხსებით შესაძლებელია გაიზარდოს მინიმუმ 2,2 ათასი კაცით, სრული დასაქმების გარანტიითა და ფარული უმუშევრობის გამორიცხვით, ხოლო შემდგომ კიდევ უფრო მეტად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთო ეკონომიკური აქტივიზაცია რადიკალურად შეცვლის მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობასა და სტრუქტურას. როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, 1989-2002 წწ აღწერების მიხედვით, მშენებლობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2,6-ჯერაა შემცირებული. ბოლო ხანს გააქტიურდნენ კერძო სამშენებლო ორგანიზაციები. აშკარად შეიმჩნევა კერძო ბინათმშენებლობის აქტივიზაცია ზღვისპირა საკურორტო დასახლებებში, ბინების რეკონსტრუქციის სამუშაოები, რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული სეზონის დროს

დამსვენებელთა მიღებისათვის რეკრეაციულ მუხრნობაში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოსალოდნელი ზრდა დარგის სწრაფი განვითარებისა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის რეალური გზაა, რაც საგრძნობლად იმოქმედებს აჭარაში უმუშევრობის შემცირების დონეზე

მატერიალური წარმოების დარგების აღმავლობა და აქ დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის ამაღლება პქმნის საფუძველს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების განვითარებისა და დასაქმების სრულყოფისათვის ამჟამად ვაჭრობა თითქმის მთლიანად კერძო სექტორშია მოქცეული საქონელბრუნვის მოცულობის სწრაფი ზრდის მიუხედავად იგი კრიზისამდელ პერიოდს თითქმის 5–ჯერ ჩამორჩება, თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებს საგრძნობლად აღემატება სამწუხაროდ, ვაჭრობის სფეროში საკანონმდებლო–ნორმატიული ბაზის სისუსტისა და არასაკმარისი ორგანიზაციის, ვაჭრობის დაბალი კულტურის პირობებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ე.წ. ქაოსური ტიპის ბაზრების ჩამოყალიბებას, ჯერ კიდევ შორსა ვართ ცივილიზებული ვაჭრობისა და მომსახურებისგან, რაც იწვევს შეფერხებებს ამ დარგის განვითარებაში და, შესაბამისად, აქ დასაქმებულ მუშაკთა შრომის ფეფქტიანობაში, საესებით მისაღებია ექსპერტთა წინადადება ამ სფეროში დასაქმებული პერსონალის სწავლებისა და ატესტაციის თაობაზე, აგრეთვე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხში უამრავი პრობლემის მოგვარებაზე!

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების დასაქმების დონის ამაღლებისა და რაციონალური გამოყენების უმნიშვნელოვანესი გზაა კრიზისში მყოფი ეკონომიკის დარგების რეაბილიტაცია და შემდგომი განვითარება, რეგიონის ბუნებრივ – საწარმოო პირობების გათვალისწინებით დასაქმების დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, მაღალკვალიფიციური დასაქმების დარგების განვითარება,

<sup>1</sup> ბაკურიძე თ. ვაჭრობის განვითარება და მისი რეგიონული თავისებურებები აჭარაში კრებულში საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულულებში გარდამავალ პერიოდში ზათუმი–თბილისი, 2001, გვ. 109

მატერიალური წარმოების კომპლექსურობის უზრუნველყოფა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის ბაზაზე, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, უცხოელ და ადგილობრივი ინვესტორების დანიტე-რესებით.

#### § 4.2. ტურიზმის განვითარება, როგორც დასაქმების სრულყოფის გზა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებაზე სპეციფიკურ გაეღენას ახდენს რეკრეაციულ მეურნეობაში დასაქმებულთა დიდი წილი. ტურიზმი ავტონომიური რესპუბლიკის სპეციალიზაციის დარგია და ეკონომიკის ამჟამინდელი ზოგადი ჩამორჩენილობის მიუხედავად, სწრაფად ვითარდება ამას ხელს უწყობს აჭარის ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობა და ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივ-კლიმატური პირობები, აგრეთვე, ის დიდი ტრადიციები, რომლითაც იგი გამოირჩეოდა როგორც საქართველოს მხარეებს შორის, ისე ყოფილ საბჭოთა სიერცეში.

15-20 წლის წინ საქართველოში მთელი მსოფლიოდან 4,5 მლნ ტურისტის ჩამოდიოდა, ძირითადი ნაწილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან იყო, და ისინი უმთავრესად რეკრეაციული მიზნით სტუმრობდნენ საქართველოს, ამჟამად კი ჩამოსვლელთა უმრავლესობა საქმიანი ვიზიტით ან ახლობლების მოსანახულებლად ჩამოდის 2004 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ 368 ათასი შეადგინა, რაც წინა წლებთან შედარებით აშკარა ზრდის მიუხედავად, სრულიად შორს დგას საქართველოს შესაძლებლობებისაგან<sup>1</sup>.

ჩვენ, პირველ რიგში, გვინტერესებს აჭარაში ტურიზმის განვითარების გავლენა მოსახლეობის დასაქმებაზე. როგორც ცნობილია, ტურიზმში ერთი

<sup>1</sup> გოგოლაძეს როგორ ვიშოვით ფულს ტურიზმში ე. „საქრო-მიკრო ეკონომიკა“, 2005 წ. № 6, გვ 14

სამუშაო ადგილის შექმნა იწვევს მინიმუმ ორ სამუშაო ადგილის შექმნას მომიჯნავე დარგებში<sup>1</sup>. ტურიზმზე მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 10%, კერძო მომსახურების – 10,9%, ინვესტიციების – 11,8%. ტურისტები უცხო ქვეყნებში მოგზაურობაზე ხარჯავენ 60 მლრდ დოლარზე მეტს, მსოფლიოში ყოველი მე-16 სამუშაო ადგილი მოდის ტურიზმზე<sup>2</sup>. ზოგიერთი ექსპერტის მონაცემებით კი – ყოველი მე-7<sup>3</sup> როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ტურიზმი მოიცავს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს ამის გამო ხშირად ძნელია ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რიცხოვნობის დადგენა საჭიროა შეფასებები, რაც ყოველთვის ზუსტად ვერ ხერხდება ზოგიერთი ტურისტული რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტული სეზონის განმავლობაში მეტ-ნაკლებადაა ჩართული ტურისტულ მომსახურებაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში ტურისტულ ინდუსტრიაში იქმნება უფრო მეტი ახალი სამუშაო ადგილი, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორებში ასეთ ქვეყნებში სამუშაო ძალის სიიაფის გამო ერთი სასტუმრო ნომრის მომსახურებაზე მოდის 1,6-1,8 კაცი ხოლო მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უშუალოდ ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა ნახევარი სწორედ სასტუმრო მეურნეობაშია დასაქმებული<sup>4</sup>

TACIS-ის ექსპერტთა შეფასებით, ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობამ საქართველოში 45 ათასი კაცი შეადგინა, უშუალოდ ტურიზმის სექტორში კი – 17 ათასი. მათგან აჭარაზე მოდის დასაქმებულთა საკმაოდ დიდი ნაწილი. 2000 წელს საპაერო ტრანსპორტით ჩამოსულმა ტურისტმა საშუალოდ დახარჯა 946\$<sup>5</sup> საერთოდ კი ქვეყანამ ტურიზმიდან მიიღო 826,7 მლნ ლარის შემოსავალი<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შახტაძე ე. აჭარაში ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი ე. „ეკონომიკა“, 2003, № 3-4, გვ. 71, შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბილისი „აგმა“, 2004. გვ. 64

<sup>2</sup> შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი თბილისი, „აგმა“, 2004. გვ. 60.

<sup>3</sup> ბერიძე რ. საერთაშორისო ტურიზმის განვითარება დასაპაერო ტრანსპორტი. ე. „ეკონომიკა“ 2001. № 8, გვ. 93

<sup>4</sup> მარგველაშვილი მ. ტურიზმი და ეკონომიკა ე. „სოციალური ეკონომიკა“ 2001 № 6, გვ. 122.

<sup>5</sup> შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი. თბილისი, „აგმა“, 2004, გვ. 66

<sup>6</sup> იქვე, გვ. 67

ამჟამად საკურორტო მეურნეობა და ტურიზმის განვითარება მიზანშეწონილია ორი ძირითადი ამოცანით განვიხილოთ. პირველი ესაა, კრიზისამდელი სიმძლავრეების აღდგენა, რასაც მოჰყვება აქ დასაქმებულთა რაოდენობის აღდგენა და მეორე, არსებული ბუნებრივი რესურსებიდან გამომდინარე, ტურისტთა რიცხვის ზრდა და დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად – დასაქმების ეფექტიანობის ამაღლება და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდა.

წმინდა ტურისტული მიზნებით საქართველოში 1990 წ. შემოსული და ადგილობრივი ტურისტების რიცხოვნობამ 1,3 მლნ კაცი შეადგინა ამ პერიოდში მათთვის 39,5 ათასი ადგილი არსებობდა, რომელიც 2000 წ-თვის 17,2 ათასამდე შემცირებული აღნიშნულ პერიოდში ტურმრების რაოდენობა 10-ჯერაა შემცირებული, მომსახურების მოცულობა - 4-ჯერ, სანატორიუმების მოქმედი რაოდენობა - 10-ჯერ, მათში ადგილების რაოდენობაც - 10-ჯერ, ხოლო სანატორიუმებში დამსვენებელთა რაოდენობა - 17,8-ჯერ ჩვენთვის საინტერესო დასაქმებულთა წლიური რიცხოვნობა კი 25,7 ათასიდან 17 ათას კაცამდეა მხოლოდ შემცირებული<sup>1</sup>

საუკუნის დასაწყისში ივარაუდებოდა, რომ 2005 წლისათვის უნდა აღდგენილიყო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ადგილების რაოდენობა, და რამდენიმე ათასით გაზრდილიყო მათში დასაქმებულთა რაოდენობა

როგორც სოციალურ-პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურადაც უდიდესი დარტყმა მიაყენა საქართველოს ტურისტულ მეურნეობას აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან 300 ათასი იძულებით გადაადგილებული პირის დროებით ჩასახლებაზე რეკრეაციულ-ტურისტულ ობიექტებში იგი ხანგრძლივად გაგრძელდა და ტურისტული ბაზების, სანატორიუმების, სასტუმროების პარალიზება და, საბოლოოდ, მთელი ამ სისტემის ფაქტობრივი ლიკვიდაცია

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკური დეპარტამენტის დასაქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემთა საფუძველზე (მაშინდელი ინდიკატორი ჯგუფის მაკრო)

გამოიწვია ამჟამადაც აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 6 ათას კაცზე მეტია შესახლებული აღნიშნულ საკურორტო დანიშნულების შენობაში, შეუძლებელია მათი პრივატიზაცია, დანიშნულების მიხედვით ამოქმედება

ლტოლველთა მშვიდობიანი დაბრუნება თავის საკუთარ საცხოვრისში საქართველოს № 1 პრობლემაა ყველა თვალსაზრისით. ცხადია, ამას თავისი დადებითი მნიშვნელობა ექნება საკურორტო-ტურისტული მეურნეობის რეაბილიტაციისათვისაც.

მიუხედავად აღნიშნულისა, აჭარაში წლითიწლობით იზრდება დამსვენებელთა რაოდენობა მაგალითად, თუ 2001 წელს აჭარაში დამსვენებელთა რაოდენობა 21 ათასი კაცი იყო<sup>1</sup>, 2005 წლისათვის, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ცნობით აღნიშნულმა მაჩვენებელმა 50 ათასს გადააჭარბა. 2005 წლის 9 აგვისტოს მდგომარეობით შიგა ტურისტთა ნაკადი უკვე 22 ათასს აღემატებოდა, ხოლო გარე ტურისტთა რიცხოვნობა – 8 ათასს, რომელთაგან 80% – სომხეთის რესპუბლიკიდან იყო ჩამოსულნი. საფიქრებელია, რომ აღურიცხავთა რაოდენობა ბევრად მეტია, მაგალითად, საქართველოს შს მინისტრმა ვ. მერაბიშვილმა 2005 წ. 10 ნოემბერს პარლამენტის სხდომაზე დაასახელა აჭარაში სომეხ ტურისტთა რიცხვი – 25 ათასი

არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს, რომ ტურისტთა რეგისტრაცია ხშირად ვერ ხერხდება და რეალურად ისინი გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე იგი საუწყებო ორგანოებშია დაფიქსირებული აჭარის ზღვის სანაპირო ზოლი მთლიანად რეკრეაციული სისტემაა და აქაური ოჯახების 80%-ზე მეტი სხვადასხვა რაოდენობით იღებს ტურისტებს, რომელთაგან შემოსავალი ტურისტული სეზონის 1 დღე-ღამეში ერთ საწოლზე საშუალოდ 10 ლარის ფარგლებში მერყეობს. ოჯახთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ესაა მათი შემოსავლების ძირითადი წყარო, რასაც ისინი მთელ წელზე

<sup>1</sup> აჭარა ცენტრში მსოფლიო ცენტრში სტატისტიკური კრებული ბათუმი 2002, გვ. 33.

<sup>2</sup> აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემები

ანაწილებენ პირადი მოხმარებისათვის და ახალი საკურორტო სეზონისათვის მოსამზადებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში დაიწყო კერძო სექტორში საკურორტო მშენებლობის თავისებური ბუმი. აქ ეგულისხმობთ არა მარტო სასტუმროებისა და სხვა დასასვენებელი ობიექტების რეკონსტრუქციას ან ახლის მშენებლობას, არამედ მოსახლეობის მიერ გასაქირავებელი ფართის მნიშვნელოვან ზრდას და კეთილმოწყობას. ამისათვის გამოიყენებოდა როგორც პირადი დანაზოგები, ისე სხვადასხვა სახის სესხებიც, რამაც ძლიერ გააუმჯობესა ტურისტ-დამსვენებელთა მომსახურების მოცულობა და ხარისხი. ცხადია, რომ რეკრეანტები მარტო საწოლის დაქირავებით არ ამოწურავენ თავიანთ დანახარჯებს და უკვე ფართოდ გავრცელდა მათი კვების ორგანიზება ოჯახში დამზადებული საჭმელით, რაც დამატებით შრომით დანახარჯებთან და დასაქმების ზრდასთანაა დაკავშირებული

2005 წლის საკურორტო სეზონის არსებითი მხარე იყო უცხოელ, განსაკუთრებით სომეხ ტურისტთა დიდი რიცხვი. ამას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო ჩვენ ქვეყნებს შორის საავტომობილო მიმოსვლის ბევრი შეზღუდვის მოხსნამ, დაინიშნა პირდაპირი საავტომობილო რეისები სომხეთის ქალაქებთან. საკმაოდ დიდი იყო ტურისტული მომსახურების ხარისხზე მათგან წაყენებული გადახდისუნარიანი მოთხოვნა, რაც რეკრეაციულ მომსახურებაში დასაქმებულთა მატებისა და მათი შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვან ზრდას იწვევდა პერსპექტივაში მოსალოდნელია აღნიშნული ქვეყნიდან ტურისტთა ნაკადის რამდენჯერმე გაზრდა, რაც აჭარის ზღვისპირა კურორტების მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის ზრდას, უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი გზაა.

ტურისტთა მნიშვნელოვან პოტენციურ მომწოდებელს წარმოადგენს დსთ ქვეყნები, მათ შორის კი – რუსეთის ფედერაცია პერსპექტივაში საეიზო რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში, გაადვილდება რუსეთთან საავტომობილო მიმოსვლაც. საეიზო რეალურია იმ ტურისტული მარშრუტების აღდგენა,

რომელიც ჩრდილო კავკასიაში იწყებოდა და შავი ზღვის კურორტებზე დასვენებით მთავრდებოდა საერთოდ კი, ტურისტთა უპრობლემო ტრანსპორტირების საკითხი მოგვარებას მოითხოვს, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს ტურიზმის დარგის ბევრი ექსპერტი<sup>1</sup>. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის აეროპორტის რეკონსტრუქციას მგზავრბრუნვის გაზრდა გაადიდებს ტრანსპორტზე დასაქმებულთა რიცხოვნობას და ზემოქმედებას მოახდენს აჭარის რეგიონის შრომითი რესურსების დასაქმების მაჩვენებელზე.

მეტად მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია ტურიზმის სფეროში დასაქმების სეზონურობის პრობლემაც ეს ტურისტული ქვეყნებისა და რეგიონებისათვის დამახასიათებელი სერიოზული საკითხია და ყოველმხრივ მიმდინარეობს მუშაობა სეზონურობის უარყოფითი ზეგავლენის შერბილებისათვის ამჟამად საქართველოში ჯერჯერობით პოპულარულია ზღვისა და მთის კურორტებზე დასვენება, რომელიც სეზონურობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით, ე.წ. საოჯახო სექტორი. რასაკვირველია, აუცილებელი ხდება ტურიზმის სხვადასხვა სახის განვითარება ჩვენი აზრით, ყველაზე მეტად სეზონურობის დაძლევა (რაც, როგორც აღნიშნეთ, სეზონური დასაქმებისათვის დამახასიათებელ რყევებთანაა დაკავშირებული) მეტად შეუწყობს ხელს ე.წ. კომფორტულობის ამაღლება კომფორტულად მოწყობილ სასტუმროებში, კომფორტულ საკურორტო კომპლექსებში და გასართობი ინდუსტრიის თვალსაზრისით კეთილმოწყობილ კურორტებზე მნიშვნელოვნადაა შემცირებული დამსვენებელთა რიცხოვნობის სეზონური რყევა სწორედ კომფორტის წყალობით იყო ყოფილ სსრკ-ში ბიჭვინთის, ადღერისა და სოჭის პანსიონატები სრულად დატვირთული წლის ნებისმიერ დროს ამიტომ საკურორტო სეზონურობის შემცირება, ტურისტულ მომსახურებაში დასაქმების უფრო მეტ უწყვეტ იძლევა.

აჭარას აქვს მეტი შესაძლებლობა განავითაროს სამთო ტურიზმიც, ეს იქნება ზღვაზე დასვენებასთან კომპლექსში საერთოდ, აჭარაში ყველა

<sup>1</sup> დოლიაშვილი თ. პაიჭაძე თ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მგზავრთა ნაკადის ზრდის გზები ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე. გ. «კონომიკა» 2005, № 1-2, გვ. 117-120

პირობა არსებობს განვითარდეს სათავეგადასავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, სამთო-სათხილამურო ტურიზმი, ავტოტურიზმი მოეწყოს საერთაშორისო კონფერენციები, კონგრესები, გამოფენები, ბაზრობები, ფესტივალები

დასაქმების ეფექტიანობას ხელს შეუწყობს ტურიზმის სპეციალისტთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, სარეკლამო მუშაობის გაძლიერება, რაც ამჟამად ჩანასახოვან მდგომარეობაშია და, საერთოდ, მომსახურების მაღალი კულტურის თანდათანობითი ჩამოყალიბება.

ჩვენი აზრით, აჭარაში ტურისტთა ნაკადის ბოლოდროინდელი ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა ტურისტული სეზონის დროს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის რადიკალური გაუმჯობესება, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ 2005 წლის სეზონში ნებისმიერი დამსვენებელი კრიმინალური შემთხვევების შემცირების მიზნით აქ მობილიზებული იყო დამატებითი ძალები თბილისიდან, იმერეთისა და სამეგრელოს შს მთავარი სამმართველოებიდან. აჭარაში ტურისტული სეზონის კარგად ორგანიზება საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად, საქართველოს პრეზიდენტის ყურადღების საგანიც იყო, რამაც, უჭველად, დადებითად იმოქმედა ტურისტული ნაკადების ზრდაზე, განსაკუთრებით, საზღვარგარეთიდან ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ მთელ რიგ სასტუმროებში დასვენების ერთი დღის ღირებულება 100-170 აშშ დოლარი გახდა<sup>1</sup>.

უნდა შევნიშნოთ, რომ აჭარის ტურისტულ-რეკრეაციულ სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობა ზაფხულის სეზონის განმავლობაში გაიზარდა არა მარტო ადგილობრივი, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდან დროებით მოზიდული მოსახლეობის ხარჯზეც (იმერეთის, გურიის, სამეგრელოს დაუსაქმებელი მოსახლეობა). ამდენად, ტურიზმის განვითარებით აჭარაში არის არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ მაღალი უმუშევრობის მქონე რეგიონების შრომითი რესურსების

<sup>1</sup> ჩაგელიშვილი ლ. რა ღირს დასვენება საქართველოს შავი ზღვისპირეთში ანუ საზღვაო ტურიზმის ფასი ქ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“ 2005, № 7, გვ. 23.

დასაქმების ხელსაყრელი გზაც ტურისტული სეზონი ემთხვევა სტუდენტთა არდადეგებს და პერსპექტივაში, მოსალოდნელია ადგილობრივი სტუდენტობის ჩართვაც ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების სფეროში

ამრიგად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარება, რეკრეაციული მომსახურების რადიკალური გაფართოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა აჭარის შრომითი რესურსების ეფექტიანი დასაქმებისა, მოსახლეობის ცხოვრების დონის სწრაფი ამაღლებისა და, საერთოდ, რეგიონის განვითარებისა. ამიტომ ტურიზმში ინვესტირების ყოველმხრივი ხელშეწყობა უმუშევრობის შემცირებისა და რაციონალური დასაქმების მიღწევის საშუალებაა. მეორე მხრივ, აჭარას აქვს არა მარტო უაღრესად ხელსაყრელი ბუნებრივი რესურსები აღნიშნული დარგის განვითარებისათვის, არამედ ჰყავს მეტად მაღალი განათლების პოტენციალის მქონე შრომითი რესურსები, რომლის გადამზადებაც საცხებით შესაძლებელია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვანი თავისებურებების მქონე რეგიონს, სადაც აშკარადაა გამოხატული როგორც დემოგრაფიული, ისე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სპეციფიკური ნიშნები

ისევე როგორც მთლიანად საქართველო, აჭარაც 1990-იანი წლებიდან მოცულია ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით, მკვეთრადაა შემცირებული მატერიალური წარმოებისა და მომსახურების მოცულობა, მნიშვნელოვნადაა დაქვეითებული ცხოვრების დონე და ხარისხი

ის საინფორმაციო ბაზა, რომელსაც მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვა იძლევა, არ არის საკმარისი აჭარის შრომითი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივი შესწავლისათვის აუცილებელი ხდება დამატებით კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების ორგანიზება შრომითი რესურსების ამა თუ იმ ასპექტით გასაანალიზებლად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების აღწარმოებას და დასაქმებას ახასიათებს მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რაც კვლევისას მოითხოვს მის ცალკე დემოეკონომიკურ რეგიონად განხილვას.

აჭარის დემოგრაფიული ზრდა ბოლო ათწლეულებში მიმდინარეობდა მეტი ტემპით, ვიდრე საშუალოდ საქართველოს მოსახლეობისა განსაკუთრებით დიდი იყო ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება, რაც, თავის მხრივ, მაღალი შობადობისა და მოკვდაობის შემცირების შედეგი იყო.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ბუნებრივ-საწარმოო პირობების შეზღუდულობა და შედარებით სწრაფი დემოგრაფიული ზრდა აჭარის მთიანეთში ქმნიდა ჭარბ შრომით რესურსებს, რის გამოც აჭარა გადაიქცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონების შრომითი რესურსების „დონორად“ ეს მოსახლეობის ორგანიზებული გადაანაწილების გზით ხდებოდა

პოსტსაბჭოთა პერიოდში კრიზისის გავლენით აჭარაში უფრო სწრაფი ტემპით ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში, შემცირდა შობადობის მაჩვენებელი, თუმცა, იმის გამო, რომ აქ მოსახლეობა შედარებით ნაკლებად დაბერებული იყო, მოკვდაობის სიმცირემ განაპირობა ბუნებრივი მატების ბევრად მაღალი ტემპის შენარჩუნება მაგრამ ემიგრაციის ინტენსიურობის მეტად ზრდის პირობებში ბუნებრივმა მატებამ ვეღარ გადააჭარბა მიგრაციის უარყოფით სალდოს, რის გამოც აჭარის მოსახლეობამ და შრომითმა რესურსებმა პოსტსაბჭოთა პერიოდში მნიშვნელოვანი კლება განიცადა. განსაკუთრებით გამოვლინდა მოსახლეობის რიცხოვნობის კლება ეროვნულ უმცირესობათა შორის, რამაც გაზარდა აჭარაში ავტოქტონური მოსახლეობის წილი.

არსებითი ნიშანი, რაც, აგრეთვე, ახასიათებს პოსტსაბჭოთა აჭარის მოსახლეობასა და შრომით რესურსებს, ესაა დაბერების აჩქარება და მნიშვნელოვანი ცვლილებები შრომითი რესურსების დემოსტრუქტურაში.

მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობაში მოსალოდნელ ბავშვთა რიცხვი აღემატება საქართველოს სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც აჭარის შემდგომი დემოგრაფიული ზრდის საფუძველს იძლევა და მოსალოდნელია, რომ საჭირო დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებისა და შობადობის გარკვეული რეაბილიტაციის შემდგომ, აჭარამ კვლავაც შეინარჩუნოს ის მნიშვნელოვანი დემოგრაფიული დონორის მისია, რაც მას ჰქონდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობისა და შრომითი რესურსების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დიდია მოსახლეობის მიგრაციის გავლენა. თუ 1990-იანი წლების კრიზისამდელ პერიოდში აღნიშნულ გავლენას თანაბარზომიერი ხასიათი ჰქონდა და ვერ კმნიდა დემოპულაციურ ვითარებას, საყოველთაო კრიზისის პერიოდში აშკარად გამოიკვეთა დემოგრაფიული კრიზისის ნიშნები, ამავე დროს ემიგრაციულმა პროცესებმა

შექმნეს დეკლარაციური ვითარება. სწრაფად განვითარდა შრომითი ემიგრაციული პროცესებიც ამან არა მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც გააუარესა აჭარის შრომითი რესურსების მანქნებლები

შრომითი ემიგრაციის კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ ამ სახის მიგრაციას აჭარაშიც იგივე კანონზომიერებები და ტენდენციები ახასიათებს, რაც საქართველოს სხვა რეგიონებში. თუმცა როგორც კვლევამ გამოავლინა, აქ იგი უფრო ეფექტიანია, რადგან შრომით ემიგრანტთაგან მიღებული ფულადი გზავნილები არამარტო მათ ოჯახებს უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმით, არამედ ზოგჯერ მცირე ბიზნესის საწყისი კაპიტალის დაგროვების საშუალებასაც იძლევა.

კვლევამ გამოავლინა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების განაწილება არაოპტიმალურია, ხოლო დასაქმება – არასრული და არაეფექტიანი. საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით აჭარის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა პროგრესულია, საშუალო ასაკიც 3,2 წლით ნაკლებია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე. მსგავსი ვითარებაა დასაქმებულ მოსახლეობაშიც და, ზოგადად, შრომითი რესურსების ხარისხობრივი გაუარესების ტენდენცია არ შეინიშნება

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ზრდის ტემპებში ქალაქად და სოფლად. სოფლად იგი გაცილებით მეტია მატულობს დასაქმებულთა რიცხოვნობაც

აჭარის შრომითი რესურსების დასაქმების დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები აშკარად ნეგატიურია. კრიზისის პერიოდში მოხდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობისა და წილის მკვეთრი ზრდა. ამას თავისებურად ხელი შეუწყო მრეწველობის, მშენებლობის, ტურიზმის კრიტიკულ დონემდე დაქვეითებამ და იქ დასაქმებულთა რიცხვის კატასტროფულმა შემცირებამ აუცილებელი გახდა არსებითი ხასიათის სტრუქტურულ გარდაქმნებში სახელმწიფოს ჩარევა. სოფლის მეურნეობის

მექანიზაცია და ამის მეოხებით იქიდან შრომითი რესურსების გადანაწილება მატერიალურ წარმოებისა და მომსახურების სფეროს დარგებში

კონკრეტულმა სოციოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა, რომ ერთი დასაქმებული ოჯახის ორ სხვა წევრს ინახავს თავისი შრომით, მაგრამ ერთ სულზე შემოსავალი საარსებო მინიმუმის შესამედია და არ იქმნება ვითარება სამუშაო ძალის ნორმალური აღწარმოებისათვის შეიმჩნევა შემოსავლებშიც დაუსაბუთებელი დარგობრივი დიფერენციაცია

დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის სამუშაო დღის ხანგრძლივობა ბევრად აღემატება კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმატივს, რაც ვერ აისახება ხელფასში. ხოლო ნაწილი იძულებულია, შეთავსებითაც იმუშაოს, თუმცა მაინც ჭირს თავისი და ოჯახის წევრების საარსებო მინიმუმით დაკმაყოფილება.

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებს კარგად აქვთ გაცნობიერებული შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარება და ობიექტური კრიტერიუმებით აფასებენ მას მათი კონკრეტული წინადადებანი დასაქმებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, სავსებით რეალურად განხორციელებადია ისინი ზომიერი კრიტიკული ანალიზის ფონზე გამომხატავენ სრულ მზადყოფნას, მხარი დაუჭირონ დასაქმებაში მოსალოდნელ პროგრესულ ცვლილებებს.

ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, პოსტსაბჭოთა აჭარაშიც ღრმა ეკონომიკური კრიზისის გავლენით განვითარდა უმუშევრობა; იგი პირველ ხანებში ფარული უმუშევრობის სახით გვევლინებოდა, ხოლო შემდგომ გადაინარდა რეალურ უმუშევრობაში და საქართველოს რეგიონებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია, განსაკუთრებით მწვეველ გამოვლინდა იგი ქალაქის მოსახლეობაში არსებულ გამოკვლევებზე დაყრდნობით და აჭარაში განვითარებული უმუშევრობის არსებული დონის გათვალისწინებით, უმუშევრობის გამო ეკონომიკური ზარალი აქ წლიურად 150 მლნ ლარს შეადგენს, რასაც იმავდროულად თან ახლავს მასობრივი შრომითი ემიგრაცია და დემოკულაციური პროცესების აღმოცენება

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2000 წლის შემდგომ ნელა მაგრამ მანძიკ თანდათან მცირდება უმუშევრობის დონე.

კვლევებით გამოვლინდა, რომ უმუშევართა კონტინგენტი თავისი განათლების დონითა და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურით წარმოადგენს მაღალი შრომითი პოტენციალის მქონე ჯგუფს მას შეუძლია თავისი სამუშაო ძალის მიწოდებით დააკმაყოფილოს შრომის ბაზარზე გაჩენილი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე ამასთან, უმუშევართა ტერიტორიული კონცენტრაცია საკმაოდ მაღალია, განსახლებულია აჭარის მაღალურბანიზებულ ზონაში და, ზოგადად, მაღალი პროფესიულ-ტერიტორიული მობილურობით გამოირჩევა.

ისევე როგორც მთელი საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სახელმწიფო სისტემის მუშაობა უაღრესად არაეფექტურია. დასაქმების მაჩვენებელი რეალურ უმუშევრების რაოდენობაში უმნიშვნელოა. ხშირია შემთხვევა, როცა დასაქმებისათვის გამოყოფილი სახსრები არამიზნობრივად იხარჯება მეტად მცირე უმუშევრის შემწვობის მიმღებთა რიცხვიც ფაქტობრივად, ვერ ხორციელდება უმუშევრის სოციალური დაცვა.

რეგისტრირებულ უმუშევართა ანკეტურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობის (94%) ოჯახის შემოსავალი ერთ წევრზე გაანგარიშებით ვერ აკმაყოფილებს საარსებო მინიმუმს და მათთვის დასაქმება ფიზიკური გადარჩენის ტოლფასია. ისიც გამოვლინდა, რომ დასაქმების სამსახურებს მხოლოდ უმუშევართა მცირე ნაწილი მიმართავს, რადგან დასაქმების შანსი მცირეა დასაქმების სისტემა არსებით რეფორმას მოითხოვს

კვლევამ გვიჩვენა, რომ აჭარაში შრომითი რესურსების ფორმირება და დასაქმება, არსებითად, დამოკიდებულია ეკონომიკის რეაბილიტაციასა და შემდგომ განვითარებაზე, მატერიალური წარმოების დარგებისა და მომსახურების სფეროს აღორძინებაზე, იქ დასაქმებულთა რიცხონობის ზრდასა და დასაქმების ეფექტიანობის ამაღლებაზე

შრომითი რესურსების გამოყენების პერსპექტივა დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაზე აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობათა კვლევა გვიჩვენებს, რომ საესეებით შესაძლებელია, შედარებით ხანმოკლე პერიოდში არსებითად მოხდეს მთელ რიგ დარგებში კრიზისამდელი წარმოების მოცულობის აღდგენა. აუცილებლად მიგვაჩნია აჭარაში სპეციალიზაციის ისეთ დარგებში, როგორცაა მეჩაიეობა და მეციტრუსეობა სპეციალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება. საჭიროა მეჩაიეობის არსებითად გარდაქმნა, აქ ჩაის ნარგავთა გაახალგაზრდავება, მძიმე და ნახევრადმძიმე გასხვლების ჩატარება. უახლოეს წლებში ჩაის მოსავლიანობის 60 ცენტნერამდე ზრდა, ხოლო წარმოების მოცულობის 5-ჯერ გადიდება. აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ აჭარაში დაფასოებული ჩაის ფართოდ წარმოება, მწვანე ჩაის წილის გადიდება და საერთაშორისო ბაზრებზე ხელახალი დამკვიდრება. ამ მხრივ, სწორ მიმართულებად უნდა მივიჩნიოთ მეჩაიეობაში ისეთი ქვეყნებიდან ინვესტიციების მოზიდვა, როგორცაა რუსეთი, ყაზახეთი და შუა აზიის სახელმწიფოები

მეჩაიეობასთან ერთად შრომითი რესურსების ეფექტიან დასაქმებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეციტრუსეობის აღდგენა-განვითარება, ციტრუსთა ნარგავების განახლება, მენხერიანობის მოსპობა და, რაც მთავარია, მისი საზღვარგარეთ რეალიზაციის გაადვილება ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, შრომითი რესურსების ეფექტიან, მაღალშემოსავლიან დასაქმებას, და, საერთოდ აღწარ-მოებითი პროცესების ნორმალიზაციას

მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება წარმოების განვითარებისა და დასაქმებისათვის თურქეთთან დამაკავშირებელი კომუნიკაციების განვითარებას. აგრეთვე, პერსპექტივაში გოდერძის საუღელტეხილო გვირაბით და მთიანი აჭარის თანამედროვე საავტომობილო გზით სამცხე-ჯავახეთთან დაკავშირებას, სოფლის მისახველელი გზების რეკონსტრუქციას, საერთოდ, მთიანი რეგიონების ეკონომიკურ აქტივიზაციას

გადაუდებელი ამოცანაა მრეწველობაში კრიტიკულ ღონემდე შემცირებული დასაქმებულთა რიცხოვნობის შემდგომი ზრდა და კრიზისამდელ ღონემდე გაზრდა. საჭიროა ბათუმის მრეწველური ტრადიციების გათვალისწინება და იქ მეტად მაღალკვალიფიციური უმუშევარი კონტინგენტის რეაბილიტირებული სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა რეკონსტრუქციას საჭიროებს ამჟამად გაჩერებული ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა საჭიროა გემთსაშენი წარმოების რადიკალური გაფართოება, დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა გასათვალისწინებელია ბათუმის, აგრეთვე, საქართველოს მსხვილი სამრეწველო ცენტრების ფილიალების აჭარის პატარა დასახლებულ პუნქტებში განლაგების პროგრამების შემუშავება და ამ მხრივ ადრინდელი ტრადიციების აღდგენა. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო უმუშევრობის ლიკვიდაციას, არამედ შრომითი რესურსების დაბალანსებულ გამოყენებას, მთიანი რეგიონების ეკონომიკურ აქტივიზაციას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების რაციონალურ დასაქმებაში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ტურიზმის დაჩქარებულმა განვითარებამ და აქ დასაქმებულთა რიცხოვნობისა და დასაქმების ეფექტიანობის ზრდამ.

ბოლო წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და სწრაფი ტემპით ვითარდება ზღვაზე საზაფხულო სეზონზე დასვენება ვინაიდან აჭარის მთელი ზღვისპირა ზოლი, საზღვაო ტურიზმის თვალსაზრისით, მთლიანად საუკეთესო ბუნებრივი მაჩვენებლებით ხასიათდება, ამიტომ რეკრეაციულ მოთხოვნის ზრდის შესაბამისად, ამ ზოლის განვითარების პერსპექტივა დიდია. ამ ზოლის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არსებული საბინაო ფართის სიდიდიდან გამომდინარე, შეუძლია მიიღოს დამსვენებელთა გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე ამჟამად იღებს ამას ხელს შეუწყობს ბოლო წლებში კერძო მშენებლობის ბუმი, როგორც სასტუმროების და მსხვილი დასასვენებელი ობიექტებისა, ისე საცხოვრებელი ბინების

მასობრივი რეკონსტრუქცია-გაფართოებისა დამსვენებელთა მიღების მიზნით.

დასაქმების გაზრდას გამოიწვევს რეკრუანტების მომსახურების რადიკალური გაზრდა, მათი კვებისა და გართობის ორგანიზაცია

არსებითი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ტურიზმის დაჩქარებულ გაფართოებასაც ამაში დიდი მნიშვნელობა ექნება სასტუმროებში კომფორტულობის ამაღლებას, აქ მომსახურე პერსონალის რიცხოვნობის ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებას; განსაკუთრებით საჭიროა ტურისტთა სატრანსპორტო მომსახურების რადიკალურად გაუმჯობესება

მომსახურების მაღალი ხარისხი, კომფორტულობის ზრდა ერთ-ერთი გზაა რეკრეატიულ მეურნეობაში სეზონურობის და, შესაბამისად დასაქმების სეზონურობის შესარბილებლად სეზონურობის დაძლევის ხელს შეუწყობს სამთო ტურიზმის განვითარებაც, რომლის ბუნებრივი რესურსები აჭარაში არსებობს.

დასაქმების ეფექტიანობას ხელს შეუწყობს ტურიზმის სპეციალისტთა მოზზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, სარეკლამო მუშაობის გაძლიერება, რაც ამჟამად ჩანასახოვან მდგომარეობაშია

საჭიროა ტურიზმში ინვესტირების ყოველმხრივი ხელ შეწყობა, რაც აჭარის შრომითი რესურსების რაციონალური დასაქმების, ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების აუცილებელი ელემენტია

საერთოდ, აჭარას ამჟამად ჰყავს მეტად მაღალკვალიფიციური, მაღალი განათლების პოტენციალის მქონე შრომითი რესურსები, რაც საჭირო შემთხვევაში როგორც რეგიონულ, ისე ქვეყნისა და საერთაშორისო ბაზრებზე მაღალეფექტიანი გამოყენების ყველა პირობას დააკმაყოფილებს

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარა ციფრებში. მსოფლიო ციფრებში. 2001 სტატისტიკური კრებული, ბათუმი, 2002 107 გვ.
2. ბადრიძე ვ. გონებრივი შრომის ორგანიზაცია, თსუ თბილისი, 2004 190 გვ.
3. ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება თავისუფალი ბაზრის ფილოსოფია. „პდპ“, თბილისი. 2004. 375 გვ.
4. ბახტაძე ე აჭარაში ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტი. ჟ „ეკონომიკა“. 2003 № 3–4, გვ 71–76
5. ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომოვებელ რეგიონებში. თსუ გამომცემლობა, თბილისი 2001. 40 გვ
6. ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე) საკანდიდატო დისერტაცია [08 00 03 – მაკროეკონომიკა, რეგიონული ეკონომიკა (მაკროეკონომიკა)]. თბილისი. 2004. 150 გვ.
7. გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა – საქართველო, თბილისი, 1997 62 გვ
8. გოგოლაური ნ. შრომითი რესურსების ფორმირება და მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები მესხეთის მხარის სოფლის მეურნეობაში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონების მაგალითზე). საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი (08.00 14 – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკა) თბილისი, 2004 67 გვ.
9. გოგოლაძე ს როგორ ვიშოვით ფულს ტურიზმში ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“. 2005 წ. № 6. გვ. 14–17.

10. გრიშიაშვილი ა. გზა ევროკავშირისაკენ ევროკომისია თბილისი 2003. 133 გვ.
11. გუგუშვილი თ. საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები. „პოლიგრაფი“ თბილისი 1998. 322 გვ
12. დავითაძე ზ. გარდამავალ პერიოდში აჭარის მოსახლეობაში მიმდინარე სივრცობრივი ძვრები. საკანდიდატო დისერტაცია გეოგრაფიულ მეცნ კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი, 1999 წელი 136 გვ
13. დოლიაშვილი თ. პაიჭაძე შ. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მგზავრთნაკადის ზრდის გზები ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე. ჟ. „ეკონომიკა“. 2005 № 1-2 გვ 117-120
14. ზუბიაშვილი თ. მსოფლიო მოსახლეობა და მისი მომავალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი. 1997. 24 გვ
15. ზუბიაშვილი თ. თანამედროვე საერთაშორისო მიგრაცია თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1999. 24 გვ
16. თორია მ., ცარციძე მ. უმუშევრობის პრობლემები და მისი დაძლევის გზები საქართველოში. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998. 60 გვ
17. თორია მ. საბაზრო ურთიერთობების ფორმირება და მოსახლეობის დასაქმება ჟ „სოციალური ეკონომიკა“, 2004 წ. № 4 გვ 82-88
18. ივანიძე გ., ივანიძე მ. ბრძოლა მესხეთისათვის (1917-1921) თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2002. 151 გვ.
19. კეინსი ჯონ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია „სტამბა“, ქუთაისი, 1995. 420 გვ.
20. კეირკვაია მ. დასაქმების რეგულირება და მისი სრულყოფის ღონისძიებები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია (08.00.11 - შრომის ეკონომიკა). თბილისი, 1999 132 გვ
21. ლორთქიფანიძე ვ. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი, 1998 267 გვ.

22. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური სტრუქტურის ევექტიანობის საკითხები რეგიონული ასპექტი. ბათუმი, 1998. 19 გვ
23. ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა. „აწმყო“, თბილისი, 2001 119 გვ.
24. ლუკასი რ. საბაზრო ეკონომიკა (თარგმანი პოლონურიდან) ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა. თბილისი, 1997. 244 გვ.
25. ლუკასი რ საბაზრო ეკონომიკა. ფინანსთა სამინისტროს გამომცემლობა. თბილისი, 1997. 242 გვ.
26. მარგველაშვილი მ ტურიზმი და ეკონომიკა ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 2001 № 6. გვ. 116–123.
27. მაჭარაშვილი გ., ტუხაშვილი მ. ქვემო ქართლის მოსახლეობის შრომითი მიგრაცია დ. „სოციალური ეკონომიკა“, 2000 წ № 4, გვ. 30–38.
28. მგელაძე ნ აჭარული ნოგრო და გვარი „აჭარა“, ბათუმი, 2004. 312 გვ.
29. მდინარაძე ქ უმუშევრობა და მისი ნეგატიური სოციალურ-დემოგრაფიული ასპექტები საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი [08.00.11. მიკროეკონომიკა, შრომის ეკონომიკა (შრომის ეკონომიკა)] თბილისი, 2005. 53 გვ.
30. მენაბდიშვილი ე. ეთნოდემოგრაფიული პროცესები საქართველოში (რეგიონული ასპექტი). სადოქტორო დისერტაცია (08.00.10 – დემოგრაფია) თბილისი, 2000. 300 გვ
31. მესხია ი , გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონე (ანალიზი და პროგნოზები). ქსუ გამომცემლობა, თბილისი, 2004 245 გვ.
32. მეტრეველი მ. ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი (08.00.07 სექტორული ეკონომიკა, მენეჯმენტი) თბილისი, 2002 49 გვ
33. მენქიუ გრეგორი ეკონომიკის პრინციპები. დიოგენე, თბილისი, 2000. 1064 გვ.

34. მეწარმეობა საქართველოში. სტატისტიკური კრებული თბილისი, 2002. 142 გვ
35. მრეწველობა საქართველოში, 2003. სტატისტიკური პუბლიკაცია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2003. 115 გვ
36. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია საქართველოში. „სიახლე“, თბილისი 2003. 122 გვ.
37. პაპავა ვ პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2005 326 გვ
38. პაპავა ვ პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა „პდპ“, თბილისი, 2002. 526 გვ.
39. პაპავა ვ. საგადასახადო ფედერალიზმი. თანხმობა თუ სეპარატიზმი? თბილისი, 2000. 22 გვ.
- 40 რეგიონული ეკონომიკა. თსუ. თბილისი, 2004. 407 გვ.
- 41 საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში ესპისი შრომების კრებული, V ტომი, თბილისი, 2000. 804 გვ.
42. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული ტ V და VI, თბილისი, 2000, 2002 წ. 583 გვ. 696 გვ.
43. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში ესპისი შრომების კრებული, VI ტომი თბილისი, 2002 531 გვ.
- 44 საკანონმდებლო კრებული სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებულ პირთათვის. თბილისი. 1999. 184 გვ.

45. სასტუმროები საქართველოში 1900–2001 სტატისტიკური კრებული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისი, 1990. 65 გვ.
- 46 საქართველოს გეოგრაფია სახელმძღვანელო. თსუ თბილისი, 2000 336 გვ
47. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 2002 წლის ინდიკატური გეგმა თბილისი. 2001. 240 გვ.
- 48 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი IV. სსსდ. თბილისი 2004 265 გვ
- 49 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. სტატისტიკური კრებული, სსსდ, თბილისი, 2004. 140 გვ.
- 50 საქართველოს მოსახლეობის დასაქმება (მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მიხედვით), სტატისტიკური კრებული, ნაწილი I და II, თბილისი, 1992. 268 გვ
51. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები ტ. III, ნაწილი I. სსსდ თბილისი 2004. 420 გვ.
- 52 საქართველოს რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებები გარდამავალ პერიოდში „აჭარა“ ბათუმი – თბილისი, 2001. 352 გვ
53. საქართველო. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა ტენდენციები ციფრებში სტატისტიკური ბიულეტენი № 14. ესსსდ. თბილისი. 2004. 54 გვ
54. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1988 წ. სტატისტიკური წელიწადიული „საქართველო“, თბილისი, 1990 342 გვ.

55. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2004. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი. 2004. 331 გვ
56. საქართველოს შინამეურნეობები 2002–2003. სტატისტიკური კრებული საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი თბილისი, 2004. 172 გვ.
57. სილაგაძე ა. ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები თსუ თბილისი, 2001 610 გვ.
58. სულაბერიძე ა დემოგრაფიული ექსპანსია ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 2002 წ № 5, გვ. 5–11
59. სულაბერიძე ვ. მიგრაცია და დემოგრაფიული უსაფრთხოება. კრებულში: მიგრაციული პროცესები თანამედროვე გლობალიზებად მსოფლიოში. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2005. გვ 14–18
60. სულაბერიძე ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და სოციალურ–დემოგრაფიული პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი (08.00.10) – დემოგრაფია). თბილისი 2003. 88 გვ.
61. ტუხაშვილი მ საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. „ლაშქარი“, თბილისი. 1995 60 გვ
62. ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998 212 გვ.
63. ფირცხალავა გ. საქართველოს მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობა, ოჯახები, მიგრაცია. „სამშობლო“, თბილისი, 1997. 88 გვ.
64. ფუტკარაძე თ ეკოლოგიური მიგრაციები აჭარაში. ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2002. 48 გვ.

65. ფუტყარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და ეთნოდემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში ბათუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2005. 205 გვ
66. ფუტყარაძე მ. მთიანი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები. ბათუმი 1998. 184 გვ
67. ქალთა დასაქმების საკითხები გაეროს განვითარების პროგრამა „ქალები განვითარების პროცესში“ თბილისი. 1998 48 გვ
68. ყარაშვილი პ. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია (08 00.11 - შრომის ეკონომიკა). თბილისი, 2000 168 გვ.
69. ყარაშვილი პ. უმუშევრობა და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. საკანდიდატო დისერტაცია (08 00 11 - შრომის ეკონომიკა), თბილისი, 2000 - 151 გვ
70. შუბლაძე ვ. საქართველო და ტურიზმი თბილისი, „ჯამპი“, 2004. 176 გვ.
71. შუბლაძე ვ. ტურიზმის როლი და მნიშვნელობა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ჟ. „ეკონომიკა“, 2004 № 9-10. გვ 102-107.
72. შრომები. IV ტომი საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. „სიახლე“, თბილისი, 2004. 290 გვ.
73. შრომა საქართველოში სტატისტიკური კრებული. თბილისი, 1992 168 გვ.
74. შრომის ბაზარი საქართველოში. 1998-2003. სტატისტიკური კრებული. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. თბილისი, 2004 80 გვ.
75. ჩაგელიშვილი ლ. რა ღირს დასვენება საქართველოს შავი ზღვისპირეთში ანუ საზღვაო ტურიზმის ფასი. ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, 2005 წ. № 7

76. ჩიქავა ლ. მოსახლეობის აღწარმოების ტენდენციები პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, II ტომი, „სიხსნე“, თბილისი, 2001. გვ. 5-15.
77. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი. „ნიკე“, თბილისი, 1996. 200 გვ.
78. ცარციძე მ. სამუშაო ძალის კვლავწარმოება და შრომის ანაზღაურება ეროვნული შრომის ბაზრის ფორმირების პროცესში თსუ, „ცოდნის წყარო“, თბილისი, 1999. 191 გვ.
79. ცარციძე მ. სამუშაო ძალის ღირებულება და ფასი შრომის ბაზრის ელემენტების სისტემაში. შ. „სოციალური ეკონომიკა“, 2002 № 1, თბილისი, გვ. 42-51
80. ცარციძე მ. შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქართველოში. სადოქტორო დისერტაცია (08.00.12 – მიკროეკონომიკა, შრომის ეკონომიკა). თბილისი. 2004. 304 გვ.
81. ცარციძე მ. შრომის ბაზრის არსისა და ფუნქციების თანამედროვე გაგება. შ. „მაცნე“, ეკონომიკის სერია, № 3-4, 2002 გვ. 260-274.
82. ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. თსუ „ცოდნის წყარო“, თბილისი, 2000. 32 გვ.
83. ჭიპაშვილი მ. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. საკანდიდატო დისერტაციის აბტორეფერატი (08.00.10 – დემოგრაფია). თბილისი, 1999. 33 გვ.
84. ხარაიშვილი ე. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებანი. თსუ, თბილისი, 2004. 172 გვ
85. ხმაღაძე მ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. სადოქტორო დისერტაცია (08.00.10 – დემოგრაფია). თბილისი. 1995. 300 გვ.
86. ხომერიკი თ. მენეჯმენტი. თბილისი, სპექტრი. 2000 263 გვ

87. Адамчук В.В., Ромашов О.В., Сорокина М.Е. Экономика и социология труда «ЮНИТИ». Москва, 1999 – 407 с.
88. Арутюнян Ю.В., Дробитева Л.М., Сусоколов А.А. Этносоциология. «Аспект Пресс» Москва, 1999 – 271 с
89. Билеборроу Р., Хьюго Г., Оберан А, Злотник Х. Статистика международной миграции. АСАДЕМА. Москва, 1999. – 419 с
90. Бондырева С.К., Колесов Д.В. Миграция (сущность и явление) «МОДЭК», 2004. – 296 с
91. Борисова Е.А. Оценка и аттестация персонала Питер, СПб, 2003 – 288 с.
92. Воробьева О.Д. Миграция населения Миграционная политика «ПИК ВИНТИ», Москва. – 176 с
93. Генкин Б.М. Экономика и социология труда. Учебник. НОРМА – ИНФТА. Москва, 1998 – 373 с.
94. Глобальный альянс против принудительного труда. МБТ Доклад генерального директора. Женева, 2005. – 115 с
95. Девятко И.Ф. Методы социологического исследования. «Университет», Москва, 2002 – 296 с.
96. Демографический энциклопедический словарь. «Советская энциклопедия» 1985. – 608 с
97. Жуков А.Л. Регулирование и организация труда. «МИК», Москва, 2002. – 335 с.
98. Занятость отдельных социально-демографических групп населения в переходной экономике России ТЕИС, Москва, 1998. – 183 с
99. Заработная плата. МБТ Женева, 1997. – 225 с.
100. Зуцина Г.М., Костин Л.А. Трудовые ресурсы и трудовой потенциал общества. Финстатинформ, Москва, 1996. – 171 с.
101. Как провести социологическое исследование Москва, Политиздат, 1985. – 223 с.

102. Кирсанов К.А., Буянов В.П., Михайлов Л.М. Теория труда. Москва, «Экзамен», 2003. – 416 с.
103. Миграция населения. Стадии миграционного процесса. Москва 2001. – 160 с
104. Migration Theory: Talking Across Disciplines. New York 2000. – 235 p.
105. Миграция и рынки труда в постсоветской России. Центр Карнеги Москва, 1998. – 177 с
106. Миграция и урбанизация населения. Наукова Думка Киев. 1992. – 142 с
107. Миграция и урбанизация в СНГ и Балтии в 90-ые годы. Адамант, Москва, 1999. – 358 с.
108. Мировой опыт миграционной политики: Ретроспектива и новейшие тенденции. МОМ. Москва – Алматы, 2004. – 352 с.
109. Моисеенко В.М. Внутренняя миграция населения “ТЕИС”, Москва, 2004 – 285 с
110. Население и трудовые ресурсы “Мысль”, Москва, 1990. – 398 с.
111. Общие условия для стимулирования создания рабочих мест на малых и средних предприятиях. МБТ, Женева, 1995 – 135 с.
112. Политика доходов и качество жизни населения. “Питер”, СПб, 2003 – 653 с.
113. Пошестник Е.Б., Пошестник Н.В. Заработная плата в современных условиях. “Герда”, Москва – СПб, 2000 – 635 с.
114. Проблемы миграции и опыт ее регулирования в полиэтничном Кавказском регионе. Издательство СТУ. Москва-Ставрополь 2003 – 304 с.
115. Труд и социальное развитие. Словарь. ИНФРА-М. Москва, 2001. – 266 с
116. Рофе А.И., Збышко Б.Г., Ишин В.В. Рынок труда, занятость населения. Экономика ресурсов для труда. “МИК”, Москва, 1998. – 160 с

117. Рофе А.И., Жуков А.Л. Теоретические основы экономики и социологии труда. "МИК", Москва, 1999. – 151 с.
118. Рощин С.Ю., Разумова Т.О. Теория рынка труда. Москва ТЕИС 1998. – 192 с.
119. Рынок труда и доходы населения Учебник-пособие. "Филинь", Москва, 1999. – 200 с.
120. Рынок труда и социальная политика в Центральной и Восточной Европе Переходный период и дальнейшее развитие. Пер.с англ. ИКЦ. "ДИС", Москва, 1997. – 496 с.
121. Рынок труда. Учебник "Экзамен". Москва, 2000. – 447 с.
122. Сборник законодательных актов государств СНГ и Балтии по вопросам миграции, гражданства и связанным с ними аспектами МОМ, 1994 – 453 с.
123. Сборник международных правовых документов, регулирующих вопросы миграции. МОМ. Москва, 1994 – 368 с.
124. Стимулирование занятости. МБТ. Женева, 1995 – 78 с.
125. Трудовая миграция в СНГ: Социальные и экономические эффекты Москва, 2003 – 289 с.
126. The Age of Migration International Population Movements on the Modern World. Great Britain. 1998 – 336 с.
127. Управление миграционными процессами Учебное пособие. ГУУ Москва, 2003. – 223 с.
128. Холостова Е.И. Социальная политика. ИНФРА-М. Москва, 2001 – 203 с.
129. Хуссманис Р., Мехран Ф., Верма В. Обследования экономически активного населения: занятость, безработица и неполная занятость Методологическое руководство МБТ (пер.с англ.). Книга 1 и 2 «Финстатинформ», Москва, 1994. – 274 с и 278 с.

130. Экономика труда. Учебник (под ред. проф. П.Э.Шлендера и проф. Ю.П.Кокина). Юристъ. Москва. 2002. – 592 с.
131. Экономика труда и социально-трудовые отношения. МГУ 1996. – 623 с.
132. Экономика социальной сферы. Учебное пособие. «МарТ», Ростов н/Д. 2001. – 416 с.
133. Эренберг Р., Смит Р. Современная экономика труда. Теория и государственная политика. МГУ. Москва, 1996. – 778 с
134. Юдипа Т.Н. Социология миграции. «Дашков и К», Москва. 2004. – 339 с.